ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150-ე

წლისთავისადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

თეზისები

აპრილი 30 April

თბილისი 2026 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

თ ე ზ ი ს ე ბ ი

30 აპრილი
2026

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ლიზი ბეჟანიშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

ავტორთა სტილი დაცულია.

საღომე ადამია
თათია მასუხაშვილი

თავისუფალი ნება და ღმერთის სამართლიანობა (ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ მიხედვით)

ჯონ მილტონის ეპიკურ პოემაში „დაკარგული სამოთხე“, თავისუფალი ნებისა და ღმერთის სამართლიანობის საკითხი განიხილება სიყვარულის ბუნებასთან მჭიდრო კავშირში და წარმოადგენს ნაწარმოების ერთ-ერთ ძირითად თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ღერძს. მილტონის მიხედვით, ღმერთი ქმნის არსებებს და ანიჭებს მათ თავისუფალ ნებას, რის საფუძველზეც ადამიანს ეძლევა არჩევანის შესაძლებლობა – აირჩიოს სიკეთე ან ბოროტება. ეს ნიშნავს, რომ მორჩილება და სიყვარული მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როცა იგი ნებაყოფლობითია, ხოლო თავისუფალი ნება იქცევა როგორც მორალური არჩევანის, ისე პასუხისმგებლობის საფუძვლად.

ბარი ედუარდ გროსის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, პოემაში ცენტრალური დაპირისპირება ვითარდება თეოცენტრულ და ეგოცენტრულ სიყვარულს შორის. გროსი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სიყვარული ღმერთისკენ არის მიმართული, რადგან „თავისუფლად ვემსახურებით, რადგან თავისუფლად გვიყვარს“. უფლის სიყვარული წარმოდგენილია, როგორც სრულიად უანგარო და თავისუფალი, მაშინ, როდესაც ადამისა და ევას სიყვარული თანდათან გადადის თვითსიყვარულში, რაც, პარადოქსულად, ზღუდავს მათ თავისუფლებას. ადამი ევას აღიქვამს, როგორც საკუთარი თავის ანარეკლს, ხოლო ევა ისწრაფვის თვითდამკვიდრებისა და თანასწორობისკენ, რაც იწვევს ღვთიური იერარქიის დარღვევას და საბოლოოდ – დაცემას.

ამ კონტექსტში ცოდვა წარმოჩნდება არა როგორც ღვთიური წინასწარგანსაზღვრულობის შედეგი, არამედ როგორც თავისუფალი ნების არასწორი გამოყენება. შესაბამისად, ღმერთის სამართლიანობა მტკიცდება იმით, რომ სასჯელი არის ადამიანის თავისუფალი, თუმცა მცდარი არჩევანის ლოგიკური შედეგი. იმავდროულად, პოემა გვთავაზობს აღდგენის პერსპექტივას: მხოლოდ ღმერთზე კონცენტრირებული სიყვარულის აღდგენის გზით არის შესაძლებელი ადამიანის სულიერი განახლება და პირვანდელი ჰარმონიის დაბრუნება.

ამრიგად, მილტონი აჩვენებს, რომ თავისუფალი ნება, სიყვარული და სამართლიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია, რომელთა დარღვევა იწვევს ადამიანის დაცემას. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ უკავშირდება თავისუფალი ნება სიყვარულის ბუნებას

„დაკარგულ სამოთხეში“, როგორ გარდაიქმნება თეოცენტრული სიყვარული ეგოცენტრულად და როგორ ამართლებს მილტონი ღმერთის სამართლიანობას ადამიანის თავისუფალი არჩევანის ფონზე.

ანი ავაღიშვილი
ანა ახაღაია

მეფისტოფელის შეზღუდულობა გოეთეს „ფაუსტში“: დემონი თუ თავად სატანა?

მოხსენება ეძღვნება გოეთეს „ფაუსტში“ წარმოდგენილი პერსონაჟის - მეფისტოფელის ბუნების გააზრებას და მის შედარებას ლუციფერთან. კვლევის მთავარი მიზანია დავასაბუთოთ, რომ გოეთეს ტექსტში მეფისტოფელი არ არის თავად სატანა, არამედ შეზღუდული ძალების მქონე „დაბალი რანგის დემონი“.

მოხსენებაში განიხილება ეშმაკის კლასიკური გაგება ფოლკლორში, სადაც მეფისტოფელი წარმოდგენილია, როგორც დემონი, რომელიც გზაჯვარედინზე ხალხთან გარიგებას დებს. ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ამ ორ ფიგურას შორის არსებითი განსხვავებები არსებობს. ფოლკლორული ტრადიციის მიხედვით, მეფისტოფელი უფრო მეტად წარმოდგენილია როგორც მზაკვარი დემონი, რომელიც ადამიანებთან დებს გარიგებებს და მათ სულებს ეუფლება, ვიდრე როგორც ჯოჯოხეთის უმაღლესი მბრძანებელი. ასევე ამ პერსონაჟისთვის (როგორც ფოლკლორში, ისე გოეთეს „ფაუსტში“) დამახასიათებელია ოინები, ფორმის ცვლილება, ბუნდოვანი საუბარი. მისი სახელის გამხელაც კი მეფისტოს ძალას დააკარგვინებს, რაც ლუციფერისთვის - ჯოჯოხეთის მეფისთვის არ არის დამახასიათებელი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გოეთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელის ფუნქციასა და შესაძლებლობებს. ტექსტის მაგალითებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ იგი მოქმედებს მკაცრი წესებისა და შეზღუდვების ფარგლებში: ვერ ტოვებს სივრცეს თავისუფლად, ვერ ახერხებს ადამიანის სულიერი სრულყოფის კონტროლს და იძულებულია დაემორჩილოს როგორც ღმერთს, ისე ფაუსტთან დადებულ შეთანხმებას. ამასთან, მისი ძალა ძირითადად ვლინდება ირონიაში, მანიპულაციასა და მოტყუებაში, რაც მას უფრო ტრიქსტერის ტიპის პერსონაჟად წარმოაჩენს.

მოხსენებაში ყურადღება ექცევა მეფისტოფელის ურთიერთობას ღმერთთან „ცის პროლოგში“, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ იგი მოქმედებს ღვთიური წესრიგის ფარგლებში და არ წარმოადგენს აბსოლუ-

ტურ ბოროტებას. მისი უძლურება განსაკუთრებით აშკარა ხდება წმინდა და მორალურად ძლიერი პერსონაჟების, მაგალითად, მარგარიტას, წინაშე.

გოეთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელი უნდა განვიხილოთ არა როგორც სატანა, არამედ როგორც შეზღუდული ძალის მქონე დემონი და უფრო მაღალი ძალების მსახური, რომლის როლი სამყაროში ბოროტების განხორციელებაზე მეტად ადამიანის გამოცდასა და შეცდომაში შეყვანას უკავშირდება.

ფატიმა აღანია
მაგდა ძაძამია

ძალაუფლება და დიპლომატია: ლევან II დადიანის მმართველობის თეორიულ-სოციოლოგიური ანალიზი

ძალაუფლება და დიპლომატია მმართველობის ფუნდამენტური კატეგორიებია, რომლებიც პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასა და ეფექტიანობას განსაზღვრავენ. მათი გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მცირე პოლიტიკურ ერთეულებთან, სადაც მმართველის სტრატეგიული მოქმედება გადამწყვეტ როლს თამაშობს როგორც შიდა წესრიგის, ისე საგარეო ურთიერთობების მართვაში. ამ თვალსაზრისით ლევან II დადიანის მმართველობა გვაძლევს შესაძლებლობას ერთდროულად თეორიულ-სოციოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში გავაანალიზოთ ძალაუფლების ფუნქციონირების მექანიზმები.

XVII საუკუნის დასავლეთი საქართველო პოლიტიკური დანაწევრებითა და ძლიერი საგარეო აქტორების ზეწოლით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მხრიდან. აღნიშნულ გარემოში ადგილობრივი მმართველების წინაშე იდგა რთული ამოცანა - ძალაუფლების კონსოლიდაცია შიდა დონეზე და ამასთან ერთად, მოქნილი საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამ კონტექსტში ლევან II დადიანის მმართველობა იძლევა შესაძლებლობას, გავაანალიზოთ ელიტების კონტროლისა და ცენტრალიზაციის მექანიზმები, ასევე საგარეო პოლიტიკაში ბალანსირებაზე დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობების ფორმირება.

წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენება ემყარება ლევან II დადიანის მმართველობის ანალიზს ძალაუფლებისა და დიპლომატიის თეორიულ-სოციოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში. ჩატარებული კვლევა არსებული ლიტერატურისა და ისტორიული წყაროების შინაარსობრივ ანალიზს ითვალისწინებს. კვლევის ფარგლებში ლევან II დადიანის მმართველობა განიხილება როგორც კომპლექსური პოლიტიკური და სოციალური პრაქტიკა, სა-

დაც ძალაუფლება არა მხოლოდ იძულებაზე დაფუძნებულ რესურსს, არამედ დიპლომატიასთან თანხვედრაში მოქმედ სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ნაჩგიზ აზატიანი

კლასიკური და თანამედროვე მხატვრობა: ტექნიკის მნიშვნელობა და კულტურული აღქმა

მხატვრობა ყოველთვის იყო კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გამოხატავს ადამიანის შემოქმედებით ხედვას, გრძნობებსა და საზოგადოებრივ განწყობებს. კლასიკური მხატვრობა თავისთავად ითვალისწინებს ტექნიკის მკაფიო განვითარებას, ფერების, ფორმების და სინათლის გამოყენების უნიკალურ მეთოდებს. თანამედროვე მხატვრობა კი, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ხშირად აერთიანებს სხვადასხვა სტილსა და ექსპერიმენტულ მიდგომებს, რაც მხატვრის ინდივიდუალურობას აძლიერებს.

მხატვრობის ტექნიკის მნიშვნელობა ვერ იქნებოდა ჯეროვნად შეფასებული მხოლოდ ზერელე, ვიზუალური შედეგებით. ტექნიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ნამუშევარი არ იყოს უბრალოდ, რამდენიმე ფერის ნარევი, არამედ წარმოსახვისთვის შთამბეჭდავი და, იმავდროულად, ინტელექტუალური აღქმის თვალსაზრისით სწორად გააზრებული ქმნილება. თითოეული ხაზი, ჩრდილი და ფერი მნიშვნელოვანია, რათა მაყურებელმა შეიგრძნოს ემოცია, გააცნობიეროს წარმოდგენილი ქმნილების კონცეფცია და მისი შეფასება იყოს მაქსიმალურად ობიექტური.

მსოფლიო მხატვრობის ისტორიამ აჩვენა, რომ ტექნიკა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ნამუშევრებში. თანამედროვე მხატვრები ხშირად მიმართავენ ექსპერიმენტულ მეთოდებს, ახალი მასალების გამოყენებას და ინოვაციურ სტილს, რათა მიაღწიონ უნიკალურ ვიზუალურ ეფექტს. ეს საშუალებას აძლევს მხატვრობას შეინარჩუნოს კულტურული მნიშვნელობა და მდგრადი როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

ამ თეზისის მიზანია გააანალიზოს მხატვრობაში ტექნიკის როლი და მისი გავლენა კულტურულ აღქმაზე. მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკის სწორი გამოყენება აღიქმებოდეს, როგორც მაყურებლის მიერ ნამუშევრის ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტი. თითოეული ნამუშევარი, რომელიც სწორად არის შესრულებული ტექნიკურად და მკაფიოდ გადმოსცემს მხატ-

ვრის ინდივიდუალურ ხედვას, მის სულიერ შინაარსს, შეიძლება მიჩნეულ იყოს კულტურული მემკვიდრეობის თუნდაც მცირე ნაწილად.

თითოეული მხატვარი, რომელიც იცავს ტექნიკის წესებს, ქმნის ნამუშევარს, რომელიც არა მხოლოდ ვიზუალურად მიმზიდველია, არამედ შინაარსობრივად სიღრმისეული. კლასიკური და თანამედროვე მხატვრობის შერწყმა შესაძლებლობას იძლევა ახლებურად გააცოცხლოს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ტრადიციები, უზრუნველყოს მხატვრის ინდივიდუალურობის გამოხატვა და შეინარჩუნოს მხატვრობის მაღალი შეფასების სტანდარტი თანამედროვე სამყაროში.

ტექნიკის ცოდნა აძლევს მხატვარს შესაძლებლობას აკონტროლოს კოლორიტი, შუქ-ჩრდილის ტონალობა და კომპოზიცია ისე, რომ საბოლოო შედეგი იყოს შთამბეჭდავი, პროფესიუად შესრულებული და კულტურული თვალსაზრისით დამაჯერებელი. მხატვრობის ტექნიკა არ არის მხოლოდ სახელოვნებო „მართლწერა“, ამავე დროს, ეს არის კულტურული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას აღიქვას, შეაფასოს და განიცადოს მხატვრის ხედვა.

მარიამ არუთინოვი
გიორგი ბეგიაშვილი

ქალის ხმა და სოციალური იერარქია შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარში”

შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“ ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელშიც ფემინისტური იდეები მკაფიოდ და ხაზგასმით არის წარმოჩენილი. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიისა და პოსტსტრუქტურალისტური თეორიების საფუძველზე, ვეცდებით გავაანალიზოთ, როგორ ყალიბდება ჯეინის „სუბიექტურობა“ („სუბიექურობა“ და „სუბიექტი“ აქ გამოყენებულია როგორც ფილოსოფიური კატეგორია, კარტეზიანული „მეს“ ეგზისტენციალისტური გადააზრება: The subject) საზოგადოებაში, რომელშიც არსებობს მკაფიო სოციალური იერარქია და გამოკვეთილი გენდერული ასიმეტრია.

ნაწარმოების სიმონ დე ბოვუარის თეორიის ჭრილში ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯეინ ეარი არ არის გარემოებების მსხვერპლი. ის დამოუკიდებელი „სუბიექტია“, რომელიც აქტიურად იბრძვის საკუთარი „მეს“ (Self) თვითმყოფადობისა და არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთების უფლებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ჯეინ ეარისა და ედ-

ვარდ როჩესტერის დიალოგებზე, როგორც ძალაუფლების დისკურსულ გამოვლინებებზე. მიშელ ფუკოსეული ძალაუფლების დინამიკის გათვალისწინებით, ხსენებულ დიალოგებში ვლინდება პერსონაჟის მცდელობა, ჩამოაყალიბოს საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია და ხმა აიმაღლოს გაბატონებული იერარქიული სისტემის წინააღმდეგ.

ამასთანავე, ჯუდით ბატლერის „გენდერული პერფორმატულობის" თეორიის გათვალისწინებით, ჯეინის „ხმა", პერსონაჟის პროტესტი, გააზრებულია როგორც საზოგადოების მიერ თავს მოხვეული გენდერული როლების წინააღმდეგ მიმართული იარაღი. ჯეინი უარს ამბობს იმ გენდერული როლის შესრულებაზე, რომელსაც ვიქტორიანული ეპოქა დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენელ ქალს სთავაზობდა და თავისი ქმედებებით ახდენს საკუთარი იდენტობის ხელახალ „პერფორმირებას". საკუთარი გონებამახვილობისა და შინაგანი სიმტკიცის წყალობით, ჯეინ ეარი წარმოგვიდგება ინტელექტუალური და ეგზისტენციალური თავისუფლების სიმბოლოდ.

ავთანდილ აჩუაშვილი

მოდერნისტული ხელოვნება ხოსე ორტეგა ი გასეტის „ხელოვნების დეჰუმანიზაციაში"

ხოსე ორტეგა ი გასეტის ფილოსოფიური ესსე, „ხელოვნების დეჰუმანიზაცია" (1925), წარმოადგენს XX საუკუნის მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ ფუნდამენტურ თეორიულ ნაშრომს. ავტორი ხელოვნებას სოციოლოგიური პერსპექტივიდან განიხილავს და ამტკიცებს, რომ ახალი ხელოვნება თავისი არსით „არაპოპულარულია". მისი ძირითადი მახასიათებელია საზოგადოების ორ ანტაგონისტურ ჯგუფად – „რჩეულ უმცირესობად", რომელსაც ესმის ახალი ესთეტიკა, და „მასად", რომელიც მას უარყოფს – ავტომატური გაყოფა.

ავტორი მოდერნის ხელოვნებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, რაც მისდამი სასარგებლო არგუმენტაციაში გამოიხატა, ახალი მხატვრული ტენდენციათა აზრის წვდომისათვის აპრიორული საჭიროებით ამართლებს.

ნაშრომის ცენტრალური თეზისი „დეჰუმანიზაციის" პროცესია. ორტეგას მიხედვით, ტრადიციული ხელოვნებისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანური რეალობის ასახვას (მიმეზისს) ეფუძნებოდა, მოდერნიზმი მიზნად ისახავს ხელოვნების განწმენდას ყოველდღიური ანთროპომორფულობისგან. ხელოვანი არა რეალობის კოპირებას, არამედ მისგან მაქსიმალურ დისტანცირებას და „ულტრა-ობიექტური" ესთეტიკური სინამდვილის შექმნას ცდი-

ლობს. ეს გულისხმობს მზერის მიმართულების რადიკალურ შეცვლას: იდეა ხდება არა საგნის აღქმის ინსტრუმენტი, არამედ თავად აზროვნების საგანი.

უშუალოდ დეჰუმანიზაციის გარდა, რომელიც ხელოვნებას ახალ ავტონომიურობას სძენს, ახლებური ესთეტიკური მსოფლაღქმის მთავარი მხარდამჭერი არგუმენტებია: ხელოვნების მარტოოდენ თამაშის გაგებისაკენ სწრაფვა, რაც მას სერიოზულ საკითხებზე პასუხის ძიებისგან ანთავისუფლებს; მისწრაფება მძაფრი ირონიისკენ, რაც არბილებს ესთეტიკურ აღქმაში წარსულის მიმართ სიყვარულით გამოწვეულ დეტერმინაციას. ეს უკანასკნელი, ორტეგას აზრით, ხელოვანს ანთავისუფლებს თვითტკბობის ფარსისგან, რითაც თაობები ერთიმეორის არეკვლით უსასრულოდ ზეიმობენ.

ავტორი ასკვნის, რომ დეჰუმანიზაცია არ არის ხელოვნების დაკნინება, არამედ მისი გათავისუფლება ყოველდღიური ყოფითი სიმძიმისგან. ახალი ხელოვნება მოითხოვს სპეციფიკურ ესთეტიკურ ნიჭს, მეტაფორის რეალობის საბურველისგან ემანსიპაციას, რაც ხელოვნების ქმნილებას წმინდა ჭვრეტის საგნად აქცევს. ეს პროცესი, ორტეგას აზრით, წინასწარმეტყველებს ახალი სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებას, სადაც ინტელექტუალური (წმინდა მეცნიერული) და ესთეტიკური წვდომა საზოგადოების დიფერენციაციის მთავარ ნიშნად იქცევა.

ვახსენიკ ბაგდასარიანი
მარიანა მანუკიანი

ქალთა მარში ვერსალზე: 1789 წ. ოქტომბერი

1789 წლის 5-6 ოქტომბერს, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში, ქალებმა მარში მოაწყვეს ვერსალზე. ეს არის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი, რომელმაც ძალაუფლების ბალანსი სამეფო კარმიდან ხალხის სასარგებლოდ რადიკალურად შეცვალა. ეს მოვლენა არ იყო მხოლოდ სოციალური პროტესტი შიმშილისა და პურის დეფიციტის წინააღმდეგ – ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური აქტი, რომელმაც დაასრულა აბსოლუტიზმის ეპოქა საფრანგეთში.

მარშის უმთავრესი შედეგი მეფე ლუი XVI-ის პარიზში, ტიუილრის სასახლეში იძულებითი გადასახლება გახდა. ამით ვერსალმა, როგორც აბსოლუტური ძალაუფლებისა და ხალხისგან იზოლაციის სიმბოლომ, ფუნქცია დაკარგა. მონარქი, რომელიც მანამდე „ღვთისგან ბოძებულ“ ხელშეუხებელ ფიგურად ითვლებოდა, ფაქტობრივად, საკუთარი ხალხის მძევალი გახდა. ამან საფუძველი გამოაცალა ძველ წესწყობილებას და გზა გაუხსნა კონსტიტუციურ მონარქიას.

გარდა პოლიტიკური ცვლილებებისა, ამ მოვლენამ ხაზი გაუსვა ქალთა, როგორც რევოლუციური ძალის, პოტენციალს. პარიზელი ე.წ. „ბაზრის ქალების“ (Poissardes) სიმამაცემ და ორგანიზებულობამ აჩვენა, რომ რევოლუცია აღარ იყო მხოლოდ ინტელექტუალების თეორიული მსჯელობის საგანი, არამედ მასობრივი, ეგზისტენციალური ბრძოლა გადარჩენისთვის.

საბოლოო ჯამში, ოქტომბრის დღეებმა დაამტკიცა, რომ ხალხის ნებაზე მაღლა აღარანაირი ტიტული აღარ იდგა. სწორედ ამ მარშმა აქცია რევოლუცია შეუქცევად პროცესად, რამაც საბოლოოდ მეფის სიკვდილით დასჯამდე და რესპუბლიკის გამოცხადებამდე მიიყვანა ქვეყანა. ეს იყო მომენტი, როდესაც მშიერმა ხალხმა საფრანგეთის ისტორიის კურსი სამუდამოდ შეცვალა.

თამარ ბაღავაძე
ემილია გასუმოვი

ორი მნიშვნელოვანი ფიგურა ამერიკულ საზოგადოებაში: ჯეიმს ჰარბორდი და რობერტ უალტონ მური

მოხსენებაში გაანალიზებულია ორი მნიშვნელოვანი ფიგურის - გენერალ ჯეიმს გ. ჰარბორდისა და რობერტ უალტონ მურის მოღვაწეობა ამერიკულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში. ისინი წარმოადგენდნენ იმ ისტორიულ ფიგურებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს არა მხოლოდ ამერიკელ, არამედ მსოფლიო ხალხთა ცნობიერებაშიც.

ჯეიმს გ. ჰარბორდი იყო არმიის ოფიცერი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში გენერალ ჯონ ჯ. პერშინგის შტაბის უფროსად მსახურობდა. 1919 წლის მაისიდან ის საფრანგეთში ამერიკული საექსპედიციო ძალების შტაბის უფროსი იყო. როდესაც ამერიკული ძალები საფრანგეთში ჩავიდნენ, მათ არ გააჩნდათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, საჭირო იყო სამხედრო სისტემის მოწესრიგება და ადმინისტრაციული მართვის გაუმჯობესება. რაც შეეხება კავკასიის საკითხს, გენერალი ჰარბორდი საქართველოს 1919 წლის 2 მაისს ეწვია, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის დავალებით. ვიზიტის შემდეგ, მან დიდი სიმპათიით აღწერა თბილისი და ქართველები (ან აქ მცხოვრებლები). ამის გარდა, ჰარბორდი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მემუარისა და ისტორიული ნაშრომის ავტორი: Leaves from a war diary (1925), The American Army in France (1936).

რობერტ უალტონ მური იყო ამერიკელი კონგრესმენი ვირჯინიის შტატიდან. 1887-1890 წლებში იყო ვირჯინიის შტატის სენატის წევრი. 1901 და 1902

წლებში მონაწილეობდა შტატის საკონსტიტუციო კონვენციაში. 1922 წლის 7 დეკემბერს დაინიშნა სმითსონის ინსტიტუტის რეგენტთა საბჭოს წევრად. 1933 წლის 19 სექტემბერს პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა დანიშნა სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ, ხოლო 1937 წელს გახდა სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი. იგი თავადაც ბევრს კითხულობდა და თავისი დროის ყველაზე განათლებულ იურისტად ითვლებოდა. მისი პირადი ბიბლიოთეკა და წერილები დღესაც მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისთვის, რომლებიც რუზველტის ეპოქას შეისწავლიან.

1926 წელს რობერტ უალტონ-მურმა წარმომადგენელთა პალატაში, როგორც ვირჯინიის შტატის დეპუტატმა და ნიუ იორკელმა სენატორმა სამუელ კოპლენდმა, სენატში ერთდროულად შეიტანეს წინადადება ამერიკაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნასა და ხაზინიდან ხარჯების გაღებაზე, რასაც შედეგად მოჰყვა კონგრესის მიერ წიგნის „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოცემა და საქართველოს ოკუპაციის აღიარება ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან, 1929 წელს კი საქართველოს ლტოლვილი მთავრობის წარმომადგენლად ვასილ დუმბაძის დანიშვნა.

გენერალ ჯეიმს გ. ჰარბორდისა და რობერტ უალტონ მურის მოღვაწეობამ გარკვეული კვალი დატოვა არა მხოლოდ ამერიკულ და მსოფლიო ისტორიაში, არამედ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ქართველთა ცნობიერებაშიც.

მიხეილ ბაღიაშვილი
მიხეილ სამადაშვილი

მეფის ძალაუფლების საზღვრები ინგლისში; „უფლებათა ბილის“ ისტორია და მნიშვნელობა

ინგლისის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაჩვენებს, რომ ძლიერი სახელმწიფო მხოლოდ მეფის ძალაუფლებაზე არ დგას - ის საჭიროებს წესებს, კანონებს და საზოგადოების ინტერესების დაცვას. სახელმწიფოს მართვის ფორმა თავდაპირველად მეფის თითქმის შეუზღუდავ ძალაუფლებას ეფუძნებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა სამართლიანობაზე, კანონზე დაფუძნებულ მმართველობასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე.

XVII საუკუნე ინგლისის ისტორიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნებით გამოირჩევა. 1660 წელს დაიწყო სტიუარტთა „რესტავრაციის ხანა“, თუმცა ეს პერიოდი დასრულდა 1688 წლის „სახელოვანი რევოლუ-

ციით“, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალი პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებას.

სახელოვანი რევოლუციის შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს ჯეიმზ II სტიუარტი და სამეფო ხელისუფლება გადასცეს მის სიძეს, ჰოლანდიის შტატჰალტერს უილიამ III ორანელსა და ჯეიმზ II-ის პროტესტანტ ქალიშვილს, მერი II სტიუარტს. მათი გამეფება, ფაქტობრივად, ნიშნავდა მონარქის ძალაუფლების შეზღუდვას. ცვლილებების განხორციელება დაიწყო 1689 წლის 16 დეკემბერს, როდესაც ინგლისის პარლამენტმა მიიღო ,,უფლებათა ბილი“. აღნიშნულმა დოკუმენტმა მკაფიოდ დაადგინა მონარქის უფლებების საზღვრები და გააძლიერა პარლამენტის როლი ქვეყნის მართვაში. მეფეს აეკრძალა საკუთარი სურვილით კანონების შეცვლა ან გაუქმება, ასევე გადასახადების დაწესება პარლამენტის თანხმობის გარეშე. კანონების მიღება მხოლოდ პარლამენტის მონაწილეობით გახდა შესაძლებელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სიტყვის თავისუფლებას. პროცესის შედეგად 1689 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა მმართველობის ახალი ფორმა - კონსტიტუციური მონარქია. რეალური პოლიტიკური ძალა გადავიდა პარლამენტის და ბურჟუაზიის ხელში.

აღნიშნული დოკუმენტი არა მხოლოდ ინგლისის ისტორიისთვის, არამედ მსოფლიო პოლიტიკური განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანი წყარო გახდა. მან გავლენა მოახდინა დემოკრატიული იდეების გავრცელებაზე და საფუძველი ჩაუყარა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. თანამედროვე სამყაროში, სადაც ჯერ კიდევ მრავალი სახელმწიფო იბრძვის სამართლიანობისთვის, ადამიანისა და თავისუფლების დასაცავად, „უფლებათა ბილი“ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მაგალითად გვევლინება და გაგვახსენებს, რომ ცვლილება შესაძლებელია, რაც მეტყველებს მის აქტუალობაზე.

ღიზი ბაშახუღი
გვანცა შიუკაშვიღი

1832 წლის შეთქმულება ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობით

მე-19 საუკუნე საქართველოსთვის იყო დაპყრობის, დიდი ცვლილებებისა და, ამავე დროს - ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების პერიოდი. 1832 წლის შეთქმულება ამ საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა

იყო, რომელიც უკავშირდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

იმპერიულმა რეჟიმმა საქართველოს სამეფოს საგვარეულოს წევრები რუსეთში გადაასახლა, სადაც გაჩნდა ქვეყნის განთავისუფლების ფარული გეგმა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი აჯანყებები ერთგვარი ბიძგი იყო ამ დიდი შეთქმულებისა. შეთქმულებაში მონაწილეობა ბეწვის ხიდზე გავლის ტოლფასი იყო. შეთქმულები იაზრებდნენ, რომ მათ ქმედებას რუსეთი უპასუხოდ არ დატოვებდა, მაგრამ ჟინი, რომელიც ქართველებს გააჩნდათ, უკან დახევის საშუალებას არ აძლევდა. ნათელია ისიც, რომ იმპერიული რეჟიმი განათლებულ ხალს ერჩოდა, ვინაიდან ცოდნით შეიარაღებული ადამიანი კიდევ უფრო მეტად, ფარულად თუ გაცხადებულადაც უპირისპირდებოდა მას.

მოხსენებაში განვიხილავთ 1832 წლის შეთქმულების მიზანს და გავაცნობთ მკითხველს შეთქმულთა დაკითხვის მასალებს; გავიგებთ, თუ რა ხდებოდა შეთქმულების შემდეგ, რა ჩვენებებს აძლევდნენ შეთქმულების მონაწილეები საგამოძიებო კომისიას, რამდენად ემთხვეოდა მათი ჩვენებები ერთმანეთს. უფრო მეტად კი ყურადღებას გავამახვილებთ ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობაზე და მის როლზე შეთქმულებაში.

ნია ბაქრაძე
ღიზი ხუბულია

ტიუდორთა დინასტია და მათი გავლენა ინგლისზე

ტიუდორთა მმართველობა ცნობილია როგორც, ინგლისის „ოქროს ხანა“. მოხსენებაში ვეცდებით, შესაბამისად წარმოვაჩინოთ ტიუდორები (1485-1603). ეს დინასტია სათავეში მოდის ბოსვორტის ბრძოლის შემდეგ და აქედან იწყება მათი დიდებული საუკუნის ათვლა.

თავდაპირველი ტიუდორები, რომელთაც სათავე დაუდეს ამ დინასტიის სიდიადესა და ინგლისის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ აყვავებას, გახლდნენ ჰენრი VII (1485-1509 წწ.) და ჰენრი VIII (1509-1547 წწ.). ინგლისში ხშირი იყო შინააშლილობები, მიმდინარეობდა ბრძოლა ფეოდალურ დაჯგუფებებში, მათ შორის, ლანკასტერებსა და იორკებს შორის, რომელსაც თავისი ქორწინებით ბოლოს უღებს ჰენრი მეშვიდე. განვიხილავთ ინგლისის მეფეს, ჰენრი მერვეს, მის ურთიერთობას რომის პაპთან, რამ განაპირობა ანგლიკანური ეკლესიის ჩამოყალიბება და მის საგარეო თუ საშინაო რეფორმებს. განვიხილავთ ედუარდ VI (1547-1553 წწ.) და მის დას - მერის (1553-1558 წწ.), რომელ-

საც სისხლიანი მერის სახელით ვიცნობთ; ხაზს გავუსვამთ მათ განსხვავებულ პოლიტიკას.

განსაკუთრებულ წარმატებას ინგლისის ტახტზე ელიზაბეტ I (1558-1603 წწ.) აღწევს. ის მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მოხსენებაში ვისაუბრებთ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებაზე, მის დაპირისპირებაზე ტახტის მოცილეებთან, მათ შორის, მერი სტიუარტთან. ტიუდორთა დინასტიის მმართველობამ არა მარტო გააძლიერა სამეფო ხელისუფლება, არამედ საფუძველი ჩაუყარა ინგლისის გარდაქმნას.

ავთანდილ ბაღათუჰია

ოთარ ჭილაძის პოემის „თიხის სამი ფირფიტა“ იდეურ-მხატვრული ანალიზი

ოთარ ჭილაძე XX-XXI საუკუნეების გამორჩეული ქართველი პოეტი, მწერალი და შემოქმედია, რომელმაც მკითხველის ყურადღება სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო. ოთარ ჭილაძის მიერ შექმნილი პოეტური თუ პროზაული სამყარო ინდივიდუალური, ყველასაგან განსხვავებული და საოცრად ღრმაა.

ჭილაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ადამიანს - მის როლს, არსსა და მნიშვნელობას, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში სწორედ ადამიანია მთავარი.

ამ მხრივ განსაკუთრებულია პოემა „თიხის სამი ფირფიტა“, რომელიც თავისი შინაარსითა თუ მხატვრული სახეებით მკითხველს მარადიულ თემებზე აფიქრებს. ავტორის მიზანიც სწორედ ეს არის, დააფიქროს მკითხველი ადამიანის არსზე, იმაზე, თუ რას ტოვებს ის ამ სამყაროში.

პოემის სიუჟეტით ავტორი წარმოგვიდგენს, რომ თითოეული ჩვენგანი დროებით ვართ ამ სამყაროში, თუმცა არსებობს რაღაც, რაც ჩვენი წასვლის შემდეგ რჩება. ასეთია სიტყვაც, რომელიც, როგორც პოეტი წერს, „ადამიანზე გამძლეა“.

„თიხის სამი ფირფიტა“ არის ერთგვარი სარკე, რომელში ჩახედვითაც ადამიანმა საკუთარი თავი და სამყარო უნდა შეიმეცნოს. ოთარ ჭილაძე მარცვალ-მარცვალ და სტრიქონ-სტრიქონ გვაფიქრებს თითოეულ ჩვენგანს, ხოლო დასასრულ მთავარ სათქმელს საოცარი სიტყვებით გადმოგვცემს, სადაც ჩვენ, მკითხველებს, მოგვიწოდებს, რომ გავილაშქროთ დავიწყების წინააღმდეგ და ვესწრაფოთ მარადიულობას ანუ იმას, რაც აქ გვტოვებს და რამაც „პატიოსნად, დიდხანს და მყუდროდ“ უნდა გვაცხოვროს, მაშინაც კი, როცა ამ სამყაროში აღარ ვიქნებით.

მოხსენებაში საუბარი გვექნება სწორედ ოთარ ჭილაძის ამ გამორჩეული პოემის - „თიხის სამი ფირფიტა“ მხატვრულ და იდეურ მხარეზე, რაც ტექსტს ესოდენ დიდ ღირებულებას ანიჭებს.

ანა ბიღანიშვიღი
მახიამ პეტხიაშვიღი

ივანე ჯავახიშვილი და ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა

XIX-XX საუკუნეები ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის რთულ პერიოდად იქცა, რაც განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობრივი გაუქმებით. სწორედ ამ რთულ პერიოდში გამოჩნდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიის კვლევა აქცია ეროვნული იდენტობის აღდგენის საშუალებად.

საკვლევი კითხვები: 1. როგორ მოახდინა ჯავახიშვილმა ქართული სამართლის წყაროების ფილტრაცია, რათა აღედგინა ტექსტების პირვანდელი სახე? 2. რა როლი შეასრულა მისმა სამართლებრივმა კვლევებმა სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენაში რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებულ გარემოში? 3. რამდენად პასუხობდა მისი „მეთოდოლოგიური რევოლუცია“ იმდროინდელი ევროპული მეცნიერების სტანდარტებს და როგორ დაეხმარა ეს ქართული კულტურის საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციას?

ძირითადი მიგნებები: ივანე ჯავახიშვილმა განახორციელა „მეთოდოლოგიური რევოლუცია“, რომლითაც მანამდე არსებული რომანტიზებული თხრობა მკაცრი მეცნიერული ობიექტურობითა და წყაროთმცოდნეობითი კრიტიკით ჩაანაცვლა. ამ მიდგომით ჯავახიშვილმა ქართული ისტორიოგრაფია ევროპულ აკადემიურ სტანდარტებთან გააიგივა და უზრუნველყო ეროვნული ინტერესებისა და მეცნიერული სიზუსტის ბალანსი.

ნიკოლოზ გაბხოშვილი
ანა ოქხიაშვილი

ისტორიული სამკურნალო სივრცეები საქართველოში: ჯანმრთელობის კულტურული ლანდშაფტების ფორმირება და როლი

მოხსენებაში განვიხილავთ საქართველოში ისტორიული სამკურნალო სივრცეების: გოგირდის აბანოების, ბალნეოლოგიური კურორტებისა და მონასტრული კომპლექსების – ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საკითხებს ჯანმრთელობის კულტურული ლანდშაფტების ჭრილში. კვლევა ეყრდნობა ისტორიულ, ეთნოლოგიურ და კულტურის კვლევების მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და ასევე ითვალისწინებს არქეოლოგიურ მონაცემებსა და ტოპონიმიკურ მასალას, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული სივრცეების მრავალმხრივი გააზრებისა.

ქვეყნის კლიმატური და ბალნეოლოგიური ტრადიციები და მათი მნიშვნელობა აღწერილია სამკურნალო და სარეაბილიტაციო საქმიანობის ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მათი როლი მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენის პროცესში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინოლოგიურ თავისებურებებსა და ენათმეცნიერულ ასპექტებს, რომლებიც ამ სივრცეებთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნას ასახავს.

მოხსენება ეფუძნება ისტორიულ-დოკუმენტურ, ეთნოგრაფიულ და სამეცნიერო წყაროებს, რომლებიც აღწერენ საქართველოს სამკურნალო სივრცეების სოციალურ, კულტურულ და სამედიცინო კონტექსტს და მათ განვითარებას დროით ჭრილში. წყაროების ანალიზი აჩვენებს, რომ ისტორიული სამკურნალო და სარეაბილიტაციო სივრცეები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თერაპიული დანიშნულებით, არამედ ასრულებდა სოციალური ურთიერთობების, საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბების ფუნქციებს.

გოგირდის აბანოები გამოიყენებოდა, როგორც ჰიგიენური და სამკურნალო სივრცეები, ბალნეოლოგიური კურორტები – როგორც ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე დაფუძნებული თერაპიული გარემო, ხოლო მონასტრები – როგორც მოვლის, იზოლაციისა და ჰოლისტიკური მკურნალობის ცენტრები. აღნიშნულ სივრცეებში ჯანმრთელობა განიხილებოდა ფართო მნიშვნელობით და მოიცავდა ფიზიკურ, ფსიქიკურ და სულიერ კეთილდღეობას, რაც ტრადიციული მედიცინის მრავალგანზომილებიან ხედვაზე მიუთითებს.

მახიამ გაგნიძე, მახიამ ოდიშვილი

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საფუძვლების ჩამოყალიბება

ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, სისტემურ და წყაროთმცოდნეობაზე დაფუძნებულ კვლევას. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ქართული ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბებასთან, კვლევის მეთოდოლოგიური სტანდარტების დამკვიდრებასთან და ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინის, განვითარებასთან საქართველოში.

მოხსენება ეხება ივანე ჯავახიშვილის როლს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საფუძვლების ჩამოყალიბებაში და მის წვლილს ქართული ისტორიოგრაფიის ინსტიტუციურ და მეთოდოლოგიურ განვითარებაში. კვლევა მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ როგორ ჩამოაყალიბა მას ისტორიული კვლევის ახალი სტანდარტები, რომლებიც ეფუძნებოდა წერილობითი წყაროების კრიტიკულ ანალიზს, მრავალმხრივ კვლევით მიდგომებსა და ისტორიული პრეცესების კომპლექსურ გააზრებას.

ეკა გეხღიანი
მახიამ ღეღიბაშვილი

ეთნოსი და ეთნიკური კულტურა - ფერეიდნელი ქართველების მაგალითი

ეთნოლოგიის ძირითადი ცნებები ეთნოსი და ეთნიკური კულტურაა. ეთნოსი წარმოადგენს საზოგადოებას, რომელსაც აქვს საერთო ენა, ტერიტორია, კულტურა და საერთო წარსულის შეგრძნება. ეთნიკური კულტურა არის ეთნოსისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისა და განვითარებისთვის. უფრო ვიწრო გაგებით კი ეს ცნება მოიცავს მატერიალური, სულიერი და სოციალური კულტურის იმ ელემენტებს, რომლებიც ეთნოსის მთავარ მახასიათებლებს წარმოადგენს.

გვსურს განვიხილოთ ფერეიდნელი ქართველების მაგალითი, თუ როგორია მათი კულტურა, რა არის შეცვლილი, რა არის შემორჩენილი და ა.შ. როგორც ვიცით, 1614-1616 წლებში შაჰ აბასმა გადაასახლა ათასობით ქა-

რთველი ჰერეთიდან და კახეთიდან სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში: ისპაჰანში, ხორასანსა და ფერეიდანში. ფერეიდანში გადასახლებულმა ქართველებმა შეძლეს ეთნიკურობის შენახვა და მრავალი იძულების მიუხედავად, არ განუცდიათ ასიმილაცია. მათი კულტურა სინთეზურია: ენა - შემოინახეს ძველი ქართული დიალექტი, რომელიც თავისუფალია გვიანდელი რუსიციზმებისგან. ტრადიციები - ფერეიდნელებმა საოცარი კულტურული მედეგობა გამოიჩინეს. მიუხედავად რელიგიური ცვლილებისა (ისლამი), მათ ყოფაში დღემდე ცოცხლობს ქართული ადათ-წესები. თვითშეგნება - ფერეიდნელებისთვის „ქართველობა“ არა მხოლოდ წარმომავლობა, არამედ ძლიერი ემოციური კავშირია ისტორიულ სამშობლოსთან.

ჩვენს მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ სამ ძირითად ასპექტზე: ენობრივი თვითმყოფადობა - ფერეიდნელები დღემდე ინარჩუნებენ ქართული ენის არქაულ დიალექტს, რომელსაც ოჯახურ წრეში კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად იყენებენ; ისტორიული მეხსიერება - ტოპონიმები: (მაგ: მარტყოფი), ქართული გვარები და სიმბოლიკა მათთვის სამშობლოსთან დამაკავშირებელი ცოცხალი ხიდია; რეპატრიაციის სურვილი - ფერეიდნელების სწრაფვა ისტორიული სამშობლოსკენ: წიგნების ჩატანა, ფეხით გამოვლილი 1400 კილომეტრი და საქართველოში დამკვიდრების მცდელობა ბიუროკრატიული ბარიერების მიუხედავად. მოხსენების მიზანია, წარმოვაჩინოთ, რომ ეთნოსის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს არა ტერიტორია, არამედ შინაგანი კულტურული კოდი და წინაპრების დანატოვარი ფასეულობებისადმი ერთგულება.

მანანა გიგაური

ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკური ისტორიოგრაფია და ინსტიტუციური ეკონომიკის თანამედროვე ჩარჩო

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა ქართულ და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში უმეტესად ისტორიოგრაფიული ან სამართლებრივი პერსპექტივით განიხილება. წინამდებარე თეზისი გვთავაზობს განსხვავებულ ანალიტიკურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ჯავახიშვილის ეკონომიკური ისტორიოგრაფიის ხელახალ ინტერპრეტაციას.

კვლევის საფუძველს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის ძირითადი ნაშრომები, კერძოდ, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და „ქართული სამართლის ისტორია“. აღნიშნული გაანალიზებულია ახალი ინსტიტუციური

ეკონომიკის ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით. კვლევის მიზანია ჯავახიშვილის ნაშრომებში ინსტიტუციური სტრუქტურების დადგენა და მისი ანალიტიკური მიდგომის შესაბამისობის შეფასება ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენელთა, დუგლას ნორთის, დარონ აცემოღლუს და ჯეიმს ა. რობინსონის თეორიულ ხედვებთან.

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა ინსტიტუტებს განიხილავს როგორც ეკონომიკური ურთიერთობების წესებს, რომლებიც მოიცავს როგორც ფორმალურ მექანიზმებს, როგორიცაა კანონები, საგადასახადო სისტემა და სახელშეკრულებო ნორმები, ისე არაფორმალურ წესებს, მათ შორის ადათებს, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ქცევის ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილი ამ ტერმინოლოგიას არ იყენებდა, მისი ანალიზი სწორედ ამ შინაარსის საკითხებს ეხება, მათ შორის საკუთრების ფორმებს, ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და ტრანზაქციების ხარჯებს ისტორიულ კონტექსტში.

ჯავახიშვილის ნაშრომებში იკვეთება წარსულზე დამოკიდებულების პრინციპი (path dependency principle), რაც გამოიხატება ისტორიული პროცესების გრძელვადიან გავლენაში ინსტიტუციურ განვითარებაზე. ოსმალური ექსპანსიების, ბეგარის სისტემისა და ბატონყმური ურთიერთობების შედეგები ინსტიტუციური ინერციის სახით ვლინდება. იმავდროულად, შუა საუკუნეების პერიოდში ვაჭრობის ზრდა, ქალაქური ცხოვრების განვითარება და ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანებების ჩამოყალიბება შეიძლება შეფასდეს როგორც შედარებით ინკლუზიური ინსტიტუციური გარემოს გამოვლენა, მაშინ, როდესაც შემდგომი კრიზისული პერიოდები უფრო მეტად ატარებს ინსტიტუციონალური წესრიგის ნიშნებს.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით ანალიზსა და ინსტიტუციური მიდგომის გამოყენებას. ანაქრონიზმის რისკი გათვალისწინებულია და კვლევა მიზნად არ ისახავს ჯავახიშვილის ნაშრომების მექანიკურ გადატანას თანამედროვე თეორიულ ჩარჩოში, არამედ ორიენტირებულია შინაარსობრივი თანხვედრების გამოვლენაზე ისეთ საკითხებთან, როგორიცაა საკუთრების ფორმები, საგადასახადო პრაქტიკა, ამქრული სტრუქტურები და ადათობრივი სამართალი.

ჯავახიშვილის ეკონომიკური ისტორიოგრაფია ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან შეიძლება შეფასდეს როგორც ქართული ინსტიტუციური ეკონომიკური ისტორიის ფუნდამენტური საფუძველი. მისი ნაშრომები თანამედროვე თეორიულ კონტექსტში იძენს ახალ ანალიტიკურ მნიშვნელობას და წარმოჩნდება არა მხოლოდ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობად, არამედ აქტუალურ სამეცნიერო რესურსად.

თამარ გიორგაძე
ნანა ბოგვეღი

ისტორიული ფაქტების ტრანსფორმაცია თანამედროვე კინემატოგრაფიაში

თანამედროვე საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს კინო. მასობრივი კომუნიკაციის ამ სფეროს სამიზნე აუდიტორია მოიცავს თითქმის ყველა ასაკის ადამიანს, შესაბამისად, იგი შეგვიძლია მივიჩნიოთ ინდივიდუალური აზროვნების, რწმენების, ღირებულებებისა და ნორმების მაკონსტრუირებელ ინსტრუმენტად. ისტორიული მოვლენები და ბიოგრაფიები არაერთ საკულტო ფილმს დაედო საფუძვლად, მეტიც, იგი იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრად კინომოყვარულთა ანტურაჟში. მაყურებლის ყურადღების მისაპყრობად, რეჟისორები და სცენარისტები ხშირად ცდილობენ ისტორიული ფაქტები საკუთარი მორალური ჭრილიდან გადმოსცენ, რაც ხშირად იწვევს რეალურ მოვლენათა ტრანსფორმაციას. სწორედ ეკრანზე ნანახი გარდასახული ფაქტები ტოვებს ანაბეჭდს მაყურებლის ცნობიერში. იშვიათად ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება ისტორიულ/ბიოგრაფიული ფაქტები მხატვრულ კინემატოგრაფიაში კოლექტიური ცნობიერების გარდასაქმნელად? ფილმებში ისტორიის ტრანსფორმაცია ხშირად განპირობებულია მაყურებელთან კავშირის შექმნის აუცილებლობით. მნიშვნელოვანი მოვლენები პერსონალიზებულ ისტორიებად გარდაიქმნება. ისტორიული ფიგურები ხდებიან გმირები ან ანტიგმირები, ხოლო მოვლენები ტრანსფორმირდებიან დრამატულ კონფლიქტებად, რომლებიც ემორჩილება სიუჟეტს და არა ფაქტობრივ სიზუსტეს. ამ პროცესში იკარგება ისტორიის კომპლექსურობა, მაგრამ სანაცვლოდ იქმნება ძლიერი ემოციური ეფექტი, რომელიც დიდხანს რჩება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. სწორედ ამ მომენტში იკვეთება ნარატივი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოება იაზრებს და აფასებს ისტორიას. ეს ეხება არა მხოლოდ ცალკეულ მოვლენებს, არამედ ცნობილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველ სიუჟეტებს, რომელთაც ახასიათებთ ბიოგრაფიათა საკუთარი ვექტორით აღბეჭდვა. მოხსენებაში განიხილება კულტურული პროდუქტები, რომლებმაც დიდი კონტიბუცია შეიტანა თანამედროვე კინემატოგრაფიის ჩამოყალიბებაში. ისეთი ფილმები, როგორებიცაა „მამაცი გული“, „ტიტანიკი“, „ბოჰემიური რაფსოდია“, განიხილება კარდინალურად განსხვავებული რაკურსით: არა როგორც მაყურებელთა საყვარელი ფილმები, არამედ, როგორც ცნობიერების შეცვლის მაპროვოცირებელი ინსტრუმენტები.

საღომე გიორგაძე
ეღენე გეღაშვიღი

ეროვნული მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც აისახება სიმბოლისტური მიმდინარეობის შემოსვლაში. სიმბოლისტური მიმდინარეობა შეიქმნა ფრანგული სიმბოლიზმის გავლენით, თუმცა განსხვავებულია მისგან. სწორედ ქართული სიმბოლისტური ჯგუფის, ,,ცისფერყანწელების", ლიდერი იყო პაოლო იაშვილი. მისი შემოქმედება გამოირჩევა სიმბოლური აზროვნებით, მუსიკალურობითა და ეროვნული პრობლემის განსაკუთრებული გააზრებით.

ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ ეროვნული მოტივის ასახვა პაოლო იაშვილის შემოქმედებაში. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ძირითად ასპექტზე. ესენია: ევროპეიზაცია და მოდერნიზმი (პაოლოს შემოქმედებაში არ ყოფილა მხოლოდ ლიტერატურული სტილი, ეს იყო ეროვნული გადარჩენის აუცილებელი პირობა. მას სწამდა, რომ ქართული კულტურა მხოლოდ მაშინ გაუძლებდა დროს, თუ ის მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი გახდებოდა), ისტორიული მეხსიერება და მისტიციზმი (ერთმანეთს ერწყმის და ქმნის სამშობლოს სრულიად ახლებურ, მოდერნისტულ სახეს), ეროვნული იდენტობა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დრამატული საკითხია. 1921-1937 წლებში ეროვნული იდენტობა ტრაგიკულ ტრანსფორმაციას განიცდის), პიროვნული მსხვერპლშეწირვა (პოეტი საკუთარი განცდებითა და ეპოქის ტრაგიკული რეალობით აჩვენებს, როგორ შეიძლება ადამიანმა საკუთარი თავი იდეალების, სიყვარულის ან სმშობლოს გამო შესწიროს), ცისფერყანწელები (ამ ჯგუფის წევრები ცდილობდნენ ქართული პოეზია ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობებისათვის დაეახლოვებინათ. პაოლო იაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული აქტიური წევრი იყო. მის პოეზიაში ნათლად ჩანს სიმბოლისტური აზროვნება), სამშობლოს სიყვრული (პოეტისთვის სამშობლო მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე არ არის, იგი წარმოადგენს: ისტორიულ მემკვიდრეობას, კულტურას, ტრადიციებს და ეროვნულ ღირსებას).

მოხსენებაში განხილული იქნება ეროვნული მოტივის თემა პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, ასევე, გაანალიზდება როგორც მისი პოეზია, ისე პროზაული ტექსტებიც, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამშობლოს თემატიკას, ეროვნული ფასეულობების წარმოჩენასა და ერის სულიერი მდგომარეობის ასახვას. მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტსაც, რომელშიც მოღვაწეობდა თვითონ პოეტი და რომლის გავლენითაც ჩამოყალიბდა მისი შემოქმედებითი ხედვა.

ამრიგად, წარმოვადგენთ, რა წვლილი შეიტანა პაოლო იაშვილის შემოქმედებამ ქართული ეროვნული თვითშეგნების გააზრებასა და გამყარებაში.

ღაშა გოგაღაძე

მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულება ციფრულ ბაზრებზე: გამოწვევები და რეგულირების გაუმჯობესების გზები საქართველოში

მოხსენებაში განხილულია სოციალურ ქსელებში მოვაჭრე კომპანიების მიერ მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულების შესრულება. მომხმარებლის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირება მათი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მომხმარებლების ინტერესების დაცვა ბაზრის ეფექტურობის ზრდას, კომპანიებს შორის კონკურენციის გაძლიერებასა და ბაზრისადმი ნდობის ამაღლებას იწვევს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული ბაზრებისთვის. კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს კომპანიების მიერ მომხმარებლების ინფორმირების ვალდებულების შესრულება სოციალურ ქსელებში ინფორმაციის მარტივი და მკაფიო წესით განთავსებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს რეკომენდაციები რეგულირების გასაუმჯობესებლად.

კვლევის მეთოდოლოგია შედგება საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის სააგენტოს გადაწყვეტილებების ანალიზის, სააგენტოს მიერ გამოვლენილი კანონდამრღვევი კომპანიების მიერ სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების შესწავლის და შეგროვებული მონაცემების ექსელში ანალიზისგან. დამატებით, შეიქმნა სატესტო Facebook ბიზნესგვერდი, სადაც გამოიცადა კვლევისას შემუშავებული რეკომენდაციების სავარაუდო ეფექტურობა და Meta-ს ფუნქციების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა დამატებითი რეკომენდაციაც.

მიღებული შედეგების საფუძველზე ვასკვნით, რომ აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება გასცდეს ,,მკაფიო და გასაგებ“ სტანდარტს და სოციალური ქსელების დიზაინზე მორგებული უფრო მკაფიო ვალდებულებები გაჩნდეს. კერძოდ, შემოთავაზებულია ჩატის საშუალებით ხშირად დასმული კითხვების (FAQ) ფუნქციის გამოყენება მომხმარებლისთვის მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის შესათავაზებლად და კომპანიის გვერდის აღწერაში ინფორმაციის წინასწარ შერჩეული სათაურით და ისეთ ადგილას განთავსება, რომ მომხმარებელს კომპანიის გვერდზე

სტუმრობისას რაიმე დამატებითი ქმედების განხორციელება არ დასჭირდეს ინფორმაციის თვალთახედვის არეში მოსახვედრად. ასევე, სააგენტომ უნდა დანერგოს კანონდამრღვევი კომპანიების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი, რითაც მომხმარებლების ინტერესების დარღვევის პრევენციას შეუწყობს ხელს.

გიორგი გოგიშვილი

პრისკე პანიონელისა და მენანდრე პროტიქტორის ცნობათა შეჯერებისთვის

ბიზანტიურ წყაროთა ცნობებზე დაყრდნობით, ლოგიკურად გვესახება ვამტკიცოთ, რომ ვახტანგ გორგასალი 460-იან წლებში იერთებს დას. საქართველოს ტერიტორიას.

ამისთვის მოვიხმობთ პრისკე პანიონელისა (V ს.) და მენანდრე პროტიქტორის (VI ს.) რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას. პრისკეს ნაშრომის 41-ე ფრაგმენტში საუბარია, რომ სვანებს სურდათ, ლაზთაგან

უკან დაებრუნებინათ წართმეული ციხესიმაგრეები, რაშიც სპარსელებს დიდი წვლილი შეუტანიათ და ომი გაუჩაღებიათ ლაზიკის წინააღმდეგ. პრისკე ამავე ცნობაში სპარსელთა გვერდით ასახელებს იბერებს. ამრიგად, ირანის, ქართლისა და სვანეთის კოალიცია უპირისპირდება ლაზიკას, რომელიც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშაა მოქცეული. ცნობა ნაკლულია და რა შედეგით სრულდება ეს დაპირისპირება, ფრაგმენტში პირდაპირ არ ჩანს. ა. ბოგვერაძე ამ მოვლენას 466-468 წლებით ათარიღებს, ბლოკი – 467 წლით, ხოლო კაროლა – 468 წლით.

პრისკეს ნაშრომის სხვა ფრაგმენტებით ირკვევა, რომ 468 წლისათვის ეგრისის სამეფო ტახტზე, ბიზანტიის ჩარევით, გუბაზის ნაცვლად მისი ძე ადის. ამას წინ უსწრებდა გუბაზის ანტიბიზანტიური გამოსვლა, რაც მარცხით დასრულდა. ახალი მეფის ხელისუფლება აშკარად არამყარია, სწორედ ამას მოჰყვება იმავე წელს პრისკესთან აღწერილი სამხედრო კამპანია. გუბაზის ძე სამხედრო დახმარებას ბიზანტიას სთხოვს, თუმცა ვერ იღებს.

468 წლისათვის ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალია და მხოლოდ მას შეიძლებოდა ებრძოლა ეგრისში.

ჩვენი აზრით, პრისკეს ცნობას სათანადოდ ავსებს მენანდრე. 562 წელს, ბიზანტიასა და ირანს შორის საზავო მოლაპარაკებების დროს, ბიზანტიელმა ელჩმა, არგუმენტად იმისა, რომ სვანეთი ბიზანტიას ეკუთვნოდა, წარმოადგინა წიგნაკი, სადაც ეწერა ყველა ის ლაზი მეფე, რომელთაც სვანეთში

დაამტკიცეს მმართველები. ქრონოლოგიურად ეს მოიცავდა ბიზანტიაში თეოდოსისა და სპარსეთში უარანის მმართველობიდან ვიდრე ლეონისა (457-474) და პეროზის (459-484) მმართველობამდე პერიოდს. ამის შემდეგ აღარ ჩანს სიის გაგრძელება. ეს ლოგიკურად მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ეგრისში სუვერენული მეფე აღარ ზის და ამ მხარეში ვახტანგ გორგასლის გავლენაა გავრცელებული. სხვა შემთხვევაში, წიგნაკში ლაზი მეფეების სიის შეწყვეტა არ დაემთხვეოდა სწორედ ვახტანგის აქტიური მეფობის პერიოდს.

თინათინ გოგოძე
ღუკა გოგოძე

სასჯელის მიზნები ძველ ქართულ სამართალში და დღეს

ივანე ჯავახიშვილის იუბილისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მნიშვნელოვანია გავიხსენოთ მისი ღვაწლი ქართული სამართლის ისტორიის წინაშე, რაც უსაზღვროა და წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და, ზოგადად, სამართლის გააზრების კუთხით. დანაშაულისა და სასჯელის შესახებ ნორმატიული თუ სხვა მასალების კვლევით შეგვიძლია შევაფასოთ სახელმწიფოს განვითარებისა და სამართლებრივი აზროვნების დონე. თეზისი შეეხება სასჯელის მიზნების განსაზღვრას ძველ ქართულ სამართალში და საუბარი იქნება ასევე იმაზე, თუ რა მდგომარეობა გვაქვს დღეს ამ კუთხით. აღნიშნული პირდაპირ მიემართება სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრას, თუ რამდენად თანაზომიერ და პროპორციულ დამოკიდებულებაშია სასჯელი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთან. ზოგადად, სასჯელი, რომელიც არ გამომდინარეობს აუცილებლობიდან, ტირანულია (ჩეზარე ბეკარია). ისტორიულად ცნობილია, რომ ქართული სამართალი, განსაკუთრებით 12-13 საუკუნეებში, განვითარების ზენიტში იმყოფებოდა, მეტიც, ფეოდალური ტიპის საზოგადოებაში, ფაქტობრივად, გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა და ტკივილის მომტანი სასჯელები, რაც ჰუმანურობის პირდაპირი გამოვლინება იყო. ივანე ჯავახიშვილმა თავის ნაშრომებში ნათლად დაგვანახა სახელმწიფოს პოლიტიკა სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით. იგი ასახელებს სასჯელის 4 მიზანს, რომელიც ეტაპობრივად უნდა აღსრულებულიყო დამნაშავის რეციდივისტული მისწრაფებების შემთხვევაში. სასჯელის უპირველესი მიზანი იყო დამნაშავის გამოსწორება, მისი ,,გაწურთვნა“, ანუ მსუბუქი და დამრიგებლური სანქციებით დამნაშავის სწორ გზაზე დაყენების პრაქტიკა, რომელიც სათავეს, რა თქმა უნდა, ქრისტიანული იდეოლოგიიდან იღებს. მე-2 მიზანი იყო დამნაშავე პირთათვის ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება,

რაც სუბსიდიარულ ხასიათს ატარებდა, ანუ გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სასჯელის პირველი მიზანი ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. მე-3 მიზანი გახლდათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დამნაშავის გაძევებით ან ექსორიით. საბოლოო, მე-4 მიზანი იყო ეფრემ მცირეს დამკვიდრებული მოძღვრება - კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა. აღნიშნული ნაშრომის დანიშნულებაა ძველი და ახალი სამართლის სისტემების შედარება, გამოვყოფთ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რაც დაგვანახებს რაოდენ განვითრებული იყო ქართული სისხლის სამართალი ისტორიულად და როგორ ამართლებს იგი დღეს მის მემკვიდრეობას.

თინათინ გუგეშაშვილი
მარიამ ღაბაძე

მხატვრული ტექსტი და ისტორიული კონტექსტი (დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ რეცეფცია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში)

დანიელ ჭონქაძის ერთადერთი მოთხრობა „სურამის ციხე“, პირველად 1859 წელს, ჟურნალ „ცისკრის“ მე-12 ნომერში დაიბეჭდა და თავიდანვე სოციალური პრობლემატიკის ამსახველ მოთხრობად იქნა მიჩნეული. „სურამის ციხემ“ არაერთი უსიამოვნება მიაყენა მწერალს სიცოცხლეში, მაგრამ სამუდამოდ უკვდავყო მისი სახელი.

„სურამის ციხე“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იცვლება მხატვრული ტექსტის აღქმა სხვადასხვა ეპოქაში და როგორ ხდება ნაწარმოების შესახებ ერთ დროს მყარად დამკვიდრებული შეხედულებების დეკონსტრუქცია. მწერლის თანამედროვე კრიტიკამ მოთხრობა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტად აღიქვა. მოგვიანებით, მარქსისტ კრიტიკოსებთან ეს დამოკიდებულება ისეთ რადიკალიზმში გადაიზარდა, რომ დანიელ ჭონქაძე ილია ჭავჭავაძეზე დიდ მწერლად გამოაცხადეს, იმის გამო, რომ „სურამის ციხე“ ბატონყმობის გაუქმებამდეა დაწერილი. მეცხრამეტე საუკუნეშივე ჩამოყალიბდა კრიტიკული აზრიც ამ ნაწარმოებზე. ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებით, მოთხრობა აგებული იყო არა ტიპურ, არამედ გამონაკლის შემთხვევაზე და ამდენად სამართლიანად არ ასახავდა ისტორიულად არსებულ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის. გასათვალისწინებელია აკაკი წერეთლის უარყოფითი შეფასებაც, რომელიც ნაწარმოებს „ბავშვურს“ უწოდებს, თხრობის გულუბრყვილო მანერის გამო. „სურამის ციხის“ იმავე ნაკლზე მიუთითებს გიორგი თუმანიშვილიც. მეოცე საუკუნეში „სუ-

რამის ციხის“ საინტერესო ანალიზი შემოგვთავაზა აკაკი ბაქრაძემ, რომელმაც პერსონაჟთა ხასიათებისა და ცხოვრების გაანალიზების საფუძველზე მიიჩნია, რომ „სურამის ციხის“ მთავარ თემას არა სოციალური, არამედ - ცოდვისა და პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი წარმოადგენს. მოხსენებაში კომპარატივისტულ ჭრილში წარმოჩენილი იქნება კრიტიკოსთა მოსაზრებები, რაც ნათლად დაგვანახებს, თუ როგორი განსხვავებული ინტერპრეტაციების წყაროდ შეიძლება იქცეს კლასიკური ლიტერატურის ძეგლი.

მარიამ გუღურიდავა
ნიკოღოზ თარაშვილი

დელეგატთა ასამბლეიდან ეროვნულ ხელისუფლებამდე: კონტინენტური კონგრესების ტრანსფორმაციული როლი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების კონტექსტში

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ სამხედრო დაპირისპირების შედეგი არ ყოფილა. იგი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრა კოლონიებს შორის პოლიტიკური კოორდინაციისა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების ინსტიტუციური ფორმებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ამ პროცესში ენიჭება რევოლუციის პერიოდში მოქმედ კონტინენტურ კონგრესებს, რომლებიც კოლონიების წარმომადგენლობით ორგანოდ ჩამოყალიბდა და თანდათანობით გადაიქცა კოლექტიურ პოლიტიკურ ხელისუფლებად.

ძირითადი საკვლევი კითხვა შემდეგნაირი ფორმულირებითაა წარმოდგენილი: რამდენად და როგორ გარდაქმნა კონტინენტურმა კონგრესებმა კოლონიების დეცენტრალიზებული პროტესტი ერთიან პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა? კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას,რომლის მიხედვითაც კონტინენტურმა კონგრესებმა უზრუნველყო არა მხოლოდ კოლონიური წინააღმდეგობის კოორდინაცია, არამედ შექმნა კოლექტიური პოლიტიკური ლეგიტიმაციის სივრცე, რომელმაც შესაძლებელი გახადა დამოუკიდებლობის იდეის ინსტიტუციონალიზაცია და შემდგომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირება.

პირველი კონტინენტური კონგრესი (1774) წარმოიშვა ბრიტანეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ კოლონიების რეაქციის შედეგად და მიზნად ისახავდა კოლონიური ინტერესების კოლექტიურ დაცვას. ამ ფორუმზე

ჩამოყალიბდა პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც ეფუძნებოდა წარმომადგენლობის გარეშე დაბეგვრის მიუღებლობასა და ბუნებითი უფლებების იდეას. მოგვიანებით, მეორე კონტინენტურმა კონგრესმა (1775–1781) კოლონიებს შორის პოლიტიკური კოორდინაცია უფრო მაღალ დონეზე აიყვანა: მან მოახდინა სამხედრო ძალების ორგანიზება, საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვა და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. 1776 წლის 2 ივლისს კონგრესმა დაამტკიცა კოლონიების დამოუკიდებლობა, ხოლო ორი დღის შემდეგ ოფიციალურად მიიღო ,,United States Declaration of Independence", რომელმაც კოლონიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.

საბოლოოდ, კვლევამ აჩვენა, რომ კონგრესები ფუნქციურად დაემსგავსა დე ფაქტო ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ხელმძღვანელობდა ომის მიმდინარეობას, აყალიბებდა საგარეო პოლიტიკას და ამზადებდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისთვის განკუთვნილ სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, კონფედერაციის მუხლს. სწორედ ამ პროცესმა შექმნა პოლიტიკური ჩარჩო, რომლის საფუძველზეც კოლონიები თანდათან ერთიან სახელმწიფოდ გადაიქცა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ისტორიული კვლევისთვის დამახასიათებელ - კლასიკურ მეთოდებს, შემოფარგლულს: ისტორიულ-გენეტიკური ანალიზით (კონგრესების ევოლუციის კვლევა); ისტორიულ-კომპარატიული/შედარებითი მეთოდითა (კოლონიების პოლიტიკური პრაქტიკის შედარება ბრიტანულ საპარლამენტო ტრადიციებთან) და დოკუმენტური ანალიზით (კონგრესის დებატები, დეკლარაციები და ოფიციალური აქტები).

საღომე გუმბეhიძე
თეკლა hევიშვიღი

ზამთრის სიმბოლიკა ჰაინრიh ჰაინეს პოლიტიკურ სატირულ პოემაში „გერმანია. ზამთრის ზღაპარი" („Deutschland. Ein Wintermärchen")

ჰაინრიh ჰაინე (Heinrich Heine) (1797-1856) ადრეული გერმანული რეალიზმის, კერძოდ, ე. წ. „ფორმერცის" (გერმ. Vormärz) ლიტერატურის, ანუ მარტის რევოლუციამდელი ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომლის შემოქმედება გამოირჩევა სატირით, ირონიითა და ღრმა სოციალურ-პოლიტიკური კრიტიკით. იგი თავის ნაწარმოებებში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალგაზრდა ჰაინეს ადრეულ რომანტიკულ

შემოქმედებას) ხშირად წერდა პოლიტიკური თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური ჩაგვრის თემებზე. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია პოლიტიკური სატირული პოემა „გერმანია. ზამთრის ზღაპარი“ („Deutschland. Ein Wintermärchen“) (1844).

პოემაში წინა პლანზეა წამოწეული ეროვნული საკითხები, რაც მოიაზრებს სამოქალაქო და პოლიტიკურ კრიზისებს (მაგ., 1840 წლის რაინის კრიზისი), ასევე აქ თემატიზებულია რელიგიისა და ეკლესიის საკითხი, ნაციონალისტური მითების საკითხი, პრუსიის მილიტარიზმისა და ხალხის მორჩილი მენტალიტეტის საკითხები. როგორც ამავე პერიოდის ლექსებში, ისე ამ პოემაშიც გამოვლენილია ჰაინეს ორმაგი დამოკიდებულება გერმანიისადმი, კერძოდ, ის იცნობს მხოლოდ ორ გერმანიას: პირველი - ეს არის გერმანია ფეოდალური შუასაუკუნეობრივი წარსულით და მეორე - ეს არის გერმანია, რომელიც დაკავშირებულია მითებთან, ლეგენდებთან, ზღაპრებთან, რეფორმატორებთან (ლუთერი) და ფილოსოფოსებთან (კანტი, ფიხტე, ჰეგელი).

ჰაინე, როგორც ვთქვით, არის ირონიული, კრიტიკული და თავისუფლებისმოყვარე ავტორი. იგი არ იღებს და არ აღიარებს გერმანიაში არსებულ კონსერვატორულ-მონარქისტულ წესრიგს, რომელშიც უწევს ცხოვრება და მუდმივად ცდილობს გააკრიტიკოს ეს პოლიტიკური რეჟიმი, რათა საზოგადოებამ რეალობის დანახვა შეძლოს. ამიტომ, მისი იარაღი არის ლიტერატურული სატირა და სარკასტული პოეტური ენა.

პოემაში სწორედ ზამთარია მე-19 საუკუნის 20-40-იანი წლების გერმანული საზოგადოების პოლიტიკური და მენტალური სიბნელის (ხალხის ბრმადმორწმუნეობა, ცრუმორწმუნეობა, წრურწმენები, პოლიტიკური მორჩილება), საზოგადოების განათლების დაბალი დონისა და ინტელექტუალური თუ პოლიტიკური განუვითარებლობის მეტაფორა. შესაბამისად, ზამთარი არ არის მხოლოდ წელიწადის დრო, როდესაც პოემის მოქმედება მიმდინარეობს, არამედ ეს მეტაფორა სიმბოლურად გამოხატავს განუვითარებელი საზოგადოების ჩაკეტილობას და პასიურობას.

ჰაინესეული ზამთრის სიმბოლიკა გვაფრთხილებს, რომ, თუ ადამიანები (როგორც გერმანიაში, ისე ზოგადად) არ შეიცვლიან პასიურ პოლიტიკურ მდგომარეობას და არ აიღებენ თავის წილ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ვერ შექმნიან უკეთეს პოლიტიკურ და სოციალურ მომავალს. სწორედ ამიტომ, ჰაინეს ტექსტი არ არის მხოლოდ მისი თანამედროვე სოციუმის მორალის ასახვა და მხილება, არამედ მოწოდებაცაა, რომ საზოგადოებამ გამოიღვიძოს და შეძლოს გზის გაკვალვა თავისუფლების, სამართლიანობისა და უკეთესობისკენ, რათა ახლად შობილმა საზოგადოებამ წარსულსა და სტაგნაციაში ჩარჩენილი „ცივი“ გერმანია გადაიყვანოს როგორც პოლიტიკურ, ისე მენტალურ „სითბოში“.

იოსებ დათუნაშვილი

მშვენიერების მეტაფიზიკა: პლოტინის ესთეტიკა და სულის აღმავალი გზა

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს პლოტინის ესთეტიკას, როგორც სულის „შინაგანი მოგზაურობის“ ინსტრუმენტს. ნეოპლატონურ სისტემაში მშვენიერება არ არის სტატიკური მოცემულობა. ის არის ემანაციის, ერთისგან მომდინარე ღვთაებრივი სინათლის დინამიკური გამოვლინება მატერიაში.

ნაშრომის ცენტრალურ ნაწილში გაანალიზებულია ქვისა და ხელოვნების ალეგორია. პლოტინი სვამს ფუნდამენტურ კითხვას: რატომ არის დამუშავებული ქვა უფრო მშვენიერი, ვიდრე ნედლი ლოდი? პასუხი მდგომარეობს არა ფიზიკურ სიმეტრიაში, არამედ იმაში, რომ ხელოვანმა მასში შეიტანა გონითი ფორმა (ეიდოსი).

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ,,სულის ქანდაკების“ მეტაფორას. პლოტინი მოგვიწოდებს, ვიმოქმედოთ ისე, როგორც მოქანდაკე: ჩამოვაცილოთ სულს ყველაფერი ზედმეტი და მატერიალური, რათა მასში გაბრწყინდეს შინაგანი მშვენიერება. თუ მშვენიერება არის ის, რაც გვიზიდავს, სიკეთე არის ის წყარო, რომელიც ამ მიზიდულობას აზრს ანიჭებს.

ნაშრომის კულმინაციაა ,,მისტიკური ექსტაზის“ ფენომენის განხილვა. პლოტინისთვის უმაღლესი ესთეტიკური ჭვრეტა მთავრდება იქ, სადაც ქრება ზღვარი დამკვირვებელსა და დასაკვირვებელს შორის. ეს არის ჰენოზისი, ერთიანთან შერწყმა, სადაც მშვენიერება, როგორც ფორმა, უკან იხევს და სული პირისპირ რჩება უფორმო, აბსოლუტურ ნათებასთან.

დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია, რომ პლოტინის ესთეტიკა არ არის მხოლოდ „ხელოვნების თეორია“, არამედ ეს არის ეგზისტენციალური აქტი, ადამიანმა მატერიალურ „ტყვეობაში“ აღმოაჩინოს თავისი ღვთაებრივი გენეალოგია.

ნინო დეკანოსიძე
ეთუნა ხოსიტაშვილი

მორალი და პოლიტიკა იმანუელ კანტის ფილოსოფიაში: „მარადიული მშვიდობის“ კონცეფციის ანალიზი

მორალისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი მრავალი ფილოსოფოსის საკვლევი თემა გამხდარა, მათ შორისაა იმანუელ კანტი (1724-1804) - გერმანელი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა

დასავლურ ფილოსოფიაში. იგი ცნობილია თავისი კრიტიკული ფილოსოფიით, რომლის ცენტრალური საკითხებია: გონი, მორალი და თავისუფლება. კანტის აზრით, ადამიანი რაციონალური არსებაა, რომელიც მორალზე დაყრდნობით მოქმედებს, ხოლო მისი ფილოსოფიური სისტემის უმნიშვნელოვანესი იდეა დგას კითხვებზე: რა შემიძლია ვიცოდე? რა შემიძლია გავაკეთო? რისი იმედი შეიძლება მქონდეს და რა არის ადამიანი? კითხვებზე პასუხი შეგვიძლია ვნახოთ კანტის მორალისა და პოლიტიკის ფილოსოფიურ გაგებაში. იგი განმარტავს, რომ მორალი უნივერსალურ და რაციონალურ კანონებს ეფუძნება მაშინ, როდესაც პოლიტიკა ხშირად პრაქტიკული ინტერესებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისკენაა მიმართული. ამ მხრივ განასხვავებს „პოლიტიკურ მორალისტს“, რომელიც მორალს პოლიტიკურ ინტერესებს არგებს და „მორალურ პოლიტიკოსს“, რომელიც სახელმწიფო საქმიანობას ზნეობრივი კანონის შესაბამისად წარმართავს.

კანტის მორალური ფილოსოფია ეფუძნება: 1. კატეგორიულ იმპერატივს, რომლის მიხედვითაც ქმედება უნდა იყოს უნივერსალური და 2. ადამიანის, როგორც მიზნის პრინციპს, რომელიც მოითხოვს ადამიანის ღირსების პატივისცემასა და როგორც საშუალების არასდროს გამოყენებას. ის აყალიბებს საჯარო სამართლის ტრანსცენდენტალურ ფორმულას, რომელიც ერთდროულად მორალურიცაა და სამართლებრივიც: „უსამართლოა ყველა სხვა ადამიანის უფლებათა მიმართ განხორციელებული ქცევა, რომელიც შეთავსებადი არ არის საჯაროობასთან“. იმანუელ კანტისთვის მორალისა და პოლიტიკის თანხვედრა „მარადიული მშვიდობის“ მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. „მარადიული მშვიდობის“ კონცეფცია არ არის მხოლოდ ტექნიკური და დიპლომატიური ამოცანა, ის მორალური ვალდებულებაა. პოლიტიკა მაშინ ხდება ნამდვილი „ხელოვნება“, როდესაც იგი აღიარებს მორალის უზენაესობას და მიზნად ისახავს თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას საყოველთაო კანონმდებლობის ფარგლებში.

კანტის ფილოსოფია დღეს განსაკუთრებით აქტუალურია „რეალპოლიტიკის“ დაბრუნების ფონზე. მისი თეორია შეგვახსენებს, რომ ნამდვილი მშვიდობა არა მხოლოდ ომის არარსებობა, არამედ მორალური და სამართლებრივი მდგომარეობაა. პოსტსიმართლისა და დეზინფორმაციის ეპოქაში, კანტის მოთხოვნა პოლიტიკის საჯაროობისა და ადამიანის ღირსების პრიმატზე, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის მყარ ორიენტირად რჩება. მისი „მარადიული მშვიდობის“კონცეფცია პირდაპირ პასუხობს თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს და ადასტურებს, რომ ეთიკის გარეშე პოლიტიკა მხოლოდ ძალაუფლებისთვის ბრძოლაა და არა საზოგადოებრივი პროგრესის ინსტრუმენტი.

თეკლა დვალიშვილი
ლიზი ქვარივიშვილი

საბჭოთა მემკვიდრეობა და პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის გზები: საქართველოსა და პოლონეთის შედარებითი ანალიზი (2018-2025)

მოხსენება ეძღვნება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესების კომპლექსურ შედარებით ანალიზს ორი განსხვავებული ტრაექტორიის მქონე სახელმწიფოში - საქართველოსა და პოლონეთში. საბჭოთა მემკვიდრეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ტრანსფორმაციათა ტემპსა და მიმართულებაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებმაც განსხვავებული ისტორიული, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური გზები აირჩიეს.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ორივე სახელმწიფო დადგა დემოკრატიული კონსოლიდაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოწვევის წინაშე, თუმცა მათი განვითარების დინამიკა მნიშვნელოვნად განაპირობა როგორც ისტორიულმა მეხსიერებამ, ისე ინსტიტუციურმა მემკვიდრეობამაც. კვლევის ფარგლებში ყურადღება დაეთმობა 2018–2025 წლების პერიოდს, რომელიც ხასიათდება გეოპოლიტიკური რყევებით, შიდა პოლიტიკური პოლარიზაციითა და ევროინტეგრაციის პროცესის ახალი ფაზით.

კვლევის მიზანია დადგინდეს, თუ რა გავლენას ახდენს საბჭოთა მემკვიდრეობა თანამედროვე ინსტიტუციურ განვითარებაზე და როგორ აისახება ეს ყოველივე დემოკრატიზაციის პროცესებზე საქართველოსა და პოლონეთში.

კვლევის ფარგლებში მოსალოდნელია გამოვლინდეს, რომ პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატება არ განისაზღვრება მხოლოდ საბჭოთა მემკვიდრეობით, არამედ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინსტიტუციური რეფორმების თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობაზე, ასევე საერთაშორისო ინტეგრაციის ხარისხზე. ამ თვალსაზრისით, პოლონეთის გამოცდილება შეიძლება განიხილებოდეს როგორც მნიშვნელოვანი რეფერენციული მოდელი საქართველოსთვის, თუმცა მისი მექანიკური გადმოტანა შეუძლებელია ადგილობრივი პოლიტიკური, სოციალური და ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

თეა ენუქიძე

ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკა და შედარებითი ანალიზი ქართულსა და ინგლისურ ენებში

იდიომები და ანდაზები წარმოადგენს საინტერესო შრეს არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის თვალსაზრისითაც, რომელიც კულტურულ კოლექტიურ სიბრძნეს, ღირებულებებს, გამოცდილებასა და სოციალურ ნორმებს ირეკლავს. ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური სპექტრი გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და საკრალურობით. რიცხვითი სახელები ენის უძველეს და ერთ-ერთ აქტიურ ფენას მიეკუთვნებიან. რიცხვითი სახელების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს ფრაზეოლოგიური წარმოქმნის (შემდგომ ფრაზეოწარმოქმნის) პროცესში. ასეთი ფრაზეოლოგიზმები გამოირჩევიან ექსპრესიულობით და დიდი რაოდენობით დასტურდება სხვადასხვა სისტემის ენებში.

მოხსენების მთავარი მიზანია ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულების ენობრივი ბუნების სიღრმისეული შესწავლა თანამედროვე ლინგვისტური მეთოდების მეშვეობით; ნუმერაციული (რიცხვითი სახელების შემცველი) ფრაზეოლოგიზმების მსგავსება-განსხვავებების დადგენა; მათი სემანტიკის თავისებურებების გამოვლენა; იმის დადგენა, თუ რომელი ნუმერაციული ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ უნივერსალიებს, რომლებიც დასტურდება ორ ენაში და რომლებიც ახასიათებს მხოლოდ ამა თუ იმ ენას.

კვლევისათვის საჭირო მასალა მოპოვებულია სხვადასხვა პირველადი და მეორეული წყაროდან. ინგლისური გამოთქმებისთვის გამოყენებულ იქნა ისეთი კრებულები, როგორიცაა „ოქსფორდის დიდი ლექსიკონი“ (OED). ქართული რიცხვითი ლექსემების შემცველი იდიომები კი შეგროვდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (ჩიქობავა, 1961) და ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზიდან (რუსიეშვილი, 2015). სემანტიკური და კონტექსტუალური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) (თანდაშვილი, გიპერტი, 2012) და ინგლისური ენის კორპუსები: ბრიტანული ეროვნული კორპუსი (BNC) და თანამედროვე ამერიკული ინგლისურის კორპუსი (COCA). კვლევაში განვიხილავთ ციფრების 1-10, 100 და 1000-ის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, მაგ., ცხრა მთას იქეთ, ცხრა კლიტით დაკეტილი - sealed with seven seals; ასი თვალი და ასი ყური ექნება, ეგ (ეს) ერთი და სხვა ათასი - Here’s to many more ; მეცხრე ცაზე ყოფნა - to be on cloud nine; one in a hundred - ათასში ერთი; შედეგად გამოიკვეთა, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტებში ნუ-

მერაციული ლექსემები განიცდის სემანტიკის ცვლილებას და იძენს განზოგადებულ რაოდენობრივ, ანუ სიმბოლურ მნიშვნელობას.

ქეთევან ვაშაღომიძე
მახიამ თათანაშვილი

თვითცნობიერების ონტოლოგიურ-ეპისტემოლოგიური საფუძვლები (კანტისა და ლაიბნიცის ტრანსცენდენტალური სუბიექტიდან ჰეგელის სოციალურ-ისტორიულ ფილოსოფიამდე)

ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა შეეხება ცნობიერებისა და თვითცნობიერების პრობლემას. სხვადასხვა ეპოქაში ფილოსოფოსები განსხვავებულად განმარტავდნენ ამ ფენომენს: ზოგი მას ინდივიდის შინაგან უნარად მიიჩნევდა, ზოგი კი გარე პროცესის შედეგად ფორმირების დაშვებებზე საუბრობდა.

ახალი დროის ფილოსოფიაში გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი და მოგვიანებით იმანუელ კანტი ცდილობენ გონის აქტიური როლის განსაზღვრას ცოდნის ფორმირებაში, ხოლო გერმანულ იდეალიზმში გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ამ იდეას ისტორიულ-სოციალურ განზომილებას ანიჭებს.

წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენების მიზანია ამ ფილოსოფიური ხაზის ანალიზი და იმ კრიტიკული პოზიციების წარმოჩენა, რომლებიც ამ იდეებს ეწინააღმდეგება და ამტკიცებს.

ვ. ლაიბნიცის მიხედვით, გონებრივი პროცესები შინაგანი პრინციპებით იმართება და არ საჭიროებს უშუალო ფიზიკურ მიზეზობრიობას. ეს პოზიცია ქმნის საფუძველს, რომ გონი შესაძლოა სრულიად დამოუკიდებელი ფენომენი იყოს, თუმცა მიმართება, თუ როგორ აიხსნას სუბიექტებს შორის ურთიერთობა, დაუზუსტებელ ნაწილად რჩება.

იმანუელ კანტი კი ამტკიცებს, რომ გონი არა მხოლოდ აღიქვამს, არამედ აყალიბებს გამოცდილებას. სივრცე, დრო და კატეგორიები გონის აპრიორული სტრუქტურებია. შესაბამისად, ობიექტური რეალობა ჩვენთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ფორმით, როგორსაც გონი იძლევა. თუმცა კანტთან რჩება დაყოფა „ნივთს თავისთავად“ (Ding an sich) და ფენომენებს (Erscheinung) შორის, რაც შემდგომ კრიტიკას იწვევს ნივთის არასრული წვდომის იდეიდან გამომდინარე, რადგან ჰეგელი უარყოფს კანტისეულ დუალიზმს და ამტკიცებს, რომ რეალობა და გონი ერთიან დიალექტიკურ პროცესში ვითარდება.

თვითცნობიერება არ არის იზოლირებული სუბიექტის თვისება; იგი ყალიბდება ურთიერთობაში „სხვასთან“. ჰეგელისთვის გონი (Geist) ისტორიული განვითარებაა, სადაც ინდივიდუალური ცნობიერება მხოლოდ ფართო სოციალურ კონტექსტში იძენს მნიშვნელობას.

მოხსენების საკვანძო კითხვა: არის თვითცნობიერება ინდივიდის შინაგანი პროცესების შედეგი, თუ ის ყალიბდება ისტორიულ-სოციალურ ურთიერთობებში? ჩვენი მიზანი სწორედ ამ მიმართების განხილვას შეეხება. რომელ მათგანს შეიძლება მივაწეროთ საფუძვლიანობა: თვითცნობიერება როგორც ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობა, თუ თვითცნობიერება როგორც სოციალური და ისტორიული პროცესის პროდუქტი?

საბა ზაქაიძე
მარიამ ჩარქსეღიანი

მორფოლოგიურ-სინტაქსური და გრამატიკული თავისებურებების საკითხი ქართულ და ჩინურ ენებში: ტიპოლოგიური შედარებითი ანალიზი

ჩინური და ქართული ენები სხვადასხვა ტიპოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება, რის გამოც მათი გრამატიკული სტრუქტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩინური ენის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება არის სიტყვათა მორფოლოგიური ფორმაუცვლელობა: სიტყვები არ იცვლება პირის, დროის, სქესის, რიცხვისა თუ ბრუნვის მიხედვით. ამის საპირისპიროდ, ქართული ენა მდიდარია მორფოლოგიური სისტემით, სადაც გრამატიკული მნიშვნელობები ხშირად სიტყვაფორმათა ცვლილებით გამოიხატება.

მორფოლოგიური განსხვავება პირდაპირ აისახება სინტაქსზეც. ჩინურ ენაში სიტყვათა თანმიმდევრობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს აზრის ფორმირებისთვის, მაშინ, როდესაც ქართულში სიტყვათა მიმდევრობა შედარებით თავისუფალია, რადგან გრამატიკული კავშირები ძირითადად მორფოლოგიური ნიშნებით გამოიხატება.

ჩინური გრამატიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ვითარებითი შემასმენელი: ზედსართავ სახელს შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს შემასმენლის ფუნქცია და ასეთ შემთხვევაში დამაკავშირებელი ზმნა „ყოფნა“ (არის, ვარ), ჩვეულებრივ, არ გამოიყენება. ასევე მნიშვნელოვანია ფუნქციური ნაწილაკების გამოყენება, როგორიცა არის de (的) კუთვნილების გამოსახატავად და le (了) მოქმედების დასრულების აღსანიშნავად.

ამრიგად, თუ ქართული გრამატიკა ეფუძნება სიტყვათა მორფოლოგიურ ცვლილებებს, ჩინური ენის გრამატიკული სისტემა უფრო მეტად ემყარება მკაცრ სინტაქსურ წყობასა და დამხმარე გრამატიკულ ნაწილაკებს. ამ ორი ენის შედარებითი ანალიზი ნათლად გვიჩვენებს განსხვავებას ფლექსიურ (ქართულ) და იზოლირებულ (ჩინურ) ენებს შორის.

ღიღი თაკვაძეღია
მაჩიამ ღანეღია

ეროვნული იდენტობა და თავისუფლების იდეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ილია ჭავჭავაძე არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტური ფიგურაა. ილია ჭავჭავაძემ ეროვნულ-განმათავისუფლებლური, პატრიოტული თემატიკა – ერთგვარი სამოქმედო გეგმა – ჩააქსოვა მის შემოქმედებაში, რომელმაც შეცვალა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართულება. ჩვენი მიზანია ნაშრომში „ეროვნული იდენტობა და თავისუფლების იდეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ განვიხილოთ, როგორ ვლინდება თავისუფლების სულისკვეთება და პატრიოტიზმი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ შემოქმედებაში, ამიტომ მის შემოქმედებას სწორედ ამ ჭრილში განვიხილავთ.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პუბლიცისტურ წერილს — „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, რომელიც, ერთი შეხედვით, წინასაახალწლო ნატვრას ეხება, თუმცა დაკვირვებული მკითხველი მწერლის რიტორიკაში დიდ ტკივილსა და სევდას ამოიცნობს. ავტორი სვამს მტკივნეულ კითხვას: „რა მივულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?“ – რაც ნათლად აჩვენებს ერის იმდროინდელ მძიმე მდგომარეობას. ამიტომ მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ ილია საამაყოს ვერაფერს ხედავს, ხოლო მომავალიც – „ხვალინდელი ნისლი“ – მისთვის გაურკვეველი და უიმედოა. სწორედ ამ ფონზე მისი საახალწლო სურვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: მწერალი არ ითხოვს მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ ერს სულიერ გამოფხიზლებას უსურვებს – „თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე“, რათა მომავალმა თაობამ აღარ გაიმეოროს ეს სევდიანი კითხვა: „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

ლექსი „აჩრდილი“, ილიას სხვა შემოქმედების მსგავსად, სამშობლოს შესახებ არის დაწერილი. სათაურიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ საქართველო საკუთარ აჩრდილს ჰგავს და ეს აჩრდილი კარგად არ გამოიყურება. ილიამ ლექსით ნათლად დაანახა ერს თავისი უძლურება და, რაც მთავარია, თავისუფლების იდეის მოსპობა, რომელმაც ერის გადაგვარება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ქართველებს პირდაპირ ამხელს, იგი არასდროს გვტოვებს გამოუვალ მდგომარეობაში და ყოველთვის გვთავაზობს გამოსავალს, რადგან ამის მთავარი მიზეზი ერისა და სამშობლოს სიყვარულია. ერის მამა მუდმივად იდგა ქვეყნისა და საყვარელი ხალხის

სადარაჯოზე და მხატვრული შემოქმედებითა თუ სამოქალაქო აქტიურობით ცდილობდა ერის გამოფხიზლებასა და გამოხსნას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულმა შემოქმედებამ დიდი ზეგავლენა იქონია სამშობლოს წინსვლასა და წარმატებაზე.

ნიკოლოზ თოფუჩიძე
სოფიო ღაპიაშვილი

ქართველი ხალხის ეთნოგენეზი
(ისტორიული და არქეოლოგიური პერსპექტივები)

ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი დღეს მრავალმხრივ არის განხილული. მოგვეპოვება არაერთი მოსაზრება და კვლევა. ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის დადგენა გულისხმობს, ძირითადად, სამი საკითხის გარკვევას: ენობრივი ნათესაობა, ეთნიკური კუთვნილება და უძველესი საცხოვრისი. პირველი საკითხის გარკვევისთვის მნიშვნელოვანია ლინგვისტური მასალა; მეორისთვის ანთროპოლოგიური მასალა, რაშიც უდიდესი როლი უკავია არქეოლოგიას; ხოლო უძველესი საცხოვრისის დადგენის მიზნით კი შესწავლის ობიექტია, ზემოთ ხსენებულის გარდა, წერილობითი წყაროებიც. შესაბამისად, ეთნოგენეზის საკითხებზე მუშაობა მოითხოვს მულტიდისციპლინურ კვლევას, რომელშიც გავაერთიანებთ ისტორიოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ლინგვისტურ ცნობებს.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის მეცნიერულ კვლევაში, რაც დაახლოებით ორ საუკუნეს ითვლის, მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული და, ამ მხრივ, საყურადღებოა რამდენიმე მეცნიერის მოსაზრებები, მათ შორისაა: ბორის კუფტინი, ივანე ჯავახიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, თამაზ გამყრელიძე და სხვ. მოცემული ნაშრომიც, ძირითადად, ამ მეცნიერთა კვლევების საფუძველზეა შექმნილი და შევსებული იქნება სხვა უახლესი გამოკვლევებით.

თემის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ის არ მოიცავს ერთ ან რამდენიმე პერიოდს. ჩვენი დაკვირვების ობიექტი მოიცავს ენეოლითის ხანიდან და ბრინჯაოს ხანის ჩათვლით არსებულ პერიოდებს, შესაბამისად, საჭირო იქნება საკითხის დიაქრონიული განხილვა. ამ საკითხზე ემპირიული მასალის სიმწირე ჩვენ არ გვაძლევს უფლებას ვისაუბროთ მტკიცებით ფორმაში და, ამგვარად, საკითხის შესწავლას ექნება აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვის ფორმა, რისი დახმარებითაც შევაჯამებთ არსებულ მონაცემებს და ჩვენს დასკვნას წარმოგიდგენთ.

მეთოდოლოგია, რომელსაც საკითხის ანალიზისას ვიყენებთ, დაფუძნებულია ნეოკანტელთა ისტორიოგრაფიულ პერსპექტივებზე. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება წყაროების კრიტიკული განხილვა, ასევე, მოცემული მასალის სინთეზი და შემდგომი ანალიზი. ასევე, გათვალისწინებული იქნება ისტორიოგრაფიული ხედვები და შესაძლო მიკერძოებულობა.

ვისაუბრებთ უძველესი ქართული ეთნოსის გენეზისზე, კულტურაზე, რწმენა-წარმოდგენებსა და ენაზე.

აისეღ ისმაიღოვა

ემოციების გავლენა კოდების გადართვაზე ყოველდღიურ კომუნიკაციაში

ჩვენი მოხსენების მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ ზემოქმედებს ემოციები კოდების გადართვაზე ბილინგვურ და მულტილინგვურ მეტყველებაში. კოდების გადართვა, როგორც ორი ან მეტი ენის მონაცვლეობა ერთსა და იმავე კომუნიკაციურ აქტში, წარმოადგენს მრავალენოვანი კომუნიკაციის მნიშვნელოვან მახასიათებელს და ხშირად განისაზღვრება არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორებით.

ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ ახდენს გავლენას ემოციური მდგომარეობა ენის არჩევანზე და რა როლი აქვს სხვადასხვა ემოციას კოდების გადართვის პროცესში. კოდების გადართვა ძირითადად დამახასიათებელია ორენოვანი ან მრავალენოვანი ინდივიდებისთვის, სადაც კონტექსტთან ერთად ემოციები კოდების გადართვის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება.

ამ საკითხის შესასწავლად ჩავატარეთ ონლაინ კვლევა, სადაც გამოიკვეთა საინტერესო შედეგები, კერძოდ: ბილინგვური და მულტილინგვური ინდივიდები აქტიურად მიმართავენ კოდების გადართვას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის, სამუშაო გარემოში, უნივერსიტეტში, ოჯახში და მეგობრებთან ურთიერთობისას. გამოვლინდა ასევე საყურადღებო ტენდენცია: უარყოფითი და ინტენსიური ემოციების, განსაკუთრებით კი ბრაზის გამოხატვისას, მოსაუბრეები უპირატესობას ანიჭებენ მშობლიურ ენას, რადგან ის აღიქმება უფრო ემოციურად და ავთენტურად.

იმავდროულად, პოზიტიური ემოციები, სხვადასხვა ენაზე მეტყველ ინდივიდებში, როგორიცაა აღფრთოვანება და აღტაცება, ხშირად იწვევს ინგლისურ ენაზე გადართვას, რაც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ამ ენის ფართო გამოყენებასთან თანამედროვე მედიაში.

დასკვნის სახით, კოდების გადართვა შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ლინგვისტური მოვლენა, არამედ როგორც ემოციების გამოხატვისა და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც ასახავს მრავალენოვანი ინდივიდების ენობრივ და კულტურულ გამოცდილებას.

მარიამ კვარაცხელია
ანასტასია გოგია

ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა (1918 წლის 26 იანვარი)

1918 წლის 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი), დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, რამეთუ ეროვნული ოცნება რეალობად იქცა, თბილისში პირველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. აღნიშნული მოვლენა არ ატარებდა მხოლოდ საგანმანათლებლო ხასიათს, არამედ ეს იყო ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ თვითმყოფადობისა და ინტელექტუალური დამოუკიდებლობის გამოცხადება.

მოხსენებაში განვიხილავთ ქართული უნივერსიტეტის დაარსების პროცესს, იმ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებდა უნივერსიტეტის დაარსებას და განსაზღვრავს, თუ რა როლი შეასრულა ივანე ჯავახიშვილმა ამ პროცესში.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ ნაშრომებს, მემუარულ წყაროებსა და იმ პერიოდის პრესის მასალებს. გამოყენებულია აღწერითი და ანალიტიკური მეთოდი, რომლის საშუალებითაც გაანალიზებულია უნივერსიტეტის გახსნის დროს მიმდინარე მოვლენები, მისი ისტორიული წინაპირობები და ის სირთულეები, რომლებიც თან ახლდა მისი შექმნის პროცესს.

1918 წლის 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის გახსნა იყო არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, არამედ ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში.

მახადი კაციაშვიღი

რევოლუციის პარადოქსი: თავისუფლებიდან ტერორამდე გეორგ ბიუხნერის ტრაგედიაში „დანტონის სიკვდილი“

გერმანელი დრამატურგის, გეორგ ბიუხნერის (Georg Büchner) (1813-1837) დრამა „დანტონის სიკვდილი“ (“Dantons Tod”) (1835) არის რევოლუციური პროცესის დესტრუქციული ბუნების ღრმა გადმოცემა, სადაც ავტორი უარყოფს ისტორიის ტრადიციულ, გმირულ აღქმას და მას ეგზისტენციური უიმედობის პრიზმაში განიხილავს. ნაწარმოების მთავარი თემა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ინდივიდი ისტორიული პროცესების წინაშე უმწეოა, ხოლო თავად რევოლუცია არის ავტონომიური მექანიზმი, რომელიც საკუთარ შემოქმედებს - რევოლუციონერებს - შთანთქავს.

პარადოქსის არსი მკაფიოდ ვლინდება რობესპიერისა და დანტონის ანტაგონისტურ პოზიციებში. რობესპიერისა და სენ-ჟუსტისთვის ტერორი არის „სიქველის“ („Tugend“) აუცილებელი გაგრძელება და რევოლუციური სამართლიანობის ინსტრუმენტი, რაც პოლიტიკურ პროცესს აბსტრაქტულ, არაადამიანურ მექანიზმად გადააქცევს.

ამის საპირისპიროა დანტონის ხედვა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ პროცესში ადამიანები მხოლოდ მარიონეტები არიან. ეს კი მიუთითებს რევოლუციის აუცილებლობის სრულ კრახზე ისტორიული აუცილებლობის წინაშე.

გეორგ ბიუხნერი ცხადად გვიჩვენებს, რომ, როდესაც პოლიტიკური სისტემა ადამიანების სიცოცხლეს მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებად ან იდეოლოგიურ დაბრკოლებად აღიქვამს, ის გარდაუვალ თვითგანადგურებამდე მიდის. რადიკალური იდეოლოგიის დიქტატის პირობებში სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტები სრულად დეგრადირდებიან, პოლიტიკური თავისუფლებისაკენ ყოველი სწრაფვა კი გილიოტინის ცივ სიჩუმეში სრულდება.

ბახბახე კევღიშვიღი

სტიქიები და მათი დაძლევა ასურელ მამათა „ცხოვრებებში“

ასურელ მამათა „ცხოვრებებში“ გვხვდება მრავალი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდნენ ისინი ზოროასტრიზმს და როგორ იღვწოდნენ ქრისტიანობის განმტკიცებისათვის. სხვა საკითხებთან ერთად, მათში ასახულია, თუ როგორ დაძლიეს მათ ის ოთხი სტიქია, რომელიც სამყაროს

აგებულებასა და ყოფიერების ფორმას წარმოადგენს. ასურელი მამების ცხოვრება, განსაკუთრებით აბიბოს ნეკრესელისა, ნათლად ცხადყოფს მაზდეანური რელიგიის იმ „სუსტ მხარეს“, რომლის მიხედვით ერთ-ერთი სტიქიას, რომელიც ასე თაყვანისცემულია, ამარცხებს მეორე სტიქია, ჰარმონიას მათ შორის კი არ ქმნის. ამ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ჩამოყალიბებული ანტიმაზდეანური შეხედულება ამხელს ამ „შეუსაბამობას“ და გამოკვეთს, რომ სტიქიები ურთიერთამოკიდებულია და შეზღუდული.

ზოროასტრიული რელიგიური რიტუალების რადიკალური გამოვლინებები ოთხი სტიქიის მიმართ ასახულია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშიც“.

აპოლოგეტი მამების მიერ შექმნილი ქრისტიანული ანთროპოლოგიური, ღვთისმეტყველური ნაშრომების გათვალისწინებით, ასურელ მამათა ცხოვრება სამაგალითო და ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ რა მკაცრ ასკეტიზმს მისდევდნენ ისინი და რა შედეგი გამოიღო ამან VI საუკუნის ქართლის მკაცრ რეალობაში. ეს არ ნიშნავდა ხორციელი ბუნების მტრობას და შესაბამისად, იმასაც არ ნიშნავდა, რომ ისინი იყვნენ მონოფიზიტები, სადაც ასკეტიზმის იდეალები უკიდურესობამდე იქნა აყვანილი. მათი ღვაწლი წარმოაჩენს, რომ, სადაც მოქმედებს სულიწმინდა, ყოველგვარი მატერია კარგავს თავის თვითკმარ მნიშვნელობას, ყველაფერი შესაძლებელი ხდება განღმრთობილი ადამიანისთვის და მეტიც, ის თავადვე იმორჩილებს ბუნების ძალებს. ასურელმა მამებმა შეძლეს მძიმე ასკეტური ღვაწლითა და სასწაულებით, სიტყვით და საქმით ყველა სტიქიაზე ამაღლება და ამ მხრივაც ანტიმაზდეანური პოლემიკის განმტკიცება.

ღიზი კიზირია
ნინო ჩინაშვილი

უძლური ბოროტებიდან ტრაგიკულ ცდუნებამდე დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით

დანტესეულ ლუციფერსა და გოეთეს მეფისტოფელს შორის დიდ განსხვავებას ქმნის უმთავრესად ის, რომ ნაწარმოებთა ისტორიული ფონი არის სხვადასხვა. ეს იწვევს რელიგიური თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობების ცვლილებას და გავლენის ქვეშ აქცევს ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობასაც. ეს ნაშრომებიც, ცხადია, ეპოქების შესაბამისია.

საკონფერენციო მოხსენებაში განხილული იქნება, რომ დანტეს მიერ შექმნილ „ჯოჯოხეთში“ ეშმაკი არის უკვე დამარცხებული ბოროტების სიმბოლო და გამოკვეთილია, თუ რამდენად უძლურია ბოროტი ღმერთთან დაპირისპირებაში. გოეთესთან კი ანტაგონისტი, ფაქტობრივად, არის მოქმედი ძალა, მთელი სიუჟეტის გული, იგი არ არის უბრალოდ ბოროტი პერსონაჟი ან ტიპური ეშმაკი, მისი დანიშნულება ნაწარმოებში ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ცოდვილთა წამება. დანტესთან ლუციფერი უკვე დაცემულ სულებს ტანჯავს, ხოლო მეფისტოფელის მიზანი სწორედ ისაა, რომ ადამიანები მომაკვდინებელ ცოდვებში ჩაითრიოს. განსხვავება პირდაპირ მოდის იქიდან, რომ შუა საუკუნეებში მთავარი იყო ღმერთი და თეოლოგიური ხედვები დომინირებდა მწერალთა შემოქმედებაში. ვინაიდან დანტე სწორედ ამ დროის მწერალია, მისგან უჩვეულო იქნებოდა, რომ ნაწარმოებში ეშმაკი ძლევამოსილი ყოფილიყო. მეორე მხრივ, გოეთე არის განმანათლებლობის პერიოდის მწერალი და ამ დროის ეპოქაში მთავარი ინტერესის სფერო არის მეცნიერება, მეტის შემეცნება, რაც ადამიანის რწმენას უფრო სუსტს ხდის და იძლევა საბაბს ბოროტის გაძლიერებისთვის. დანტეს ლუციფერი არის დამარცხებული ბოროტება, უფუნქციო, იგი იმყოფება ჯოჯოხეთის სიღრმეში, სრულად მოწყვეტილი ღმერთს, რომელიც სამოთხეშია დამკვიდრებული. მათ შორის არ არსებობს არანაირი კავშირი, არამედ ისინი აბსოლუტურად დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ. ხოლო გოეთეს შემთხვევაში თავს იჩენს განმანათლებლობის მახასიათებლები, კითხვების დასმა, სკეპტიციზმი და აზროვნების ძალა. ასევე „ფაუსტში“ მეფისტოფელისა და ღმერთის უშუალო ურთიერთობა გამოიკვეთება, მაგალითად, იმ ნაწილში, სადაც ისინი სანაძლეოს დებენ. ასე რომ, მათ შორის ურთიერთობა არა მხოლოდ დაპირისპირებას, არამედ გარკვეულ თანამშრომლობასაც მოიცავს. მეფისტოფელი მოქმედებს როგორც ძალა, რომელსაც ღმერთი თავადვე იყენებს ადამიანის გამოსაცდელად. ეს ყველაფერი ბოროტებას უფრო ფუნქციურ და აქტიურ როლს ანიჭებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანტეს სამყაროში ბოროტი პასიურია და დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ფუნქცია, ხოლო გოეთესთან ეს ფუნქცია მოწოდების სიმაღლეზეა და იგი გარდაიქმნება აუცილებელ ძალად, რომელიც თავადვე ემსახურება უფრო დიადი მიზნის განხორციელებას.

ეღენე კიკნაძე
ეთეი ჭეიშვიღი

ილია ჭავჭავაძე - ქართული ეროვნული იდენტობის კონსტრუირება მე-19 საუკუნეში

მოხსენება მე-19 საუკუნეში ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების გზებს და ამ პროცესებში ილია ჭავჭავაძის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურის როლს შეეხება. მისი მიზანია მე-19 საუკუნის საქართველოს მაგალითზე წარმოაჩინოს, რომ ეროვნული იდენტობა არ წარმოადგენს წინასწარ მოცემულ, ბუნებრივ ფენომენს, არამედ ის სოციალურად კონსტრუირდება და სოციოკულტურული პროცესებითა და სტრუქტურებითაა განპირობებული.

სამეცნიერო მოხსენება ემყარება პიტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის რეალობის სოციალური კონსტრუირების თეორიას. ამ თეორიული ჩარჩოს პრიზმიდან დანახულია საქართველოში რეალობის კონსტრუირების და ამ რეალობის საფუძველზე ეროვნული იდენტობის განმტკიცების, მისი ლეგიტიმაციის და ინტერნალიზების პროცესები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც განიხილება, როგორც წამყვანი დისკურსი ეროვნულობის შესახებ და გვევლინება ეროვნული იდენტობის კონსტრუირების, გავრცელებისა და ლეგიტიმაციის მთავარ წყაროდ. ასევე გამოყენებულია მე-19 საუკუნის საქართველოს სოციოკულტურული და პოლიტიკური პროცესების ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა.

ნინი კოპაღიანი
ღიზი ჯანჯღავა

სოციალური აბსურდი და გაუცხოებული სუბიექტი ალბერ კამიუს „უცხოს“ მიხედვით

მოხსენებაში განხილულია ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირება ალბერ კამიუს რომანის, „უცხოს“ მიხედვით.

მოხსენების პირველ ნაწილში გაანალიზებულია მერსო, როგორც გაუცხოებული ინდივიდი და მისი დამოკიდებულება სამყაროსთან. ნაწარმოებში საზოგადოება მოქცეულია მათივე დადგენილ ჩარჩოებში და ცდილობს

საკუთარი ნორმების ლეგიტიმაციას. მერსოს ასამართლებენ არა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მის წინააღმდეგ იყენებენ მისივე ცხოვრებისეულ ქცევებსა და ემოციებს. შესაბამისად, ბრბო მერსოსგან მოითხოვს არა ჭეშმარიტებას, არამედ მორალურ ქცევებს, რათა მოერგოს საზოგადოების მიერ შექმნილ ჩარჩოებს. არისტოტელეს მიხედვით ტრაგედიის ეპიცენტრში მოქცეულია უდანაშაულო დამნაშავე, რომელიც ბედისწერამ მოახვედრა ამ განსაცდელში. ბედისწერის ფაქტორი კი ტექსტს უფრო ამძაფრებს. მას უკვე აქვს ის ბზარი, რომელიც მის ტრაგიკულ ბედს განსაზღვრავს. მერსოს უგულებელყოფს კრიზისით თავზარდაცემული საზოგადოება, რომელიც მას დამნაშავედ მიიჩნევს.

შემდეგ ნაწილში განხილულია საზოგადოების როლი ინდივიდის ფორმირებაში. პიროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური გარემო, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მსოფლმხედველობას. ფრანგი სოციოლოგ გუსტავ ლე ბონის აზრით, ბრბოს კოლექტიური ემოციის ზეგავლენით ადამიანი გააკეთებს ისეთ რაღაცას, რაც მისი პიროვნებისთვის სრულიად უცხოა. ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო აღგზნება გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ბრმად ემორჩილება მის ემოციურ მოქმედებას.

დასკვნის სახით, პიროვნების ასეთი გაუცხოება არ უნდა განვიხილოთ, როგორც სისასტიკე ან ემოციური სიცივე. ასეთი ადამიანები ეწინააღმდეგებიან საზოგადოების მიერ დადგენილ ყალბ ნორმებს.

საღომე კოჰკოტაშვილი
ანანო ნიკოღაიშვილი

აკულტურაცია: ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთქმედება ახალ კულტურულ გარემოში

აკულტურაცია პროცესია, როცა ადამიანი ახალ კულტურულ გარემოში გადასვლის შემდეგ ნელ-ნელა ეჩვევა განსხვავებულ ნორმებსა და წესებს. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრანტებისთვის, რადგან მათ უკვე აქვთ საკუთარი კულტურა, თუმცა ახალ ქვეყანაში ხშირად უწევთ როგორც ყოველდღიური ქცევების, ისე მყარი შეხედულებების ცვლილება. ეს პროცესი ხშირად სტრესის წყაროს წარმოადგენს, რადგან ცვლილებებთან შეგუება ყოველთვის მარტივი არ არის და შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა ან გაურკვევლობა, რადგან გარემოსთან ადაპტაციისთვის ინდივიდი საკუთარ ემოციურ და ფიზიკურ რესურსებს იყენებს.

მოხსენებაში განვიხილავთ აკულტურაციის პროცესის თეორიულ ჩარჩოებს, მათ შორის ჯონ ბერის მოდელს, რომელიც ხსნის, თუ როგორ ქმნის ინდივიდი ბალანსს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და ახალ გარემოსთან ადაპტაციას შორის. თეორიულ მოდელებთან ერთად წარმოვადგენთ კვლევის შედეგებს, რომლებიც ფოკუსირდებიან როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოში ჩატარებულ გამოკითხვებზე. ყურადღება ეთმობა მიგრანტთა სტრატეგიებსა და მოტივაციებს, დომინანტური კულტურის დამოკიდებულებებს და გარემოს მხარდაჭერის როლს ადაპტაციის პროცესში. კვლევები გვიჩვენებენ, თუ როგორ განსხვავდება სტრატეგიების არჩევა კულტურული დისტანციის, ინდივიდის გამოცდილებისა და სოციალური გარემოს მიხედვით, როგორ იბრძვიან ადამიანები აკულტურაციის სტრესის დაძლევისთვის და რა ფაქტორები უწყობენ ხელს წარმატებულ ფსიქოლოგიურ და სოციოკულტურულ ადაპტაციას.

ჩვენი მოხსენების მიზანია წარმოვაჩინოთ ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთქმედების მნიშვნელობა, ცნობიერება ავამაღლოთ იმ პროცესის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები ახერხებენ ახალ კულტურულ რეალობაში ინტეგრირებას და ქმნიან ბალანსს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და ახალ გარემოსთან ადაპტაციას შორის.

ანი კოტოხაშვილი

ბედისწერისა და ადამიანის თავისუფალი ნების პრობლემა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“

სოფოკლე ანტიკური ტრაგედიის მწვერვალად მოიაზრება, რომლის შემოქმედებაც საკაცობრიო, ტრაგიკულ საკითხებს ეხმიანება და მკითხველში იმთავითვე დიდ ინტერესს აღძრავს. მისი ტრაგედია ,,ოიდიპოს მეფე“ ეფუძნება თებეს ციკლის თქმულებას, სადაც ცენტრალურ ფიგურებად ოიდიპოსი და მისი შთამომავალნი გვევლინებიან. ეს უკანასკნელი, სტრუქტურულად ექვს ნაწილადაა დაყოფილი. თითოეული მათგანი კი ასახავს მთავარი გმირის ნაბიჯებს საკუთარი თავის, წარსულისა და აწმყოს შეცნობის გზაზე. სიუჟეტის განვითარების პარალელურად, სოფოკლე ტრაგედიისთვის დამახასიათებელ, ღრმა ფსიქოლოგიურ და მორალურ საკითხებს წამოჭრის, როგორიცაა: ბედისწერა, ადამიანური სისუსტეები, კონფლიქტი და ამქვეყნიური ყოფიერებით გამოწვეული სიმძიმე. აღსანიშნავია, რომ იყენებს „დაბრუნება-ცნობის“ მოდელს, რომელიც ეფუძნება მთავარი პერსონაჟის მიერ მისი ჭეშმარიტი იდენტობის არცოდნას - პერსონაჟმა არ იცის თავისი ნამ-

დვილი ვინაობა, მაგრამ ურთულესი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობების დაძლევის შედეგად შეიცნობს მას. ამ და სხვა ძალზე ადამიანურმა, მძაფრმა ნიუანსებმა ტექსტის აღორძინება შუა საუკუნეების ეპოქაშივე განაპირობა.

წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს მოცემულ ტრაგედიაში ადამიანური ბუნების უსუსურობის გააზრებას. ნაშრომში განხილულია ბედისწერის შეცნობის ლტოლვასა და ამ ქცევით გამოწვეულ ტრაგიკულ შედეგებს შორის არსებული კონფლიქტი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გმირის ემოციურ მდგომარეობას, კერძოდ, მის შინაგან ჭიდილსა და სულიერ ქაოსს. მნიშვნელოვანია, რომ ოიდიპოსში ანაგნორისი და პერიპეტია ერთდროულად ხდება, რაც ტრაგედიას იდეალურს ხდის. ოიდიპოსის პერსონაჟი გააზრებულია, როგორც უდანაშაულო დამნაშავე - ,,კაცი, ვინც დიდ პატივისცემასა და ბედნიერებაში მყოფთაგან განირჩევა არა სათნოებითა და სიმართლით და ვინც უბედურებაში ვარდება არა სიავისა და სიმდაბლისათვის, არამედ რაღაც შეცდომის გამო“. სწორედ ამ შეცდომით მიღებული შედეგები და ემოციები განაპირობებს ტრაგედიის მუდმივ ინტერპრეტაციულობასა და აქტუალურობას, განურჩევლად ეპოქისა.

სანდრო კუპატაძე
თამარ ბეჩიძე

აივ (HIV) დიაგნოსტიკის ახალი ერა: დნმ დენდრიმერები და ნანოტექნოლოგია

Biosensors and Bioelectronics-ში გამოქვეყნებული კვლევა აღწერს ინოვაციურ ელექტროქიმიურ დნმ ბიოსენსორს, რომელიც დაფუძნებულია დენდრიმერულ ნანოსტრუქტურებზე და განკუთვნილია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) სწრაფი და მგრძნობიარე გამოვლენისათვის.

მკვლევართა შეფასებით, აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს პერსპექტიულ ალტერნატივას ტრადიციული დიაგნოსტიკური მეთოდებისათვის, რადგან აერთიანებს მაღალ სელექტიურობას, მგრძნობელობასა და სწრაფ რეაგირებას. ბიოსენსორი ეფუძნება ბისმუთენის (FLB) ნანოსტრუქტურულ ზედაპირს, რომელიც უზრუნველყოფს დნმ დენდრიმერის ეფექტურ იმობილიზაციას და ელექტრონთა გადაცემის გაუმჯობესებას [Romero et al, 2025].

კვლევაში გამოყენებულია დნმ დენდრიმერი, რომელიც შეიცავს აივ-სპეციფიკურ დაჭერის ზონდს. აღნიშნული დენდრიმერული სტრუქტურა უზრუნველყოფს მრავალრიცხოვან ჰიბრიდიზაციის ადგილებს, რაც ზრდის

სიგნალის ამპლიფიკაციას და აუმჯობესებს დეტექციის სიზუსტეს. ჰიბრიდიზაციის პროცესი ფიქსირდება Azure A-ის გამოყენებით, როგორც ჟანგვაღდგენითი ინდიკატორი, ხოლო სიგნალის რეგისტრაცია ხდება დიფერენციული პულსური ვოლტამეტრიის საშუალებით.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ბიოსენსორს შეუძლია აივ-ის დნმ-ის დეტექცია ფართო კონცენტრაციის დიაპაზონში (ფემტომოლარული დონიდან), დაბალი დეტექციის ზღვარით (≈3.03 fM) და მაღალი სტაბილურობით 60 დღის განმავლობაში. დამატებით, დადასტურებულია მისი სელექციურობა სხვა ვირუსული დნმ-ის მიმართ და ეფექტურობა რეალურ ბიოლოგიურ ნიმუშებში, მათ შორის პლაზმაში.

კვლევის ფარგლებში ასევე ნაჩვენებია, რომ დენდრიმერული სტრუქტურების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ბიოსენსორის მგრძნობელობას ტრადიციულ ერთეულ დნმ ზონდებთან შედარებით, რაც განპირობებულია სიგნალის ამპლიფიკაციის ეფექტით.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური სისტემების განვითარებაში და ხაზს უსვამს დნმ დენდრიმერული ბიოსენსორების პოტენციალს ისეთი ინფექციური დაავადების ადრეულ გამოვლენაში, როგორიცაა აივ.

ანა ღავჩეღაშვიღი
იანა ჯავახიშვიღი

ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობა ევროპულ კოლონიზაციამდე

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ძირეულად შეცვალა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორია. ახალი მიწების აღმოჩენის შემდეგ, ევროპული მონარქიული სახელმწიფოები, როგორებიცაა პორტუგალია, ესპანეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ახლა უკვე კოლონიურ სახელმწიფოებად იქცნენ. აქამდე უცნობ მიწებზე მცხოვრებ ხალხებში გაავრცელეს საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენა.

როდესაც ვსაუბრობთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობაზე და იმ შედეგებზე, რომლებიც ამ მრავალწლიანმა ეპოქამ მოუტანა მსოფლიოს, უნდა გავითვალისწინოთ რიგი ფაქტორები, რაც უშუალოდ ამ მიწებზე მცხოვრები ხალხების საზოგადოებრივ ცვლილებებსა და გარდაქმნებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, ჩვენი მოხსენების მიზანია, ვისაუბროთ ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის - ინდიელების შესახებ, რომელთაც, ცხადია, ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური სტრუქტუ-

რები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც ევროპულისაგან სრულიად განსხვავებული იყო.

1492 წელი ისტორიული თარიღია ამერიკისათვის. ესპანეთის მეფის, ფერდინანდ II-ისა და დედოფალი იზაბელას სამსახურში მყოფმა ქრისტეფორე კოლუმბმა მიაღწია ამერიკის კონტინენტს, სადაც პირველი ადამიანის გამოჩენა 15-20 ათასი წლით თარიღდება. სწორედ მათი მემკვიდრეები იყვნენ ინდიელი ტომები, რომლებიც კონტინენტზე დაუხვდნენ ჩასულ ევროპელებს.

აღსანიშნავია, რომ კოლონიზაციამდე ამ ხალხებს ჰქონდათ თავისუფლება და ინდივიდუალიზმი, რაც მათ ყველა სხვა ხალხისაგან გამოარჩევდა. ერთ-ერთი პირველი ინგლისელი კოლონიზატორის, ჯონ სმიტის თქმით, „ზეცა და დედამიწა არასოდეს შეთანხმებულან უკეთესად, რათა შეერჩიათ ადამიანის საცხოვრებელი ადგილი“. გასაკვირი არცაა, რომ უცხოელი იმიგრანტებისთვის ამერიკა ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო, რომელსაც ისინი სრულიად ახალი სამყაროსკენ მიჰყავდა. თუმცა მათთვის ახალი სამყარო უკვე იყო ინდიელთა სამშობლო. აქედან გამომდინარე, ამერიკის კონტინენტს მოხსენებაში განვიხილავთ სწორედ ადგილობრივთა საზოგადოებრივ ჭრილში.

ვიქტორია ღიპარტელიანი
მარიამ სანოძე

ვენის კონგრესის შედეგები და მისი შემდგომი გავლენა დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში

ვენის კონგრესი წარმოადგენდა ევროპაში ახალი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ეტაპს, რომლითაც დასრულდა მრავალწლიანი დაპირისპირება რევოლუციური საფრანგეთისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ. მისი მიზანი იყო საერთაშორისო წესრიგისა და ძალთა ბალანსის აღდგენა, რომლის აუცილებლობა ამ პერიოდში უფრო თვალსაჩინო გახდა. კონგრესზე ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ცდილობდნენ თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვასა და მოლაპარაკებების ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა სამომავლოდ დაპირისპირებების თავიდან აცილება და მათი მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტა. ძალთა ბალანსის მიღწევა, სტრატეგიული დათმობები და მოლაპარაკებების დინამიკა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს კონგრესის შედეგები და გავლენა მოახდინეს საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირებაზე.

ვენის კონგრესზე მიღებული შედეგების კვალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაჰყვა ევროპას, კერძოდ, ჩამოყალიბდა „ევროპის კონცერტის“ სისტემა, რომელმაც უზრუნველყო ევროპაში მშვიდობა და სტაბილურობის გარანტი გახდა გარკვეული დროის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებდნენ სხვადასხვა ხალხის ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სახის შესაძლებლობებს, იგნორირებული იყო მორალური ფაქტორები, ძლიერი სახელმწიფოების გადაწყვეტილებები ხშირად ეწინააღმდეგებოდა ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ კომპრომისზე დაფუძნებულმა სისტემამ უზრუნველყო კონფლიქტების პრევენცია. კონგრესზე დიპლომატები საკუთარი ინტერესების მიხედვით ადგენდნენ საზღვრებს, თითქოს ამ ტერიტორიებზე ერებს საერთოდ არ უარსებიათ. 1815 წლის 26 სექტემბერს შეიქმნა „საღვთო კავშირი“, რომლის წევრებს უნდა ეზრუნათ status qou-ს შენარჩუნებაზე ევროპაში, რადგან კარგად იცოდნენ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოსთვის ნების წინააღმდეგ ტერიტორიების წართმევა-შეერთება არეულობის წინაპირობად იქცეოდა.

კონგრესი წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის კოლექტიურად მართვის წარმატებულ მაგალითს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მოლაპარაკებების პრაქტიკას, დიპლომატიასა და შეთანხმებების მიღწევას. ვენის კონგრესის მაგალითი აჩვენებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას განაპირობებს გაზიარებული ინტერესები, კომპრომისები, შეთანხმებული მოქმედება და ძალთა ბალანსისაკენ სწრაფვა, რომლებიც დღევანდელი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მშვიდობიანად წარმართვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ბახბახე ღოღაძე
აღიკა გიჰკაშვიღი

ეროვნული კულტურა გლობალიზაციის ეპოქაში: ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა და თანამედროვე გამოწვევები

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც გლობალიზაციის პროცესები კულტურულ საზღვრებს თითქმის შლის, ხშირად ვდგებით არჩევანის წინაშე: როგორ მივიღოთ გლობალური სიახლეები ისე, რომ საკუთარი მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები არ დავკარგოთ. ივანე ჯავახიშვილი ქართულ კულტურას არასოდეს განიხილავდა იზოლირებულად. იგი მეცნიერულად ამტკიცებდა, რომ ჩვენი ენა, სამართალი თუ ადათ-წესები საუკუნეების მანძილზე სხვა ცივილიზაციებთან მიმართებაში ვითარდებოდა, მაგრამ ყო-

ველთვის ინარჩუნებდა თავის ინდივიდუალურობას. დღესდღეობით ეროვნული იდენტობის შენარჩუნება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მოხსენებაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ხედვა, როგორც ამ პრობლემის გადაჭრის ერთგვარი გზა.

გამოსავალი არა გლობალიზაციაზე უარის თქმაში, არამედ საკუთარი წარმომავლობის ღრმა გაანალიზებაშია. მხოლოდ ამ ცოდნითაა შესაძლებელი, რომ თანამედროვე სამყაროში ქართული კულტურა იყოს კონკურენტუნარიანი და საინტერესო სხვებისთვისაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა დღეს მხოლოდ ისტორია როდია; ის არის მამოძრავებელი ძალა ,რომელიც გვეხმარება გავარჩიოთ კულტურული განვითარება კულტურული ასიმილაციისგან.

ანანო ღუაშვილი
ანი უბილავა

გენდერი შრომით მიგრაციაში: კულტურული ნარატივები, პოლიტიკა და ქალთა მიგრაციული გამოცდილება

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შრომითი მიგრაცია წარმოადგენს მრავალგანზომილებიან სოციალურ პროცესს, რომელიც სცდება მხოლოდ ეკონომიკურ მიზეზებს და მოიცავს კულტურულ, სოციალურ და იდენტობის ფორმირების ასპექტებს. ამ კონტექსტში გენდერი, როგორც სოციალური და კულტურული კონსტრუქტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიგრაციული გამოცდილებების განსაზღვრაში. გენდერული ნორმები და საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქმებიან ქალი და მამაკაცი მიგრანტები, რა შესაძლებლობები აქვთ მათ და რა სირთულეებს აწყდებიან. შესაბამისად, მიგრაციის გენდერული პერსპექტივით განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული კვლევის ჭრილში, რადგან იგი ავლენს იმ ღრმა სოციალურ და სიმბოლურ მექანიზმებს, რომლებიც განსაზღვრავს უთანასწორობებს.

მოხსენებაში განხილულია გენდერისა და სქესის განსხვავება, გენდერული იდენტობა, როლები და გამოხატულება, როგორც კულტურულად ფორმირებული კატეგორიები. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ქმნის საზოგადოება გენდერულ სტერეოტიპებს — ფიზიკური, პიროვნული და პროფესიული ნიშნების მიხედვით — და როგორ აისახება ეს მიგრაციულ პროცესებზე. ასევე გაანალიზებულია შრომითი მიგრაცია, როგორც

სოციალური მექანიზმი, სადაც ქალები ხშირად აღიქმებიან დამოკიდებულ პირებად, თუმცა თანამედროვე ტენდენციები აჩვენებს მიგრაციის ფემინიზაციას. განხილულია კულტურული ნარატივების, შრომის ბაზრის სტრუქტურისა და სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა ქალთა მიგრაციულ გამოცდილებაზე, ასევე ისეთი ფენომენები, როგორიცაა „გლობალური ზრუნვის ჯაჭვი“ და სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა რეინტეგრაციის პროცესში.

მოხსენების მიზანია, გენდერული პერსპექტივის გამოყენებით შრომითი მიგრაციის უფრო ღრმა და კრიტიკული გააზრება. კერძოდ, იმ კულტურული ნარატივებისა და სოციალური ნორმების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ქალთა მიგრაციულ გამოცდილებას, ასევე არსებული უთანასწორობების ანალიზს. აღნიშნული საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა უკეთ გავიგოთ, როგორ ყალიბდება გენდერული განსხვავებები მიგრაციაში და როგორ შეიძლება შეიქმნას უფრო სამართლიანი და ინკლუზიური სოციალური და პოლიტიკური გარემო.

მარიჩი მაკარიძე
ხუსიკო ანსიანი
გია ქუთელია
ნანული დოხეული

კორტიკოსტერონის დოზადამოკიდებული ეფექტების შესწავლა მღრღნელებში ტრავმული მეხსიერების კონსოლიდაციასა და ჩაქრობაზე

ექსპოზიციური თერაპია, რომელიც ეფუძნება ტრავმული მეხსიერების ჩაქრობას, წარმოადგენს ტრავმასთან ასოცირებული აშლილობების მართვის წამყვან მეთოდს, თუმცა თერაპიის შედეგები ინდივიდებში განსხვავებულია. თერაპიისადმი რეზისტენტობა შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მაგალითად კორტიზოლის (კორტიკოსტერონი მღრღნელებში) დონის ცვლილებით.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა კორტიკოსტერონის ერთჯერადი ინექციის ეფექტები შიშის მეხსიერების კონსოლიდაციასა და ჩაქრობაზე. თაგვებს გაუკეთდათ კორტიკოსტერონის (5 ან 10 მგ/კგ) ან გამხსნელის ერთჯერადი კანქვეშა ინექცია შიშის განპირობებულობამდე (შგ). შგ-ს დროს ცხოველები თავსდებოდნენ კაბინაში, რომელშიც იღებდნენ ხმოვან სიგნალთან გაწყვილებულ მტკივნეულ ელექტრულ შოკებს. შგ-დან 24 საათის შემდეგ, ცხოველები თავსდებოდნენ ახალ კონტექსტში, სადაც გან-

პირობებული ტონის მიმართ აღირიცხებოდა მათი ტრავმული მეხსიერების ქცევითი პარამეტრები პროგრამით - Videotrack (Viewpoint, France). მომდევნო დღეს, ექსპოზიციური თერაპიის მოდელირებისთვის, თაგვები თავსდებოდნენ თავდაპირველ შგ-ს კაბინაში და 35 წუთის განმავლობაში მიეწოდებოდათ განპირობებული ხმოვანი სიგნალი ელექტრული შოკების გარეშე.

შედეგები გაანალიზდა ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზით და შემდეგ დუნეტის პოსტ-ჰოკ ტესტით. გამოვლინდა, რომ ექსპოზიციური თერაპიის შემდეგ, ტრავმული მეხსიერების ჯგუფში (შგ გავლილი კორტიკოსტერონის გარეშე), შგ-თი გამოწვეულმა გაშეშებების პროცენტულმა მაჩვენებელმა დაიკლო. ჯგუფში, რომელშიც შგ-მდე ერთჯერადად იყო შეყვანილი 5 მგ/კგ კორტიკოსტერონი, არ შეინიშნებოდა გაშეშებების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა, ხოლო ცხოველთა ჯგუფში, რომელშიც შგ-ს წინ უძღოდა კორტიკოსტერონის ერთჯერადი ინექცია (10 მგ/კგ), შგ-ს შემდეგ არა მარტო გაიზარდა ტრავმული მეხსიერების ფორმირებით გამოწვეული გაშეშებების პროცენტული მაჩვენებელი, არამედ მაჩვენებელი ექსპოზიციური თერაპიების შემდეგაც უცვლელი იყო.

შედეგებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შიშის მეხსიერების ფორმირებაზე გავლენას ახდენს კორტიკოსტერონის დონის მყისიერი გაზრდა. კორტიკოსტერონის მცირედ (5 მგ/კგ) მომატებას შეიძლება ჰქონდეს პროტექტორული ეფექტი შიშის მეხსიერების ფორმირებაზე, ხოლო კორტიკოსტერონის დონის შემდგომი გაზრდისას (10 მგ/კგ) ეს ეფექტი არა მარტო ითრგუნება, არამედ ექსპოზიციური თერაპიის ეფექტურობა მცირდება და ვითარდება მისდამი რეზისტენტობა. ეს შესაძლოა მიუთითებდეს გლუკოკორტიკოიდული სასიგნალო გზების დოზადამოკიდებულ მგრძნობელობაზე კორტიკოსტერონის მიმართ.

მარიამ მამისაშვილი

XX საუკუნის ვიზუალური პორტრეტი ეგონ შილესა და ჟან-მიშელ ბასკიას შემოქმედებაში

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი ავსტრიელი მხატვრის, ეგონ შილეს და ამავე საუკუნის მიწურულის ამერიკელი მხატვრის, ჟან -მიშელ ბასკიას შემოქმედებამ ხელოვნების მოყვარულთა და პროფესიონალური აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო XXI საუკუნეში. ისტორიულ-პოლიტიკური კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში, როდესაც საზოგადოება ურთულესი ტრანსფორმაციის ეტაპებს გადის, ამ მხატვართა თვითშემეცნე-

ბის პროცესი, რომელმაც ვიზუალური გამოხატულება პოვა მათ შემოქმედებაში, მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა საკუთარი იდენტობის ძიების პროცესში მყოფი თანამედროვე ინდივიდისთვის. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 2018 წელს, პარიზის ლუი ვიტონის ცენტრში გამართული ამ ორი მხატვრისადმი მიძღვნილი ერთობლივი გამოფენა, რომელმაც თითქოს გააერთიანა XX საუკუნის დასაწყისსა და ბოლო მეოთხედში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული პროცესები. მოხსენების მიზანია, ლუი ვიტონის ცენტრში გამართული გამოფენის კონტექსტში განიხილოს ამ მხატვართა ვიზუალური ენის თავისებურებანი და ის მიზეზები, რომელთაც განაპირობეს მათი ერთობლივი წარდგენა აუდიტორიისთვის.

ანი მაჭახაშვილი
დაღი ღაღიევი

თანამედროვე გამოწვევები და ქართული ენის განვითარება

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაცია და ტექნოლოგიური პროგრესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენების მდგომარეობაზე, მათ შორის ქართულზეც. სწრაფი ინფორმაციის მიმოცვლა, საერთაშორისო კომუნიკაცია, სოციალური ქსელები და მედია ქმნიან ახალ ენობრივ პირობებს, რაც ქართულ ენას ახალ გამოწვევებს უქმნის. ერთი მხრივ, იზრდება უცხო ენების გავლენა, განსაკუთრებით ინგლისურისა, რაც ხშირად ახალ ტერმინოლოგიას, ლექსიკური ერთეულების დანერგვასა და მეტყველების სტილის ცვლილებას იწვევს. მეორე მხრივ, ეს პროცესები ქმნიან შესაძლებლობას ქართული ენის ადაპტაციაზე, განვითარებასა და თანამედროვე კომუნიკაციურ სივრცეში უფრო აქტიურ ფუნქციონირებაზე.

კვლევის მიზანია გააანალიზოს თანამედროვე გამოწვევები, რომლებიც ზღუდავენ ან ხელს უშლიან ქართული ენის სრულყოფილ განვითარებას, და განსაზღვროს გზები, რომ ენამ შეინარჩუნოს თავისი უნიკალური თვითმყოფადობა. ნაშრომში განხილულია ენის მდგომარეობა განათლებაში, მედიასივრცეში, ინტერნეტკომუნიკაციაში და ახალგაზრდების მეტყველებაში. ასევე იკვლევა, როგორ შეიძლება ტექნოლოგიების და ახალი მედიაპლატფორმების გამოყენება ენის პოპულარიზაციისთვის, ახალი ტერმინების შექმნისა და არსებული ლექსიკის მდგრადობის შესანარჩუნებლად. მეთოდოლოგიურად გამოყენებულია თეორიული ანალიზი, თანამედროვე ენობრივი პრაქტიკის შესწავლა და შედარებითი კვლევა სხვა პატარა ენებთან. შედეგები აჩვენებს, რომ, მიუხედავად გლობალიზაციის გამოწვევებისა, ქა-

რთული ენა აქტიურად ვითარდება და შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის გზებით შესაძლებელია მისმა ფუნქციონირებამ თანამედროვე პირობებში სრულად გააგრძელოს განვითარება.

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გამოწვევები ერთდროულად ქმნიან საფრთხეებს და განვითარების ახალ შესაძლებლობებს, ხოლო ქართული ენის მდგრადობა დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკასა და საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.

ნინო მაჭახაშვილი
თინანო ჯვახიძე

გრეგორ ზამზა, როგორც უკვე გარდაქმნილი ადამიანი: ხილული მეტამორფოზა და უხილავი გაუცხოება

ფრანც კაფკას ნოველა „მეტამორფოზა“ ეძღვნება მისი მთავარი პერსონაჟის, გრეგორ ზამზას გარდაქმნის პრობლემატიკის ანალიზს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ურთიერთმიმართებაზე ხილულ მეტამორფოზასა და უხილავ, ფსიქოლოგიურ გაუცხოებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის დასაწყისშივე გმირი მწერად გარდაიქმნება, ნაწარმოები მიანიშნებს, რომ მისი ეგზისტენციური მდგომარეობა გარდაქმნამდეც უკვე ატარებს გაუცხოების ნიშნებს, და ეს პროცესი თანდათანობით ვითარდება და განისაზღვრება სოციალური ფუნქციით, ეკონომიკური ვალდებულებებითა და ოჯახური მოლოდინებით.

გრეგორის იდენტობა ნოველის დასაწყისშივე დაკარგულია: იგი საკუთარ თავს აღიქვამს არა როგორც სუბიექტს, არამედ როგორც მოვალეობათა მატარებელ სხეულს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სხვათა კეთილდღეობა. ამგვარად, მისი ყოფა და არსებობა უკვე ჩანაცვლებულია მისი ფუნქციით. სწორედ ამ წინასწარი დეჰუმანიზაციის ფონზე, მისი ფიზიკური მეტამორფოზა იძენს სიმბოლურ დატვირთვას: იგი ხილულს ხდის იმ რეალობას, რომელიც აქამდე უხილავი, მაგრამ არსებითი იყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის რეაქცია, რომელიც არა შოკს, არამედ თანდათანობით გამჟღავნებულ უარყოფას გამოხატავს. ეს მიუთითებს, რომ გრეგორის ღირებულება თავიდანვე დამოკიდებული იყო მის სარგებლიანობაზე; როგორც კი ეს ფუნქცია ქრება, ქრება მისი ადამიანური სტატუსიც. შესაბამისად, „მეტამორფოზა“ არ არის ინდივიდის ტრაგედია მხოლოდ, იგი არის სოციალური სისტემის დიაგნოზი, სადაც ადამიანი ფასდება, როგორც რესურსი.

ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდის, ტექსტი აღვიქვათ, როგორც ინდივიდის დეჰუმანიზაციისა და თანამედროვე საზოგადოების კრიტიკა, სადაც ხილული მეტამორფოზა მხოლოდ ამ პროცესის უკიდურესი ფორმაა, ხოლო უხილავი გაუცხოება მისი საფუძველი და გამომწვევი მიზეზი.

ინა მახათაძე
გვანცა ჩადუნელი

სიზმრის იდუმალი პარადოქსი: ფხიზელი ილუზია - მძინარე რეალობა

სიზმრის ფენომენი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ცნობიერების კვლევის მნიშვნელოვან პრობლემას. განსაკუთრებით აქტუალურია სიზმრისა და რეალობის ურთიერთმიმართება, რადგან თანამედროვე სამყაროში რეალობისა და სიმულაციის ბუნება სულ უფრო მნიშვნელოვანი კითხვაა. რენე დეკარტის სიზმრის არგუმენტი, ძველი აღმოსავლური იგავების მსგავსად, გვაჩვენებს, რომ აღქმული რეალობა შესაძლოა ილუზია იყოს. თუ გონება ძილის დროს დამაჯერებელ ალტერნატიულ სამყაროებს ქმნის, როგორ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ გაღვიძებული ყოფა მხოლოდ უფრო რთული სიზმარი ან სიმულაცია არ არის?

სიზმრები განსაკუთრებულ შესაძლებლობას გვთავაზობენ ადამიანის ცნობიერების მრავალშრიანი ბუნების შესასწავლად. ფსიქოდინამიკური თეორიები ფროიდისა და იუნგის მიხედვით, სიზმრები ქვეცნობიერსა და კოლექტიურ არაცნობიერთან კავშირს წარმოშობს, სადაც ვლინდება პირველი სურვილები, გადაუჭრელი კონფლიქტები და არქეტიპული სიმბოლოები. შოპენჰაუერი ძილს „სიკვდილის ძმად“ მოიხსენიებს, ხოლო სიზმრები ამგვარად გვაფიქრებს ეგოს ფლუიდურობაზე, დრო-სივრცის სტრუქტურის დაშლაზე და შესაძლო ზღვრულ გამოცდილებაზე.

მთავარი კითხვა: შეიძლება თუ არა სიზმარი ჩაითვალოს რეალობის ალტერნატიულ ფორმად და რას გვიჩვენებს იგი ადამიანის ცნობიერებისა და რეალობის ბუნების შესახებ?

თემის განხილვისას ფილოსოფიური ანალიზით არაერთ საინტერესო თემაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც სრულად ხსნის სიზმრის პარადოქსს. მაგალითად ის, რომ რეალობასა და სიზმარს შორის განსხვავება ყოველთვის მკაფიო არ არის და მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ადამიანის

ცნობიერებას შეუძლია რეალობის მსგავსი სამყაროს კონსტრუირება, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის ქვეცნობიერსა და შიშებზე.

მარიამ მეგრელი
ნინო გოგრიაშვილი

ანტიკური ტრადიციები ბუდისტურ ქანდაკებაში – განდჰარას ხელოვნება

განდჰარა, რომელიც დღევანდელი ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანისა და აღმოსავლეთ ავღანეთის ნაწილში მდებარეობდა, საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს აბრეშუმის გზაზე. განდჰარას სტრატეგიულმა მდებარეობამ და სიმდიდრემ მიიზიდა მრავალი დამპყრობელი, მათ შორის ბერძნები, სპარსელები თუ ქუშანელები, რომლებმაც თან მოიტანეს მრავალფეროვანი მხატვრული ტრადიციები. ძვ.წ. 326 წელს ეს ტერიტორია ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო, რის შედეგადაც რეგიონში დაიწყო ბერძნული კულტურის გავრცელება. ეს პროცესი გაგრძელდა ინდო-ბერძენი მეფეების მმართველობის პერიოდშიც. ჩამოყალიბდა ხელოვნების სტილი, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა ადგილობრივი ინდური ტრადიციები და ბერძნულ-რომაული მხატვრული ფორმები. განდჰარას სკოლამ აყვავებას ქუშანის იმპერიის მმართველობის პერიოდში, I-IV საუკუნეებში მიაღწია. შემუშავდა ბუდას ანტროპომორფული გამოსახულება. შეიქმნა უნიკალური ხელოვნების ნიმუშები, რომლებზე დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ განდჰარას სკოლამ აითვისა როგორც ბერძნულ-რომაული გამოსახვის ფორმები – ფიგურების ნატურალისტურად გადმოცემა, სახეთა იდეალიზაცია, დრაპირების დეტალური დამუშავება – ისე გარკვეული სიუჟეტები თუ მოტივები, რომლებიც თავისებურად, ბუდისტური რელიგიის მოთხოვნების შესაბამისად გადაამუშავა. ჩვენი მოხსენების მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ აისახა ანტიკური მხატვრული ტრადიციები განდჰარას სკოლის ხელოვნებაში. ამისთვის წარმოვადგენთ და განვიხილავთ განდჰარას სკოლის უნიკალურ ნიმუშებს, რომლებშიც პირდაპირ იკითხება ბერძნულ-რომაული ტრადიციები.

ეღენე მეგჰეღიშვიღი
მაჰიამ ბეჰაძე

ხელოვნური სინათლე ღამით (ALAN), როგორც ნეიროენდოკრინული სტრესორი: ინსომნიის მედიაციური როლი მეტაბოლური სინდრომის განვითარებაში

ხელოვნური სინათლე ღამით (Artificial Light at Night – ALAN) თანამედროვე ურბანული გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მზარდ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკრანული მოწყობილობების ინტენსიურ გამოყენებასთან. კვლევები მიუთითებს, რომ ღამის სინათლის ქრონიკული ექსპოზიცია არღვევს ცირკადულ რითმს და ამცირებს მელატონინის სეკრეციას, რაც იწვევს ნეიროენდოკრინულ დისრეგულაციას. აღნიშნული ჰორმონის დაქვეითება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძილის-ღვიძილის ციკლის რეგულაციაზე და მთლიან ჰომეოსტაზზე. აღნიშნული ცვლილებები ხშირად ვლინდება ინსომნიის სახით, რომლის გავრცელებაც განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდულ პოპულაციაში. ამასთან, დაგროვილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ძილის ქრონიკული დარღვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან, მათ შორის ინსულინრეზისტენტობასთან, სიმსუქნესთან, არტერიულ ჰიპერტენზიასთან და დისლიპიდემიასთან.

ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ ძილის ხანგრძლივობის შემცირება და ფრაგმენტაცია გავლენას ახდენს ენერგეტიკულ ბალანსსა და ჰორმონულ რეგულაციაზე, რაც ხელს უწყობს მეტაბოლური რისკების ზრდას. წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით ანალიზს და მასში განხილულია ინსომნიის შესაძლო მედიაციური როლი ALAN-სა და მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკებს შორის. ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ALAN მნიშვნელოვნად ასოცირებულია მელატონინის სეკრეციის დათრგუნვასთან, ცირკადული რითმის დისრეგულაციასა და ძილის არქიტექტურის დარღვევასთან. შედეგად იზრდება ინსომნიის სიხშირე და სიმძიმე, რაც დაკავშირებულია მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან, მათ შორის ჰიპერგლიკემიასთან, დისლიპიდემიასთან და ქრონიკულ დაბალგრადუსიან ანთებასთან. ამრიგად, ALAN წარმოადგენს კლინიკურად და ეპიდემიოლოგიურად მნიშვნელოვან, მოდიფიცირებად გარემო ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ძილის ხარისხზე, ისე მეტაბოლურ ჰომეოსტაზზე. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ ინსომნია შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი მედიატორი ALAN-სა და მეტაბოლურ დარღვევებს შორის. შესაბამისად, ღამის განათების რე-

გულაცია, ეკრანული დროის შემცირება და ძილის ჰიგიენის გაუმჯობესება უნდა განიხილებოდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრევენციულ სტრატეგიებად. დამატებით, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში ALAN-ის პოტენციური რისკების შესახებ და ინდივიდუალური პრევენციული ქცევების წახალისება.

გიორგი მესხია
სოფიკო ფიფია

ტყვეთა ვაჭრობის მარშრუტები და მათი როლი ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური დომინაციის ფორმირებაში

ტყვე-მონათა შრომა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ფორმირების პირველივე ეტაპიდან ინტენსიურად გამოიყენებოდა, რაც განპირობებული იყო XV-XVII საუკუნეებში ოსმალური სახელმწიფოს თავისებურებებით. არსებული რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სირთულეები, ძირითადად, ანატოლიას, სამხრეთ კავკასიას, ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ბალკანეთს შეეხო, რადგან ზუსტად ეს რეგიონები ამარაგებდნენ ოსმალეთის იმპერიას ტყვე-მონებით. ამრიგად, ოსმალეთის იმპერიის გაძლიერების პარალელურად, საქართველოში თავი იჩინა შიდა კრიზისმა და მორალურმა დაქვეითებამ მოსახლეობაში. ამ ყველაფერმა კი, იმპერიის გაძლიერების პარალელურად, საქართველოში სიტუაციის გამწვავება და „ტყვეთა სყიდვის“ გააქტიურება გამოიწვია. რომ არა ტყვეთა შრომის გამოყენება, ოსმალეთი თავის ძლიერებასა და ჰეგემონობას ვერ შეინარჩუნებდა საუკუნეთა განმავლობაში. ამასთანავე, ტყვე-მონათა ძირითად წყაროს ომი და ტყვეთა ბაზარი წარმოადგენდა, დატყვევებულ ადამიანებს სხვადასხვა დანიშნულებას ანიჭებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და სამხედრო სფეროებში. მაგრამ ჩნდება კითხვა, თუ რა ინსტიტუციური და ლოჯისტიკური მექანიზმები განსაზღვრავდა ტყვეთა სელექციის პროცესს მათი ტრანსპორტირების ფაზაში და როგორ ფუნქციონირებდა გადაყვანის მარშრუტები, როგორც „ფილტრაციის დერეფნები“ და რა კრიტერიუმებით განისაზღვრებოდა, ვინ უნდა გამხდარიყო ფიზიკური მუშა, ადმინისტრაციული მოხელე და ვინ პროფესიონალი მეომარი?

ოსმალეთამდე ტყვეთა გზა მძიმე და დამამცირებელი იყო: ხანგრძლივი გადაადგილება, საკვების დეფიციტი, მკაცრი ფიზიკური მოპყრობა, მძიმე კლიმატური პირობები და დაავადებები, ამრიგად, ტყვეთა გარკვეული

რაოდენობა გზაში იღუპებოდა. ოსმალები ტყვე ჭაბუკებს იყენებდნენ სამხედრო სამსახურისათვის და გზავნიდნენ იანიჩართა კორპუსში. განსაკუთრებით ნიჭიერებს კი ასაქმებდნენ სახელმწიფო აპარატში. რაც შეეხებათ ქალებს, მათ სულთნის ჰარემში გზავნიდნენ მოსამსახურეებად.

მოხსენება ეყრდნობა ისეთი ევროპელი და აღმოსავლელი, მათ შორის, ქართველი ავტორების მიერ მოცემულ წყაროებს, როგორებიც არიან: დონ კრისტეფორე დე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ევლია ჩელები, ისქანდერ მუნში და სხვა.

ნიკა მესხი

ედმუნდ ბერკისა და ჟოზეფ დე მესტრის მსოფლმხედველობათა შედარება საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის კონტექსტში

1789–1799 წლების საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვეული ისტორიული მოვლენა არ ყოფილა: იგი იქცა პოლიტიკური პარადიგმის ფუნდამენტური ცვლილების წარმატებულ მცდელობად, რომლის შედეგებიც დღემდე განსაზღვრავს დასავლურ პოლიტიკურ ცნობიერებას. ამ სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმამ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ძველი და ახალი პოლიტიკური რეალობების მკაფიო გამიჯვნას, რაც აქცევს მას გარდამტეხ მომენტად ევროპის ისტორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებაში.

ფრანგული რევოლუცია არა მხოლოდ რეალობის გარდაქმნის ცდა, არამედ აბსტრაქტული პოლიტიკური თეორიების რეალიზაციისა და გადასინჯვის საშუალებაც გახდა. რევოლუციონერები ცდილობდნენ განმანათლებელთა ნააზრევებიდან აღმოცენებული ადამიანის უფლებების უნივერსალური პრინციპების რეალურ პოლიტიკაში ინტეგრირებას. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი ევროპის ინტელექტუალური საზოგადოება არ იყო აზრობრივად ჰომოგენური, რამაც ხელი შეუწყო მწვავე დებატებს ძალაუფლების ბუნების, სამართლიანობის, რელიგიისა და ადამიანის ადგილის შესახებ საზოგადოებაში. ინტელიგენციის მიერ რევოლუციის კომპლექსური და სრულიად მრავალფეროვანი გადააზრება გახდება გზაჯვარედინი მრავალმხრივი პოლიტიკურ-ფილოსოფიური პოლემიკისა. ამრიგად, რევოლუციამ წაახალისა როგორც პროგრესული აზროვნების განვითარება, ისე მის მიმართ კრიტიკული რეაქცია, რაც ნათლად ილუსტრირდება ნაშრომებში ისეთი ფიგურებისა,

როგორებიც იყვნენ ედმუნდ ბერკი და ჟოზეფ დე მესტრი. რევოლუციური მოვლენების მიმართ საერთო უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მათი მიდგომები, არგუმენტები და იდეოლოგიური დამოკიდებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რამაც განაპირობა კონსერვატიული იდეოლოგიის ორი განსხვავებული სახე-სხვაობის - მესტრისეული რადიკალური კონსერვატიზმისა და ბერკისეული „რბილი“ კონსერვატიზმის - ჩამოყალიბება. ამგვარად, აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ფრანგული რევოლუციის ორი ყველაზე გავლენიანი კრიტიკოსის - მესტრისა და ბერკის - შეხედულებათა შედარებასა და გაანალიზებას, რათა გამოავლინოს როგორც მსგავსებები, ისე ფუნდამენტური განსხვავებები და შეაფასოს მათი როლი პოლიტიკური ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაში.

თინათინ მეტხევეღი
ღიზი ბოღქვაძე

გრიზელდა და ძალაუფლება: მორჩილების ალეგორია შუა საუკუნეებიდან დისტოპიურ თანამედროვეობამდე

მოხსენების მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ იქცა გრიზელდას მორჩილება ძალაუფლებისა და ადამიანის კონტროლის სიმბოლოდ. ანალიზი ეყრდნობა ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონსა“ და ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებს“, სადაც ეს ისტორია სხვადასხვა კუთხით არის დანახული.

ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონში“ მარკიზი გვალტიერი გადაწყვეტს, რომ თავისი მეუღლე „ხანგრძლივად გამოვცადო, მწარე სატანჯველს მივაყენო და ამით ვნახავ, რაზომ დიდია მისი სულგრძელობაო“.გრიზელდა მას პასუხობს: „ჩემო ხელმწიფევ, რაც გენებოს, ის მიყავ... მე ყველაფერზე ჯერსა ვარ, რადგან მე შენს სახელად და წუხილად არა ვღირვარ“. ეს სიტყვები ნათლად აჩვენებს, რომ გრიზელდა საკუთარ პიროვნებას სრულად უქვემდებარებს სხვის ძალაუფლებას.

ჯეფრი ჩოსერი „კენტერბერიულ მოთხრობებში“ ამავე ისტორიას „სტუდენტის ამბის“ სახით გადმოგვცემს. ჩოსერისეული ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს გრიზელდას სულის სიმტკიცესა და მოთმინებას, თუმცა მისი თხრობა მკითხველს უფრო მეტად აფიქრებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია ასეთი მკაცრი გამოცდები ადამიანისთვის.

გრიზელდას ისტორია შეიძლება გავიგოთ, როგორც პოლიტიკური მაგალითი, სადაც მმართველი წარმოადგენს ძალას, რომელსაც სრული მორჩილება სჭირდება, ხოლო გრიზელდა — დაქვემდებარებულ ინდივიდს.

თავად გვალტიერი აღიარებს, რომ მისი მიზანი იყო წინასწარ ესწავლებინა: „შენთვის – ცოლობა, იმათთვის – საცოლის არჩევა და მისი შენარჩუნება“. მორჩილება აქ უბრალოდ თვისება აღარ არის – ის სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება.

მსგავსი ძალაუფლებრივი სტრუქტურა ჩანს ჯორჯ ორუელის რომანში „1984“, სადაც სახელმწიფო ცდილობს ადამიანის არა მხოლოდ ქცევა, არამედ აზროვნებაც კი გააკონტროლოს. ორივე შემთხვევაში მორჩილება წარმოდგენილია, როგორც აუცილებელი წესი, რომელიც სინამდვილეში ძალაუფლების შენარჩუნების მექანიზმია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გრიზელდას ამბავი სცილდება შუა საუკუნეების მორალურ ჩარჩოებს და გვიჩვენებს ძალაუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის ზოგად სურათს. ბოკაჩოსა და ჩოსერის ტექსტებში აღწერილი ტოტალური თვითუარყოფა დღემდე აქტუალურია პოლიტიკური და სოციალური კონტროლის მექანიზმების გასაანალიზებლად. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები გრიზელდას საქციელს ხშირად სათნოებად მიიჩნევენ, თანამედროვე ხედვა მასში ინდივიდუალური თავისუფლების გაქრობის სიმბოლოს ამოიცნობს.

აღექსანდრე მიქაბეიძე

მართლმადიდებლობა და პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმის“ მიხედვით

სამეცნიერო მოხსენება მართლმადიდებლობისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხება. საკვლევი თემის ანალიზი ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას ნაშრომს: ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელშიც აქცენტი ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ჯანსაღ ურთიერთმიმართებაზე კეთდება. კერძოდ, ინდივიდი, პიროვნება, რომელიც ზრუნავს სამშობლოს ინტელექტუალურ, სულიერ, ეკონომიკურ განვითარებაზე, ავტომატურად კაცობრიობის წინსვლაზეც ზრუნავს.

მოხსენებაში, ძირითადად, შემდეგი სახის მოსაზრებებია გამოთქმული: პატრიოტიზმის სულისკვეთებას ამყარებს და ამძაფრებს ქრისტიანობა და, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა. მოყვასის სიყვარული ეროვნულ, პატრიოტულ ვალსაც მოიცავს. მართლმადიდებლობისა და პატრიოტიზმის ურთიერთკავშირის დადასტურებაა საქართველოს ისტორია.

ქრისტინე მჟავანაძე

„ცხოველების ფერმის“ რეკონსტრუქცია: საბჭოთა ტოტალიტარული მანიპულაცია და მეხსიერების კონტროლი

ჯორჯ ორუელის ,,ცხოველების ფერმა“ თავისი ალეგორიული ხასიათით პოლიტიკური ძალაუფლების პროპაგანდული გავრცელების ფონზე, სოციალური იერარქიისა და თანასწორობის იდეის ტრანსფორმაციის წარმოსაჩენად შესანიშნავ ნარატივს წარმოადგენს. ის მრავალპლანური ანალიზის საშუალებას იძლევა ტოტალიტარული ძალაუფლების მექანიზმების შესახებ, სადაც წარსულის კონტროლი იქცევა ცენტრალურ ინსტრუმენტად. საბჭოთა კავშირის ისტორია, რომელიც ინტერტექსტად გასდევს ამ ნაშრომს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ცოცხალი მოდელი: ცხოველები რევოლუციის გზით ცდილობენ თავისუფლების მოპოვებას, რომელიც თანასწორუფლებიანი ცხოველთა ფერმის სახით წარმოუდგენიათ და იღებენ ისეთ სტრუქტურას, რომელშიც თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლებაც კი არ აქვთ.

როგორი პარადოქსულია, არა?! იკვეთება იდეა, რომ თავისუფლების მიღწევის შემდეგ იწყება მისი იერარქიული გადაფასება და რეპრესიად გარდაქმნა. საბჭოთა რეჟიმი არა მხოლოდ აკონტროლებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, არამედ სისტემურად ახდენდა ისტორიული მეხსიერების და აზროვნების მანიპულირებას. ამ პროცესში ცენტრალური ადგილი ეჭირა სოციალური ამნეზიას, რომელიც არასასურველ ფაქტებს, ადამიანებსა და მოვლენებს საჯარო სივრციდან აქრობდა. ორუელი ხაზს უსვამს, რომ, როცა რეჟიმი წარსულს „წერს“ საკუთარი ინტერესების მიხედვით, საზოგადოება ბრმად ემორჩილება მას, კარგავს იდენტობას და იღებს შიშზე დაფუძნებულ რეალობას, როგორც ნორმას. სოციალური ამნეზია, რეპრესია, პროპაგანდა და ცენზურა არა უბრალოდ ძალისმიერი მეთოდებია, არამედ ისინი ქმნიან სინამდვილის ალტერნატიულ ვერსიას, სადაც დავიწყება არა უბედურება, არამედ მიზანმიმართული პოლიტიკური იარაღია.

ამრიგად, საბჭოთა გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ტოტალიტარიზმი მხოლოდ პოლიტიკური სისტემა არ არის - ეს არის ცნობიერების კონტროლის სისტემური პრაქტიკა, სადაც წარსულს „წერენ“ ძალაუფლების გასამყარებლად, აწმყოს მართვისთვის და მომავალზე მონოპოლიური გავლენის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, როცა ძალაუფლება აკონტროლებს მეხსიერებას, იგი ქმნის საზოგადოებას, რომელსაც არ ახსოვს თავისი ისტორია, რომელსაც იდენტობა უმახინჯდება და ხდება უუნარო მარიონეტი, რომელსაც მარტივად მართავს ,,ბელადი“.

გიორგი ნადირაშვილი

იბერია პახიმერესა და მანუელ ფილესის ცნობებით: ბიზანტიური წარმოდგენები XIII–XIV საუკუნეების მიჯნაზე

ბიზანტიის იმპერიის აღდგენის (1261 წ.) შემდგომი პერიოდი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ისტორიაში ახალ, პარადიგმული ცვლილებების ხანად გვევლინება. ამ პერიოდიდან საქართველო ბიზანტიისთვის კვლავ აქტუალური ხდება. წინამდებარე მოხსენების ფარგლებში მიზნად ვისახავთ წარმოვაჩინოთ რა ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა საქართველოს აღქმამ ბიზანტიაში იმპერიის აღდგენის შემდეგ, კერძოდ, პირველი პალეოლოგოსების (მიქაელ VIII, ანდრონიკე II) იმპერატორობისას. აღნიშნული საკითხი, ზოგადად, ისტორიოგრაფიაში სიღრმისეულად არ არის დამუშავებული. მისი შესწავლისას ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროები კი ასევე ნაკლებადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისთვის (მანუელ ფილესის პოემები. გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ XIII წიგნი), რაც, ჩვენს კვლევას მეტ მნიშვნელობას სძენს.

საკითხის დამუშავებამ საშუალება მოგცვა საკვლევ პერიოდში (XIII საუკუნის II ნახევარი - XIV საუკუნის დასაწყისი) საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების სამი ეტაპი გამოგვეყო: 1) „დიპლომატიური დუმილი“ ნიკეის იმპერიის დროს - არცერთ ბიზანტიურ (და არც ქართულ) წყაროში არანაირი გადაკვეთა არ იკითხება; 2) საქართველოს, როგორც მეტოქის, აღქმა ბიზანტიელთაგან ტრაპიზონის იმპერიის კონტექსტში - მიქაელ VIII პალეოლოგოსის მმართველობისას საქართველო თავდაპირველად ჩანს როგორც კონკურენტი, რომელიც ტრაპიზონის იმპერიაზე გავლენის მოსაპოვებლად აქტიურ მატრიმონიალურ და დიპლომატიურ ინსტრუმენტებს იყენებს. ამ პერიოდში იბერია ბიზანტიური ამბიციების პერიფერიული, თუმცა ანგარიშგასაწევი მეტოქეა. 3) სამხედრო-სტრატეგიული მეტამორფოზა - ანდრონიკე II-ის ზეობისას, იმპერიის შიდა და გარე კრიზისების ფონზე, საქართველოს როლი რადიკალურად იცვლება.

პახიმერეს XIII წიგნში და ფილესის პოემებში საქართველო უკვე „სასურველ მოკავშირედ“ აღიქმება. იბერიაში გაგზავნილი ელჩობები და ქართველი მეომრების სამხედრო პოტენციალის ხაზგასმა მიუთითებს იმაზე, რომ კრიზისში მყოფი იმპერია საქართველოს განიხილავს, როგორც აღმოსავლეთში ქრისტიანული წინააღმდეგობის ერთ-ერთ უკანასკნელ დასაყრდენს. კვლევის შედეგად გამოვლინდა ხატძიკესთა [Χατζικης] საგვარეულო, რომელიც გვიან ბიზანტიურ საიმპერიო ადმინისტრაციაში ქართული ელემენტის არსებობის იშვიათ შეთხვევას წარმოადგენს.

ნინო ნოზაძე

ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტის დაარსება

საქართველოს ისტორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, თუმცა უნივერსიტეტის დაარსებამდე ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღება რთულ პირობებთან იყო დაკავშირებული. ქართველი ახალგაზრდები იძულებულნი იყვნენ სწავლა გაეგრძელებინათ უცხოეთში, რაც ხელს უშლიდა ეროვნული სამეცნიერო სკოლის განვითარებას. სწორედ ამ ვითარებაში წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა იდეა საქართველოში ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული განათლებისა და მეცნიერების განვითარების განუყოფელი ნაწილია. ივანე ჯავახიშვილი იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლესი განათლების ჩამოყალიბებაში. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით 1918 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა იყო.

ივანე ჯავახიშვილის მიზანი იყო ისეთი საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას უზრუნველყოფდა, არამედ ხელს შეუწყობდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

უნივერსიტეტის დაარსება ემთხვეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს და ასახავდა ეროვნულ მისწრაფებას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისკენ. ივანე ჯავახიშვილი ხედავდა უნივერსიტეტს, როგორც ცენტრს, სადაც ჩამოყალიბდებოდა ეროვნული ინტელიგენცია და განვითარდებოდა ქართული მეცნიერება. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ფაკულტეტები, შემუშავდა სასწავლო პროგრამები და ჩამოყალიბდა აკადემიური ტრადიციები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. აქ აღიზარდა მრავალი ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს საქართველოს განვითარების პროცესზე. უნივერსიტეტი დღემდე რჩება ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად.

ივანე ჯავახიშვილის ხედვა განათლების მნიშვნელობაზე და მეცნიერების როლზე თანამედროვე საზოგადოებაში კვლავაც მნიშვნელოვანია. ამი-

ტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებაა, არამედ ეროვნული თვითშეგნების, ცოდნისა და პროგრესის სიმბოლო.

ლაჩი ოხაგვეღიძე
გიოხგი ქაფიანიძე

ვლად III ცეპეშის ორი სახე - ტირანი თუ გმირი?

ვლად III ცეპეში (სარზე გამსმელი) ანუ ვლად დრაკულა იყო ვლახეთის (დღევანდელი სამხრეთ რუმინეთი) მმართველი 1448 , 1456 - 1462 და 1476 წლებში, ასევე რაინდული ორდენის „დრაკონის“ წევრის, ვლად II დრაკულას შვილი. მას რთულ დროს მოუწია მმართველობა, რადგან პარალელურად ოსმალეთის სახელმწიფო გაძლიერდა და სწორედ მას უპირისპირდება ვლად III ცეპეში. ეს იყო ვლახეთის ისტორიის ურთულესი პერიოდი, როდესაც შინააშლილობით დასუსტებული ქვეყანა, ვარნას 1444 წლის ბრძოლის შემდეგ, ოსმალებთან ომის წინა ხაზზე აღმოჩნდა.

მოხსენებაში საუბარი იქნება ვლად მესამე ცეპეშზე, როგორც ყველასთვის ცნობილ უსასტიკეს პიროვნებაზე. მის ლეგენდებსა და წამების ხერხებზე, შიშით მმართველობაზე და ასევე მის სასტიკ ექსპერიმენტებზე, რომლითაც ცდილობდა აბსოლუტური კონტროლის დამყარებას (ოქროს თასების ექსპერიმენტი). ყურადღებას გავამახვილებთ იმ მიზეზებზე, თუ რამ განაპირობა მმართველის ასეთი სისასტიკე და არაადამიანურობა. „ეშმაკის ძემ'', როგორც მას ხალხმა უწოდა, ისტორიკოსების აზრით, 40 000 - დან 100 000 -მდე ადამიანი გასვა სარზე უსასტიკესი მეთოდით, სწორედ აქედან მოდის მისი სახელწოდება - „იმპალერი“ (რუმინულად Țepeș) .

მოხსენებაში ასევე ვისაუბრებთ ვლადზე, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მმართველზე ვლახეთის ისტორიაში, ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეზე და ქრისტიანობის დამცველ და განმავითარებელ პიროვნებაზე. შევეცდებით დაგანახოთ „დრაკულას“ განსხვავებული სახე. გაუტყდა თუ არა მას სახელი და იყო თუ არა ეს ყოველივე დაგეგმილი? ან რატომ იცნობენ რუმინეთის ერთ-ერთ განმათავისუფლებელ გმირს და ძლიერ მეფეს „დრაკულად“?

ანანო პეჰანიძე
მაჰიამ ბაჰათეღი

ინგლისური და ესპანური ენების არტიკლების გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებების კონტრასტული ანალიზი

არტიკლების არსებობა ინგლისურ და ესპანურ ენებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არსებითი სახელების განსაზღვრასა და წინადადებების სტრუქტურირებაში. ინგლისური, როგორც გერმანიკული ენა, და ესპანური, როგორც რომანული ენა, იზიარებენ ინდოევროპულ წარმოშობას, რაც განაპირობებს მათ შორის არსებულ სემანტიკურ მსგავსებებს. თუმცა ამ ენათა კონტრასტული, ანუ შედარებითი გრამატიკული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს არა მხოლოდ ისეთ მსგავსებებს, როგორიცაა განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების როლი არსებითი სახელის განსაზღვრაში, არამედ იმ განსხვავებებსაც, რომლებიც უშუალო კავშირშია არსებითი სახელის სქესსა და რიცხვთან.

ფორმის მიხედვით, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები ორივე ენაში სემანტიკურ ფუნქციას ასრულებენ, თუმცა გარკვეულწილად განსხვავდებიან გრამატიკული მახასიათებლებით. ესპანურში არტიკლი ხასიათდება არსებითი სახელის სქესისა და რიცხვის მარკირებით, ხოლო ინგლისურში იგი არ განისაზღვრება სქესით და მრავლობითი რიცხვის კონტექსტში არ გამოიყენება. შესაბამისად, აღნიშნული განსხვავებები ხაზს უსვამს არა მხოლოდ იმას, რომ ინგლისური და ესპანური არტიკლების სისტემები სხვადასხვა გრამატიკულ პრინციპზეა დაფუძნებული, არამედ ენათა სტრუქტურული პრინციპების მრავალფეროვნებასაც. არტიკლების სხვადასხვა ტიპი ორივე ენაში ერთსა და იმავე ძირითად ფუნქციას ასრულებს, თუმცა საკმაოდ მარტივია ისეთი შემთხვევების პოვნა, სადაც განსაზღვრულობის სწორად გამოყენების დეტალები ესპანურსა და ინგლისურში განსხვავდება.

ენებს შორის მკაფიო და ზოგადი წესების ჩამოყალიბება რთულია, მრავალი შემთხვევა კი გამონაკლისებზეა დაფუძნებული. ამიტომ, ამ ორი ენის შედარება უნდა განხორციელდეს თითოეული შემთხვევის ცალ-ცალკე განხილვით. ინგლისური და ესპანური ენების სემანტიკური მახასიათებლები შედარებულ იქნა იმის დასადგენად, ცნებების ძირითადი მახასიათებლები უნივერსალურია თუ ენობრივად სპეციფიკური. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სიტყვების სტრუქტურირებაზე გავლენას ახდენს როგორც ენობრივი, ისე კულტურული განსხვავებები, ენებს შორის სემანტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით შესამჩნევი განსხვავებები არ იკვეთება.

ამრიგად, მოხსენების მიზანია კონტრასტული კვლევების წარმოჩენა და ენის განხილვა „გარე“ პერსპექტივიდან, რაც ხელს უწყობს ენობრივი სისტემის უკეთ გააზრებას და გვთავაზობს კვლევისა და ანალიზის მკაცრ, სისტემურ და მეტად საგულისხმო მეთოდოლოგიას ენათმეცნიერული ანალიზის კონტექსტში.

ხუსუდან სამადაშვილი
თამთა პავლაძე

იაპონური დიასპორა ბრაზილიაში: მიგრაცია, ადაპტაცია და კულტურული მემკვიდრეობა

დღევანდელ რეალობაში მიგრაციის თემატიკა ფართოდაა აქტუალური. ის ხელს უწყობს გლობალიზაციას, ერებს შორის კულტურათა დიალოგს და ეკონომიკურ გაცვლას. აღნიშნულ კონტექსტში, იაპონურ-ბრაზილიური დიასპორა წარმოადგენს გამორჩეულ მაგალითს, რომელიც ნათლად ასახავს მიგრაციის მრავალმხრივ ბუნებას.

მოხსენების მიზანია იაპონიიდან მიგრირებული ჯგუფის ფორმირებისა და განვითარების გამოკვლევა ბრაზილიაში, აგრეთვე ბრაზილიელი ემიგრანტების სოციალური მდგომარეობის შესწავლა იაპონიაში. თეზისი შეეხება იმ ფაქტორებს, რამაც განაპირობა მათი მიგრაცია, როგორ მოახერხეს დროთა განმავლობაში უცხო გარემოსთან ადაპტაცია და როგორ ინარჩუნებენ კულტურულ იდენტობას.

იაპონელთა მასობრივი მიგრაცია XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ვინაიდან იაპონიას აწუხებდა დემოგრაფიული სიჭარბე, მიგრანტები ეძებდნენ უკეთეს სამუშაო პირობებს, ბრაზილიას კი ესაჭიროებოდა იაფი მუშახელი აგრარულ სექტორში, განსაკუთრებით, ყავის პლანტაციებში. იაპონელთა ბრაზილიაში მიგრაცია ოფიციალურად 1908 წლის 18 მარტს დაიწყო, როდესაც „კასატო მარუს“ გემი სანტოსის პორტზე შეჩერდა და 781 იაპონელი ემიგრანტი სან-პაულუს უხვ პლანტაციებზე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მათი ყოფა ბრაზილიაში არ ყოფილა მარტივი; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონური დიასპორა განიცდიდა მძიმე დისკრიმინაციასა და რეპრესიებს, თუმცა ომისშემდგომ პერიოდში მიგრანტებმა შეძლეს მათი სოციალურ-ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება.

გვიანდელ ეტაპზე ფორმირდება საპირისპირო მიგრაციული ტენდენცია, „დეკასეგის“ ფენომენი, როდესაც ბრაზილიელი იაპონელები ბრუნდებიან იაპონიაში სამუშაოდ. მიუხედავად მათი ეთნიკური ერთობისა, ბრაზილიელი იაპონელები უცხოელებად არიან მიჩნეულნი, რაც იმას ამტკიცებს,

რომ იდენტობა არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ კულტურული და სოციალური კონსტრუქციაა.

მათი კულტურული სინკრეტიზმი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ბრაზილიაში, სადაც იაპონური კულტურა ინტეგრირდა ადგილობრივთან. ამის კარგი მაგალითია სან-პაულოს ერთ-ერთი უბანი, ლიბერდადი, რომელსაც მეორენაირად "Japantown"-საც უწოდებენ. შესაბამისად, იაპონურ-ბრაზილიური დიასპორა ჰიბრიდული კულტურაა, ვინაიდან იგი არ არის მიბმული ერთ ტერიტორიაზე, არამედ მოქნილი და დინამიკურია.

მარიამ სახეიშვილი
ნინო ნარინდოშვილი

რუსული სამყაროს კონცეფცია პოსტსაბჭოთა სივრცეში: კულტურული იდენტობა როგორც გეოპოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტი

„რუსული სამყაროს" (Russkiy Mir) კონცეფცია წარმოადგენს თანამედროვე რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ იდეოლოგიურ საყრდენს. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში ტერმინი „რუსული სამყარო" ძირითადად კულტურულ-ჰუმანიტარულ კონტექსტში გამოიყენებოდა, დროთა განმავლობაში მან მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად, ეს კონცეფცია მიმართული იყო საერთო ენობრივი, კულტურული და სულიერი სივრცის შენარჩუნებისა და გაძლიერებისკენ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. აქცენტი კეთდებოდა კულტურულ კავშირებზე, განათლებაზე, მედიასა და დიასპორასთან ურთიერთობაზე, რაც ქმნიდა გავლენის შედარებით „რბილ" და არაკონფლიქტურ ფორმას.

თუმცა 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეს კონცეფცია თანდათანობით შეიცვალა და უფრო მკვეთრად პოლიტიზებული გახდა. „რუსული სამყაროს" იდეამ დაკარგა მხოლოდ კულტურული პლატფორმის ფუნქცია და გადაიქცა გეოპოლიტიკურ ნარატივად, რომელიც გამოიყენება რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების გასამართლებლად. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი გამოყენება იმ არგუმენტად, რომ რუსეთს აქვს „პასუხისმგებლობა" დაიცვას რუსულენოვანი მოსახლეობა და „საერთო ცივილიზაციური სივრცე" სხვა სუვერენულ სახელმწიფოებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს „რუსული სამყაროს“ კონცეფციის ევოლუცია კულტურულ-ჰუმანიტარული იდეიდან აგრესიულ გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტამდე, ხოლო, საქართველოს (2008) და უკრაინის (2014, 2022) შემთხვევებზე დაყრდნობით, ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში, როგორ იყენებს რუსეთი „რუსული სამყაროს“ კონცეფციას რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის ნარატივის ქვეშ სუვერენული სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევის გასამართლებლად? კვლევა ნათლად აჩვენებს ამ კონცეფციის რადიკალიზაციას, როდესაც კულტურულ-ისტორიული დისკურსი პირდაპირ ტრანსფორმირდება ინტერვენციისა და რეგიონული ჰეგემონიის შენარჩუნების საშუალებად, რაც კიდევ უფრო ამწვავებს იდენტობისა და პოლიტიკური დაპირისპირების პროცესს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

იოანე სახვაძე

საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალები სამეგრელოში

მოხსენებაში განიხილება სამეგრელოში არსებული დაკრძალვისა და ქორწილის წეს-ჩვეულებანი, რომლის შესახებ ერთ-ერთი პირველი წერილობითი წყაროები არსებობს მეჩვიდმეტე საუკუნეში, კათოლიკე მისიონერთა მიერ შესრულებული წერილებისა და ჩანაწერების სახით. ნაშრომში წარმოჩენილია ის, თუ როგორი იყო საქორწინო ან დაკრძალვის ცერემონიალი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, ოდიშის სამთავროში და როგორი განვითარება პოვეს მათ საუკუნეთა მანძილზე. ამდენად, ნაშრომის მიზანია ზემოთხსენებულ საკითხზე დაკვირვება და მისი წარმოჩენა ფართო აუდიტორიისთვის. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული კვლევის მეთოდი, რომლის მიხედვითაც გადმოცემული თემის ირგვლივ არის განხილული პირველადი ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიული ნარკვევები; ამავე დროს საუბარია იმაზე, თუ რა განვითარების ეტაპები გაიარა მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ ქორწილისა და დაკრძალვის ცერემონიებმა და როგორია მათი საბოლოო სახე დღევანდელობაში. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ის, რომ ნაწილი დაკრძალვისა და ქორწილის წეს-ჩვეულებანისა შეიცვალა სრული ან არასრული სახით, ზოგი კი დარჩა უცვლელი ფორმით.

განსაკუთრებით საყურადღებოა კათოლიკე მისიონერების - არქანჯელო ლამბერტისა და ჯუდიჩე მილანელის საისტორიო ცნობების შედარება სერგი მაკალათიასა და თედო სახოკიას სამეცნიერო ნაშრომებთან, რომლებიც შეიცავს როგორც საისტორიო, ისე ეთნოგრაფიულ მასალას. აღნიშნული ნამუშევრების შედარებისას ჩვენ მრავალი საერთო ან განმასხვავებელი ნიშნის

პოვნა შეგვიძლია, ეს კი დასტურია ქორწილისა და დაკრძალვის ცერემონიათა ნაწილობრივი ან ძირეული ცვლილებებისა სამეგრელოში.

ნათია სიბაშვილი
მეგი პაპავა

ანგლოსაქსური პოემა „ბეოვულფი“ და მისი ანტიკური ლიტერატურული პარალელები

ეპიკური ლიტერატურის ძეგლები სხვადასხვა ეპოქასა და კულტურულ სივრცეში იქმნება, თუმცა მათში ხშირად მეორდება ის ძირითადი მოდელები, რომლებიც გმირის სახეს, დიდებისა და სახელისთვის ბრძოლას, ბედისწერის როლს ადამიანის ცხოვრებაში, შურისძიებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უკავშირდება. სწორედ ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ანგლოსაქსური პოემა „ბეოვულფის“ განხილვა ანტიკურ ეპიკურ ტრადიციასთან მიმართებით.

ანტიკური ეპოსები – განსაკუთრებით „ილიადა“ და „ოდისეა“ – ქმნიან გმირის იმ კლასიკურ მოდელს, რომელმაც დასავლური ლიტერატურული და კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ შექმნილი „ბეოვულფი“, მიუხედავად განსხვავებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური კონტექსტისა, მაინც ავლენს მრავალ პარალელს ამ ტრადიციასთან. აღნიშნულ მსგავსებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ გადადის ეპიკური მემკვიდრეობა ანტიკური სამყაროდან შუა საუკუნეების ლიტერატურაში და როგორ განიცდის იგი თემატურ და იდეურ გარდაქმნას.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რამდენიმე საკვანძო საკითხს: რამდენად თავისუფალია გმირი საკუთარი არჩევანის წინაშე და რამდენად ექვემდებარება ბედისწერას; რა ფუნქცია აქვს შურისძიებას, როგორც სოციალური და მორალური წესრიგის აღდგენის მექანიზმს და დგას თუ არა გმირისთვის სახელი და დიდება სიცოცხლეზე მაღლა. ამ კონტექსტში „ბეოვულფი“ განიხილება როგორც ტექსტი, რომელიც ერთდროულად აგრძელებს ანტიკური გმირისთვის დამახასიათებელ მოდელს და, ამავე დროს, გარდაქმნის მას ახალი ეთიკური, ისტორიული და კულტურული გამოცდილების შესაბამისად.

ამასთანავე, განხილული იქნება, დგას თუ არა გმირისთვის სახელი და დიდება სიცოცხლეზე წინ, როგორც ეს ანტიკურ ეპოსში ჩანს, თუ „ბეოვულფში“ ეს დამოკიდებულება სხვა ღირებულებრივ შინაარსს იძენს.

მოხსენება მიზნად ისახავს, „ბეოვულფისა“ და ანტიკური ლიტერატურის პარალელური ანალიზის საფუძველზე აჩვენოს, თუ როგორ იცვლება გმირობის იდეალი სხვადასხვა ეპოქაში და როგორ გადადის ეპიკური ცნობიერების ძირითადი სტრუქტურები ერთი ცივილიზაციური სივრციდან მეორეში.

თეკლა სიხარულიძე

არავერბალური კომუნიკაცია და მისი როლი უცხო ენის შესწავლაში

კომუნიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვიერი გამოხატვით. ადამიანის ემოციებისა და აზრების გადმოცემა ხშირად სხეულის ენის, ანუ არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით ხდება. არავერბალური კომუნიკაცია მოიცავს ადამიანის აზრების, ემოციებისა და განზრახვების გამოხატვას სახის გამომეტყველების, ჟესტების, მიმიკებისა და სხვა ფიზიკური მოძრაობების მეშვეობით. აღნიშნული ელემენტები ხშირად სიტყვებზე მეტ ინფორმაციასაც კი გადმოსცემს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ვერბალურ კომუნიკაციასთან ერთად, ისე დამოუკიდებლად.

კვლევები აჩვენებს, რომ პირისპირ კომუნიკაციის დროს მნიშვნელობის დაახლოებით 10% სიტყვებიდან, 30% - ხმის ტონიდან, ხოლო 60% - მიმიკებისა და სხეულის მოძრაობებიდან აღიქმება. სხეულის ენა ადამიანებს შორის ემოციებისა და ქცევების გაგებაში მნიშვნელოვან მინიშნებებს იძლევა. მისი დახმარებით შესაძლებელია იმ განცდებისა და მდგომარეობების ამოცნობაც, რომელთა სიტყვიერად გამოხატვა ყოველთვის არ ხდება, მაგალითად: შიში, დაძაბულობა ან შინაგანი ფიქრი. ამასთანავე, სხეულის ენა ხშირად გამოიყენება სიტყვიერი გზავნილის გასაძლიერებლად და კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდისათვის.

თურქულ კულტურაში სხეულის ენა აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ხოლო ჟესტებსა და მიმიკებში სოციალური კოდებიც იკვეთება. თვალის კონტაქტი ნდობასა და გულწრფელობას გამოხატავს, ხელების გადაჯვარედინება შესაძლოა კრიტიკულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდეს, ხოლო ლოყაზე ხელის მიდება ფიქრსა და ყურადღებას აღნიშნავდეს. სხვადასხვა კულტურაში ერთსა და იმავე ჟესტს განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს; მაგალითად, თითების შეერთება თურქულ კულტურაში ავტორიტეტისა ან აზრის ხაზგასმის ნიშნად გამოიყენება, მაშინ, როდესაც სხვა კულტურებში მისი ინტერპრეტაცია განსხვავებულია.

ნაშრომის მიზანია თურქულ კულტურაში გავრცელებული ჟესტებისა და მიმიკების მნიშვნელობის ანალიზი და მათი როლის განსაზღვრა ყოველდღიურ კომუნიკაციაში. ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი მეთოდი და შედარებითი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესწავლილ იქნა ერთისა და იმავე ჟესტების განსხვავებული ინტერპრეტაცია სხვადასხვა კულტურაში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სხეულის ენა თურქულ საზოგადოებაში კომუნიკაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ხშირად ავსებს ან ზოგჯერ ცვლის ვერბალურ კომუნიკაციას. ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს, რაც კომუნიკაციის პროცესში გაუგებრობის მიზეზიც შეიძლება გახდეს. შესაბამისად, ჟესტები და მიმიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის შესწავლის პროცესში, რადგან ენა წარმოადგენს სოციოკულტურულ ინსტრუმენტს. არავერბალური ნიშნების სწორი ინტერპრეტაცია ხელს უწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას, კომუნიკაციის ეფექტიანობას და კულტურათაშორისი განსხვავებების სწორ აღქმას.

თემუი სიხახუღიძე

სამონასტრო ეკონომიკის ტრანსფორმაცია VIII-XI საუკუნეების ბიზანტიაში

შუა პერიოდის ბიზანტიაში სამონასტრო ეკონომიკამ რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადა და „ლოცვის ინდუსტრიიდან“ იმპერიის უდიდეს ფისკალურ გამოწვევად იქცა. ტრადიციული ისტორიოგრაფიული შეხედულების საპირისპიროდ, რომელიც ბიზანტიურ მონასტრებს საერო ქაოსისგან განდგომილ ასკეტურ კერებად მიიჩნევს, სინამდვილეში, ეს პროცესი ფუნდამენტურ პარადოქსს ეფუძნებოდა: საერო საზრუნავისგან განდგომის სულიერმა იდეალმა უნებლიეთ უპრეცედენტო სამეურნეო ექსპანსიას შეუწყო ხელი. დროთა განმავლობაში, მონასტრები სულიერი გადარჩენის სივრცეებიდან შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და რაციონალურ ეკონომიკურ კორპორაციებად ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც საკუთარი ლოჯისტიკური და საწარმოო ქსელები, მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტი და ფართო კომერციული ინფრასტრუქტურა გააჩნდათ.

ამ ეკონომიკური აღზევების მთავარი საყრდენი სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ფართომასშტაბიანი პრივილეგიები იყო, კერძოდ, სრული იურიდიული დამოუკიდებლობა („ავტოდესპოტონი“) და საგადასახადო იმუნიტეტები („ექსკუსეია“). ამ შეღავათების გამოყენებით, სამონასტრო ინ-

სტიტუციებმა უზარმაზარი უძრავი ქონება დააგროვეს და სახელმწიფოს პარალელური ეკონომიკური სისტემა შექმნეს. თუმცა სამონასტრო მიწების დაგროვება ძირითადად თავისუფალი გლეხობის ხარჯზე ხდებოდა, რამაც მძიმე სოციალური და ფისკალური შედეგები მოიტანა. ვინაიდან ბიზანტიური საგადასახადო სისტემა ერთობლივი პასუხისმგებლობის პრინციპს („ალელენგიონს“) ეფუძნებოდა, მონასტრების გადასახადებისგან თავისუფალი („იდიოსტატა“) მიწების მუდმივი ზრდა რიგითი მოსახლეობის ტვირთს მკვეთრად ამძიმებდა და მწვავე სოციალურ კონფლიქტებს იწვევდა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა „ხარისტიკიის“ ინსტიტუტი, მონასტრების საერო პირებზე მმართველობაში გადაცემის პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ინვესტიციების მოსაზიდად შეიქმნა, პრაქტიკაში მან სავანეების აგრესიული ექსპლუატაცია და მათი სულიერი მისიის დეგრადაცია გამოიწვია.

XI საუკუნის მიწურულს სამონასტრო კაპიტალიზმმა იმ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, როდესაც რესურსების უდიდესი ნაწილი ეკლესიის ხელში აღმოჩნდა და მან პირდაპირი კონკურენცია ბიზანტიის სახელმწიფო აპარატს დაუწყო. საბოლოო ჯამში, ბიზანტიური ეკლესიის ეკონომიკური ისტორია წარმოადგენს სულიერ ავტონომიასა და მატერიალურ ძალაუფლებას შორის არსებულ მუდმივ დაპირისპირებასა და უწყვეტი ბალანსირების რთულ პროცესს.

ღიზი სხულუხია
ნათია გუღუა

ეთნოპოლიტიკური დაპირისპირება საბჭოთა მემკვიდრეობის კონტექსტში: აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტები საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული დაპირისპირებები ხშირად განიხილება როგორც 1990-იანი წლების პოლიტიკური კრიზისის უშუალო შედეგი, თუმცა მათი წარმოშობა გაცილებით ღრმა ისტორიულ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ პროცესებს უკავშირდება. კონფლიქტების ჩამოყალიბება განპირობებული იყო არა მხოლოდ ეთნიკური ფაქტორებით, არამედ იმ სისტემური მემკვიდრეობით, რომელიც საბჭოთა კავშირმა დატოვა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ფორმალურად ეფუძნებოდა ერების თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს, თუმცა რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში იგი მკაცრი ცენტრალიზებისა და ეთნიკური იდენტობების ინსტრუმენტალიზების მექანიზმად ფუნქციონირებდა. ავტონომიური ერთეულების შექმნამ და მათი სტატუსის ცვლილებამ საქართველოში ჩამოაყალიბა წინააღმდეგობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემა, რომელმაც ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მობილიზაცია და ურთიერთდაპირისპირება წაახალისა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, როდესაც ცენტრალური კონტროლის შესუსტებამ დაგროვილი დაძაბულობები ღია კონფლიქტად გარდაქმნა.

წინამდებარე კვლევის მიზანია აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების ისტორიული წინაპირობების ანალიზი საბჭოთა მემკვიდრეობის კონტექსტში. ნაშრომი ეფუძნება ისტორიული წყაროების, აკადემიური ლიტერატურისა და მკვლევართა შეფასებების შინაარსობრივ ანალიზს. კვლევის ფარგლებში ნაჩვენებია, რომ აღნიშნული კონფლიქტები არ წარმოადგენდა შემთხვევით ან მოკლევადიან პოლიტიკურ მოვლენას, არამედ იყო ხანგრძლივი ისტორიული პროცესების ლოგიკური შედეგი, რომელიც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის სტრუქტურულ სისუსტეებსა და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გამოწვევებს უკავშირდება. კვლევა მიზნად ისახავს კონფლიქტების უფრო სიღრმისეულ გააზრებას და მათი ისტორიული მიზეზების ანალიზს, რაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური კვლევისთვის, ისე თანამედროვე პოლიტიკური რეალობის უკეთ გასაგებად.

ხატია ტაბატაძე

ფრანგული სიმბოლიზმი და მისი რეცეფცია ქართულ სიმბოლისტურ ტექსტებში

ფრანგული სიმბოლიზმის ისტორია, რომელიც XIX საუკუნეში დაიწყო, მოიცავდა არაერთი ცნობილი ფრანგი მწერლის შემოქმედებას, თუმცა მეცნიერებისთვის და ლიტერატურული კრიტიკისთვისაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორი ზეგავლენა მოახდინა ფრანგულმა სიმბოლიზმმა სხვა ქვეყნების ლიტერატურაზე.

სიმბოლისტური მოძრაობა ფრანგულ ლიტერატურაში, რომელიც სრულყოფილად გამოხატავს სიმბოლისტურ არსს, შარლ ბოდლერის შემოქმედებით დაიწყო და ამის შემდეგ თანდათან მოიცვა სხვადასხვა ქვეყანა და მათი ლიტერატურული შემოქმედება, მათ შორის ქართული.

სიმბოლიზმმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ლიტერატურაში. ქართული სიმბოლიზმი კი მაქსიმალურად შეეცადა, გამოეხატა იმდროინდელი ისტორიული, სოციალური და კულტურული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბდა ინდივიდუალური სახით, ლიტერატურული კრიტიკა მაინც ეძიებდა ფრანგული სიმბოლიზმის კვალს ქართულ სიმბოლისტურ ტექსტებში.

მოხსენების მიზანია, ნათლად და გასაგებად წარმოვადგინოთ ფრანგული სიმბოლიზმის არსი და მისი ზეგავლენა ქართულ ლიტერატურაზე, უფრო კონკრეტულად კი, როგორია ფრანგული სიმბოლიზმის რეცეფცია ქართულ სიმბოლისტურ ტექსტებში.

მარიამ ტუაევი
გიორგი ბიჭიკაშვილი

ძალაუფლება, კონტროლი და იდენტობა მარგარეტ ეტვუდის „მხევლის წიგნში“

მოხსენებაში განვიხილავთ კანადელი მწერლის, მარგარეტ ეტვუდის მნიშვნელოვან დისტოპიურ რომანს „მხევლის წიგნი“, რომელიც 1985 წელს გამოიცა და დღემდე რჩება ტოტალიტარიზმის, გენდერული პოლიტიკისა და ადამინის უფლებათა სასტიკი დარღვევის კვლევად. სიუჟეტის მოქმედება გადატანილია უახლოეს მომავალში, გალაადის რესპუბლიკაში, ყოფილი ამერიკის შეერთებული შტატების ნანგრევებზე დამყარებულ მკაცრ თეოკრატიულ რეჟიმში. ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარ გაფრთხილებას დაუგეგმავი რელიგიური ექსტრემიზმისა და ინდივიდუალური ავტონომიის სისტემური განადგურების საფრთხეების შესახებ. რომანის მთხრობელი და მთავარი გმირია ფრედისა, რომლის ერთადერთი დანიშნულება მმართველი კლასის რეპროდუცქიული მომსახურებაა. „მხევლის წიგნის“ სრულყოფილი მიმოხილვა ავლენს საზოგადოებრივი კონტროლის მრავალშრიან კრიტიკას, რომელიც ფოკუსირებულია იდენტობის, თავისუფალი არჩევანის და წინააღმდეგობის თემებზე სასტიკად კონტროლირებად გარემოში.

სამყარო, რომელსაც ეტვუდი აღწერს, განადგურებულია მასშტაბური ეკოლოგიური კატასტროფებითა და უნაყოფობით, რასაც გალაადის ლიდერები აბსოლუტური კონტროლის ხელში ჩასაგდებად იყენებენ. სამყარო, რომელიც მათ ააშენეს, სტრუქტურირებულია ძველი აღთქმის კანონების მკაცრი, პირდაპირი ინტერპრეტაციით. ქალებს წართმეული აქვთ ადამიანური უფლებები და თავისუფალი არჩევანი. მათი პირადი ცხოვრება და სხე-

ული კონტროლირებულია საზოგადოების მიერ, რომელმაც ქალების ერთადერთ ფუნქციად რეპროდუცქცია მიიჩნია. რომანში ყველა კლასის ადამიანს თავისი ფუნქცია და მოვალეობა აქვს. მხევლებს აცვიათ გრძელი წითელი კაბები, ახურავთ თეთრი თავსაბურავი, ისინი არიან ნაყოფიერი ქალები, რომელთა ფუნქციაა მაღალი კლასის უშვილო წყვილისთვის მემკვიდრის გაჩენა. მთავარი პერსონაჟი ფრედისა სწორედ ასეთი მხევალია, რომელიც მდიდარ ოჯახში ცხოვრობს და გალაადის საიდუმლო პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ბაჩანა უგჰეხეღიძე
ნინო თედიაშვიღი

განმანათლებლობის პრინციპების ტრანსფორმაცია ბრიტანულ რომანტიკულ პოეზიაში

განმანათლებლობის ეპოქის რაციონალისტურმა პარადიგმამ კომპლექსური ტრანსფორმაცია განიცადა ბრიტანულ რომანტიკულ პოეზიაში, სადაც გონებაზე დაფუძნებული ობიექტურობა სუბიექტური შემოქმედებითი წარმოსახვისა და ემოციური ექსპრესიის პრიზმაში გარდაიქმნა. XVIII საუკუნის ემპირიზმმა და ნიუტონისეულმა სამყაროს მექანიკურმა აღქმამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ინდივიდუალიზმის განვითარებას, თუმცა ბრიტანულმა რომანტიზმმა ეს პროცესი რადიკალურად გადააფასა და, გარესამყაროს პასიური შემეცნების ნაცვლად, აქცენტი ადამიანის შინაგან, ირაციონალურ სულიერ გამოცდილებაზე გადაიტანა. ბრიტანელი რომანტიკოსები, განსაკუთრებით უილიამ ვორდსვორთი, სემიუელ ტეილორ კოლრიჯი და მოგვიანებით პერსი ბიში შელი, პირდაპირ არ უარყოფდნენ განმანათლებლობის მიერ დეკლარირებულ თავისუფლებისა და პროგრესის იდეალებს, არამედ მათ ონტოლოგიურ და ესთეტიკურ სიღრმეებს სძენდნენ, სადაც ბუნება აღარ აღიქმებოდა როგორც მკაცრ კანონზომიერებებს დაქვემდებარებული ცივი მექანიზმი, არამედ როგორც ცოცხალი, დინამიკური და სულიერი სუბსტანცია. „გონიერების დიქტატურა“ შემოქმედებითი წარმოსახვის კულტმა ჩაანაცვლა, რომელიც რომანტიკოსებისთვის სამყაროს წვდომის უმაღლეს, ინტუიციურ ფორმას წარმოადგენდა და სოციალური კონტრაქტის იდეა პიროვნული ავთენტურობის ძიებად გარდაიქმნა. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ რომანტიზმი არ წარმოადგენდა მხოლოდ განმანათლებლობის რადიკალურ უარყოფას, არამედ ეს იყო მისი თავისებური „შინაგანი რევიზია“ და გაღრმავება, სადაც ინდუსტრიული პროგრესისადმი სკეპტიციზმმა და

სუბლიმურობის (ამაღლებულის) ესთეტიკამ წინა პლანზე წამოსწია ადამიანის ეგზისტენციალური მარტოობა და ბუნებასთან ერთიანობის წყურვილი. ბრიტანულ პოეზიაში მომხდარი ეს სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოადგენს გადამწყვეტ ხიდს კლასიკურ რაციონალიზმსა და თანამედროვე მოდერნისტულ ცნობიერებას შორის, სადაც პოეტური ენა ხდება ერთადერთი ინსტრუმენტი ლოგიკის მიღმა არსებული მეტაფიზიკური ჭეშმარიტებების გამოსავლენად, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს რომანტიზმს, როგორც განმანათლებლობის ევოლუციურ, დიალექტიკურ გაგრძელებას და არა უბრალოდ მის ანტაგონისტურ მოვლენას.

ნიკა უცუნაშვიღი

საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა აფრიკაში: „ალჟირის ექსპედიცია“

მოხსენება ეძღვნება საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის ანალიზს აფრიკაში ალჟირის ექსპედიციის მაგალითზე, XIX საუკუნის 30–40-იანი წლების კონტექსტში. კვლევის მიზანია აჩვენოს, რომ ალჟირის დაპყრობა არ წარმოადგენდა მხოლოდ ერთჯერად სამხედრო აქციას, არამედ იყო საფრანგეთის შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური განვითარების ლოგიკური გაგრძელება. ნაშრომში გაანალიზებულია საფრანგეთის შიდა პოლიტიკური ვითარება ნაპოლეონის ომების შემდეგ, ეკონომიკური ინტერესები და კოლონიური აზროვნების ჩამოყალიბება, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოეთ აფრიკისადმი ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ალჟირის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში, როგორც გეოპოლიტიკური, სამხედრო და სიმბოლური სივრცის. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ალჟირი საფრანგეთისთვის იქცა მნიშვნელოვან პლაცდარმად ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსის შესაცვლელად და შემდგომი კოლონიური გაფართოების უზრუნველსაყოფად.

ცალკე გაანალიზებულია 1830 წლის ალჟირის ექსპედიციის მიმდინარეობა, სამხედრო მოქმედებების ხასიათი და მათი პოლიტიკური შედეგები. კვლევა ასახავს, რომ კოლონიური ძალადობა და სამხედრო ადმინისტრაცია იქცა კოლონიური მმართველობის დამკვიდრების ძირითად მექანიზმად. ნაშრომში ასევე განხილულია კოლონიური მმართველობის ფორმირება 1830–1840-იან წლებში, მიწის პოლიტიკა, ადმინისტრაციული პრაქტიკა და სოციალური უთანასწორობის ჩამოყალიბება, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ალჟირის საზოგადოებრივი სტრუქტურა.

დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია, რომ საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა ალჟირში ხასიათდებოდა სისტემურობით და გრძელვადიანი შედეგები იქონია როგორც კოლონიზებულ საზოგადოებაზე, ისე საფრანგეთისა და ალჟირის შემდგომ ურთიერთობებზე. ნაშრომი ავლენს კოლონიალიზმის ისტორიული გააზრების მნიშვნელობას და ქმნის საფუძველს საკითხის შემდგომი კვლევისთვის.

ღუკა ქავთარაძე

სატრფიალო თემატიკა პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლირიკაში

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის შემოქმედებით ასპარეზზე გამოდის 13 წლის ასაკში, 30-იანი წლებიდან; მას ფსევდონიმად „თამარაშვილი“ აქვს აღებული. ბაგრატიონის შემოქმედება მოიცავს როგორც ლირიკულ პოეზიას, ისე დრამატურგიასა და პროზაულ ჩანაწერებს. ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო იყო პოეტის შემოქმედების ლირიკული ნაწილი. პეტრე ბაგრატიონის პოეზია ძალზედ მრავალფეროვანია, გამოირჩევა დიდი სათქმელითა და შინაარსით. მის ლექსებში ვხვდებით მრავალფეროვან, ფილოსოფიურ, საკაცობრიო და საყოფაცხოვრებო თემატიკას, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც მისი შემოქმედების სატრფიალო ნაწილს ეხება.

მისი პოეზია, საწყისი ეტაპიდან შუა პერიოდამდე, გამოირჩევა სატრფიალო თემატიკით, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის პოეზია მის გარეშე წარმოუდგენელია. მისი ლექსების ნაწილი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ქალაქური მოტივები“ და მივიჩნიოთ ერთ-ერთ ციკლად, სწორედ იმ ქალაქურ-თბილისური პოეზიის შინაარსობრივ და იდეურ მხარეს ამჟღავნებს, რაზედაც წერდნენ ცნობილი პოეტები - გრიგოლ ორბერლიანი, საიათნოვა, იეთიმ გურჯი, იოსებ გრიშაშვილი და სხვანი, თუმცა პეტრე ბაგრატიონის შემოქმედებაში ეს ასპექტი სრულიად განსხვავებული, თვითმყოფადი და იმ პერიოდისთვის საკმაოდ აქტუალურია.

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის შემოქმედების უდიდესი ნაწილი ამღერებულია ცნობილი კომპოზიტორების მიერ. ამ სიმღერათა უმეტეს ნაწილში კი სატრფიალო თემატიკაა სიყვარულზე, სიცოცხლეზე, მშვენიერებაზე, სადაც ტრფობა წამყვანია. ჩვენს მოხსენებაში, რამდენიმე ლექსის ანალიზითა და მათზე დაყრდნობით, შევეცდებით წარმოვადგინოთ პეტრე ბაგრატიონ-

გრუზინსკის პოეზიაში სატრფიალო თემატიკის მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტები და გამოვყოთ შემოქმედების მხატვრული მხარე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ზემოთ აღნიშნულ საკითხს.

ცოტნე ქახიდავა

ლიბერალიზმი თუ კონსერვატიზმი? უილიამ გლადსტონისა და ბენჯამინ დიზრაელის პოლიტიკური ბრძოლა

XIX საუკუნის ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია უილიამ გლადსტონსა და ბენჯამინ დიზრაელს შორის არსებულ იდეოლოგიურ დაპირისპირებას.

მათი კონკურენცია ნათლად ასახავს ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებს: გლადსტონი ემხრობოდა რეფორმებსა და ინდივიდუალურ თავისუფლებებს, ხოლო დიზრაელი - ტრადიციასა და იმპერიულ პოლიტიკას.

მოხსენება მიზნად ისახავს აჩვენოს ზემოთ ხსენებული პიროვნებების რეფორმების, პოლიტიკური სტრატეგიებისა და მმართველობითი ხედვების ძირითადი განსხვავებები; ასევე დაადგინოს, როგორ იმოქმედა ამ კონკურენციამ პარტიული სისტემის განვითარებაზე.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით და ანალიზურ მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა, შევადაროთ მათი პოლიტიკური ხედვები, რეფორმები და იდეოლოგიური საფუძვლები. ასევე ნაშრომში გამოყენებულია კონტექსტუალური მიდგომა, რათა მათი მოღვაწეობა განვიხილოთ XIX საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე. თემა მნიშვნელოვანია, რადგან ამ დაპირისპირებამ განსაზღვრა თანამედროვე ბრიტანული პარტიული სისტემის ფორმირება.

ანა ქახეღიშვიღი

ჩინელი ქალის სოციალური როლის ევოლუცია: კონფუციანური ტრადიციებიდან თანამედროვეობამდე

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ჩინეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ძალის, სოციალური სტრუქტურის შესწავლა წარმოუდგენელია ქალის სტატუსის ტრანსფორმაციის გაანალიზების გა-

რეშე. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ის მკვეთრი კონტრასტი, რომელიც არსებობს ათასწლოვან პატრიარქალურ დოგმატებსა და თანამედროვე ჩინელი ქალის სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობას შორის. საკითხის კვლევა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ მოახდინა კულტურულმა მემკვიდრეობამ და პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა გავლენა გენდერული იერარქიის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომის მიზანია კომპლექსურად შეისწავლოს და წარმოაჩინოს ჩინელი ქალის სოციალური როლის ევოლუციური გზა. კვლევა ფოკუსირებულია კონფუციანური ეთიკის გავლენაზე, ფეხის შეკვრის, ე.წ. „ლოტუსის ტერფების“ (Lotus Feet) ტრადიციის სოციოკულტურულ ასპექტებზე, მე-20 საუკუნის რადიკალურ რეფორმებსა და თანამედროვე ჩინეთში ქალის თვითრეალიზაციის გამოწვევებზე. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და აღწერილობითი მეთოდები. წყაროების ანალიზის საფუძველზე ხდება სხვადასხვა ეპოქის სოციალური ნორმების შეპირისპირება. კვლევა ეყრდნობა როგორც კლასიკურ ტექსტებს (კონფუციანური კანონები), ისე თანამედროვე სოციოლოგიურ მონაცემებსა და ისტორიულ დოკუმენტებს, რაც უზრუნველყოფს საკითხის მრავალმხრივ გაანალიზებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩინელი ქალის სოციალური სტატუსის ტრანსფორმაცია არ ყოფილა მხოლოდ წრფივი პროგრესი, ის წარმოადგენს რთულ ბრძოლას მყარ კულტურულ დოგმატებსა და მოდერნიზაციის მოთხოვნებს შორის. გამოიკვეთა, რომ ტრადიციული სიმბოლოები, როგორიცაა „ლოტუსის ტერფები“, ჩანაცვლდა თანამედროვე სოციალური გამოწვევებით, თუმცა კონფუციანური ეთიკის ელემენტები კვლავაც ახდენს გავლენას ქალის თვითაღქმასა და მის როლზე ოჯახურ იერარქიაში. საბოლოოდ, კვლევა ადასტურებს, რომ ჩინელი ქალის ემანსიპაცია ქვეყნის საერთო სოციალურ-პოლიტიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია.

მარიამ ქესაური
ტარიელ კიკიტაძე

კუბის კრიზისი და მისი გამომწვევი უმთავრესი მიზეზები

კუბის/კარიბის კრიზისი (1962, ოქტომბერი), ეს იყო პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო სტრატეგიული დაპირისპირება აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც ცივი ომის პერიოდში წარმოიშვა და მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე დააყენა. კარიბის კრიზისი არის მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული და კომპლექსური მიზეზების ერთობლიო-

ბით გამოწვეული შედეგი, თითოეული მიზეზი ძალზე ყურადსაღები და მაღალი მნიშვნელობისაა, შესაბამისად, მოხსენების ფარგლებში შევეცდებით მაქსიმალურად ამომწურავად ვისაუბროთ ზემოხსენებული საკითხის უმთავრეს გამომწვევ მიზეზებზე.

მოხსენებაში საუბარი იქნება გლობალურ კონკურენციასა და დაპირისპირებაზე. ერთ მხარეს აშშ, ლიბერალური, დემოკრატიული და კაპიტალისტური ღირებულებების მატარებელი ქვეყანა, ხოლო მეორე მხარეს მთავარი კომუნისტური ძალის მქონე საბჭოთა კავშირი. ხაზს გავუსვამთ ნიკიტა ხრუშჩოვის მცდელობებს, თუ როგორ აპირებდა იგი კომუნიზმის გავლენის სფეროების გაზრდას, ხოლო როგორ ცდილობდა კენედი შეეჩერებინა კომუნიზმის გაფართოება და როგორ მიჰყვებოდა „ტრუმენის დოქტრინაში“ გამოკვეთილ მთავარ აზრს.

ასევე შევეხებით „ღორების ყურის ოპერაციას“ „invasión de bahía de Cochinos“. აშშ-ის მიერ განხორციელებულმა ამ დამამცირებელმა ფიასკომ უფრო გააღრმავა კავშირი კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის. ასევე მიმოვიხილავთ, გააჩინა თუ არა ამ კრახმა ეჭვები ამერიკის შეერთებული შტატების სიძლიერესთან დაკავშირებით.

განვიხილავთ აშშ-ის მიერ თურქეთში 15 საშუალო რადიუსის რაკეტა „იუპიტერის“ განლაგებას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და ნიკიტა ხრუშჩოვის ბალანსის აღდგენის სურვილს, მის საპასუხო ნაბიჯს, რომელიც კუბაში ბირთვული რაკეტების ფარულად შეყვანას გულისხმობს.

ყურადღებას გავამახვილებთ იმ მიზეზთა ერთობლიობაზე, რომელმაც ორი ბირთვული სახელმწიფო ერთმანეთს დაუპირისპირა და მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშე დადგა. მსგავსი პრეცედენტი აქამდე არასდროს ყოფილა.

ღუკა ყუჩუა

ჩინურ ენაში ჩენგიუს ტიპის იდიომების შესწავლის საკითხისთვის

ჩინურ ენაში ჩენგიუს （成语） ტიპის იდიომები წარმოადგენენ ენობრივი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სპეციფიკურ ფენომენს, რომლებიც გამოირჩევიან როგორც სტრუქტურული სიმჭიდროვით, ისე მდიდარი სემანტიკური დატვირთვით. ჩენგიუ, როგორც წესი, ოთხი იე-

როგლიფისგან შედგება, რომლის მნიშვნელობა ხშირად არ ემთხვევა მისი შემადგენელი ელემენტების პირდაპირ მნიშვნელობათა ჯამს. სწორედ ეს თვისება განაპირობებს მის განსაკუთრებულ როლს როგორც ენობრივ, ისე კულტურულ კონტექსტში. ჩენგიუს შესწავლა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ლინგვისტიკაში, ვინაიდან იგი აერთიანებს როგორც ლექსიკოლოგიურ, ისე გრამატიკულ და სემანტიკურ ასპექტებს.

ჩენგიუს ტიპის იდიომების შესწავლის მთავარ საფუძველს წარმოადგენს კლასიკური ტექსტები, როგორიცაა ისტორიული ქრონიკები, ფილოსოფიური ტრაქტატები და პოეტური ნაშრომები, რომელთა წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება ჩინეთის მრავალსაუკუნოვან კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციას. ჩენგიუები ხშირად კონკრეტული ისტორიული მოვლენების, ლეგენდების ან მითოლოგიური სიუჟეტების საფუძველზეა ჩამოყალიბებული, რის გამოც მათი სრულყოფილი გაგება საჭიროებს კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში ჩაღრმავებას.

ჩენგიუს შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე მათი სტრუქტურული ანალიზი. ოთხნიშნა ფორმატი არ არის შემთხვევითი – იგი წარმოადგენს გრამატიკულად და სემანტიკურად შეკრულ ერთეულს, რომელშიც თითოეული იეროგლიფი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამავე დროს, ჩენგიუების გრამატიკული ფუნქცია მრავალფეროვანია: ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ზმნური, სახელური ან ზედსართავული კონსტრუქციები, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე.

ბოლო ასპექტი უკავშირდება ჩენგიუების ქართულად თარგმნასა და მათ ეკვივალენტებს. თარგმნის პროცესში მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ჩენგიუები ხშირად შეიცავს კულტურულ-ისტორიულ ალუზიებს, რომელთაც პირდაპირი ანალოგი ქართულ ენაში არ გააჩნიათ. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გამოვიყენოთ აღწერითი თარგმანი ან მოიძებნოს ფუნქციური ეკვივალენტი, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება ორიგინალის მნიშვნელობასთან. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ქართული ფრაზეოლოგიზმების გამოყენება, თუმცა ეს ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ორიგინალის სემანტიკური და სტილისტური თავისებურებების სრულ გადმოცემას. შესაბამისად, ჩენგიუების თარგმნა მოითხოვს არა მხოლოდ ენობრივ ცოდნას, არამედ ინტერკულტურულ კომპეტენციასაც.

ანა-მარია შათირიშვილი
ანა კახნიაშვილი

მერსო - გულგრილი ადამიანი აბსურდულ სამყაროში

ალბერ კამიუს რომანი „უცხო“ წარმოადგენს აბსურდის ფილოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებას XX საუკუნის ლიტერატურაში. ნაწარმოებში მთავარი გმირი, მერსო, გვევლინება როგორც ადამიანი, რომელიც უპირისპირდება ტრადიციულ სოციალურ და მორალურ ნორმებს, რაც საბოლოოდ მის გაუცხოებას იწვევს საზოგადოებასთან. საზოგადოება არ სჯის მერსოს მხოლოდ მისი ჩადენილი ქმედებების საფუძველზე, არამედ - იმისთვის, როგორ არ შეესაბამება იგი მიღებულ სოციალურ ნორმებს.

მერსოს არატრადიციული დამოკიდებულება თავდაპირველად თავს იჩენს დედის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების მიღებისას, როდესაც მას არანაირი ემოცია არ ეუფლება. შემდეგ, ნოველის განვითარებასთან ერთად, მისი ეს ხასიათი კიდევ უფრო მკვეთრად ვლინდება: დედის დაკრძალვისას იგი მზეს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე საკუთარ გრძნობებს. საბოლოოდ კი ეს გულგრილობა კულმინაციას აღწევს არაბის მკვლელობის სცენაში, სადაც მისი ქმედება უფრო ფიზიკური გარემოს გავლენით არის განპირობებული, ვიდრე შინაგანი ემოციებით. სასამართლოს ეპიზოდში მერსო არ გამოხატავს სინანულს და არ იცავს თავს სოციალურად მისაღები გზებით. საზოგადოება მისგან მოითხოვს სინანულსა და „ნორმალურ“ ემოციებს, თუმცა მერსო უარს ამბობს ამ ილუზიაზე, არ ცხოვრობს ირეალურ, უტოპიურ სამყაროში, აღიარებს ცხოვრების უაზრობას და რჩება საკუთარი სუბიექტური სიმართლის ერთგული.

საზოგადოება ვერ იტანს მერსოს ქცევებს, მის გულგრილობას დედის გარდაცვალების მიმართ, ემოციურ გამორთულობასა და ცხოვრების მიმართ გულწრფელ, დაუფარავ დამოკიდებულებას. მერსოს გულწრფელობა, რომელიც სხვაგან შეიძლება მის ღირებულებად ჩაითვალოს, აქ მის წინააღმდეგ იქცევა. მერსოს გულწრფელობა „მისი დანაშაულია“. სწორედ გულწრფელობა აქცევს მას უცხოდ.

მაშასადამე, წინამდებარე მოხსენების განსახილველი საკითხი და ჩვენი კვლევის მიზანია ალბერ კამიუს „უცხოს“ მთავარი პერსონაჟის, მერსოს განვითარების ეტაპები და ის, თუ როგორაა განხორციელებული მის სახეში ავტორისეული ფილოსოფიური შეხედულებები.

საბა შოთაძე

პურიტანული მენტალიტეტის გავლენა ამერიკის პოლიტიკურ კულტურაზე

პურიტანობა ინგლისში ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. იგი სათავეს იღებდა შვეიცარიული კალვინიზმიდან, რომელიც პროტესტანტობის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენდა. მათი შეხედულება მიმართული იყო როგორც აბსოლუტიზმის, ისე ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ და თავის თავში რესპუბლიკური ფორმისკენ იხრებოდნენ.

მოხსენებაში მსურს გავაანალიზო ის მიზეზები, რამაც გამოიწვია პურიტანების მიგრაცია ამერიკაში და როგორ იმოქმედა მათმა მენტალიტეტმა ამ ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაზე.

პურიტანთა მიგრაციამ ჩრდილოეთ ამერიკაში შექმნა საზოგადოება, რომელიც ეფუძნებოდა შრომისმოყვარეობას, დისციპლინას, ასკეტიზმსა და ღვთიურ მოწოდებად აღქმულ სოციალურ წესრიგს. „მეიფლაუერის კომპაქტმა“ დაადასტურა ხელისუფლების ლეგიტიმაციის ახალი პრინციპი — მართულთა თანხმობა. ამან საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკურ ტრადიციას და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ადრეულ ფორმებს.

ამავე დროს პურიტანებმა განავითარეს სამართლებრივი წესრიგი, განათლების სავალდებულო სისტემა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯვნა, რაც ამერიკული პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტურ მახასიათებლებად იქცა. თუმცა პურიტანული საზოგადოება ინარჩუნებდა პატრიარქალურ წყობილებას და რელიგიურ შეურიგებლობას.

პურიტანებმა ხელი შეუწყვეს განათლებას. ,,მასაჩუსეტსის კანონი“ მოითხოვდა, რომ შინამეურნეობების ხელმძღვანელებს ესწავლებინათ შვილებისა და მოსამსახურეებისთვის წერა-კითხვა, რათა მოქალაქეებს შეძლებოდათ როგორც კოლონიის კანონების, ისე ბიბლიის წაკითხვა და გაგება.

მათ ასევე უარყვეს მოსაზრება, რომ ქორწინება საიდუმლო იყო და სამოქალაქო კავშირად აქციეს. პურიტანულმა იდეამ სულიერი თანასწორობის შესახებ, ირიბად ეჭვქვეშ დააყენა ტრადიციული ინგლისური საზოგადოების მკაცრი იერარქია. ახალი ინგლისის ეკონომიკურმა სტრუქტურამ, რომელიც პურიტანული ღირებულებებიდან (შრომისმოყვარეობა, ეკონომიურობა) გამომდინარეობდა, განაპირობა ქონების შედარებით ეგალიტარული განაწილება თეთრკანიან მამაკაცებს შორის სხვა კოლონიებთან შედარებით, რითაც განამტკიცეს დემოკრატიული საფუძველი.

ამრიგად, პურიტანული მენტალიტეტი იქცა იმ იდეურ საძირკვლად, რომელმაც ამერიკაში რესპუბლიკურ წყობილებას ჩაუყარა საფუძველი, ასევე

დაამკვიდრა სოციალური დისციპლინა და პოლიტიკური თვითმმართველობა. ამ ყველაფერმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამერიკის პოლიტიკური კულტურის ისტორიულ განვითარებაზე.

ქეთი შოშიაშვიღი

ერეკლე II- ის მიერ გატარებული ღონისძიებები დაღესტნელთა თავდასხმების წინააღმდეგ

„ლეკიანობა“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენად არის შეფასებული. ეს რთული და, ამავე დროს, ხანგრძლივი პროცესი საქართველოში საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა და მისი თანამედროვე თუ მომდევნო პერიოდის მკვლევარ-მოგზაურთაგან (როგორც ქართველი, ისე საქართველოში მყოფი უცხოელი) არ დარჩენილა ისეთი, ვინც ამ საკითხს მეტ-ნაკლებად მაინც არ შეხებია. „ლეკების“ თავდასხმების მთავარ მიზანს ტყვეების გატაცება წარმოადგენდა. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს მთიელი დაღესტნელები ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზარზე ასაღებდნენ. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის 30-იან წლებში სტამბოლში მყოფი კათალიკოსი დომენტი, რომელსაც იქ 50 ქართველი ტყვე უნახავს. ეს უკანასკნელნი ალჟირნში, ეგვიპტესა და არაბეთში გაუყიდიათ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლეკები ტყვეებს სპასეთის ბაზარზეც ყიდდნენ, თუმცა მათთვის მთავარ პარტნიორად და გამსაღებლად ამ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერია გვევლინება.

ლეკიანობის შესახებ ძალზედ მდიდარი დოკუმენტური და ნარატიული მასალებია თავმოყრილი საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „აქტებში“, თუმცა, როდესაც ლეკიანობის საკითხს ვეხებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის I მესამედში საქართველოში მყოფ რუს და ევროპელ მოგზაურთა და ოფიციალურ პირთა: იოჰან გიულდენშტედტის, ედუარდ აიხვალდის, იაკობ რაინეგსის, ბურნაშოვის, იაზიკოვის ცნობებს და ჩანაწერებს. იოჰან გიულდენშტედტი თავის ცნობაში ამბობს, რომ „სწორედ ლეკები იყვნენ, რომელთა გამოც საქართველოში მოგზაურობისას მე ასეთი ძლიერი დაცვა მჭირდებოდაო“.

ბუნებრივია, ამ მოვლენათა ფონზე ქართველი ხალხი ლეკიანობის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა, ამიტომ მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ქართველ მეფეთა (ვახტანგVI, თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII) მიერ

თავდაცვის სფეროში გატარებულ ღონისძიებათაგან უმრავლესობა სწორედ ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩვენი საუბრის მთავარი საკვანძო საკითხი კი სწორედ ერეკლე II-ის მიერ გატარებული ყველა ის თავდაცვითი ღონისძიებაა, რომელიც დაღესტნელთა თავდასხმების ალაგმისთვის იყო გამიზნული. იგი „ლეკიანობას“ უფრო ფართო ფრონტით დაუპირისპირდა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, დაღესტნელ მთიელთა თავდასხმების აღსაკვეთად ერეკლე მეფე კომპლექსური გეგმით მოქმედებდა და სამხედრო აქტივობის პარალელურად, აქტიურად იყენებდა ეკონომიკურ ბერკეტებსაც. ნიკო ბერძენიშვილის ცნობებიდან ირკვევა, რომ 1770-იანი წლების პერიოდში „საჩუქრებითა და ჯამაგირით“ მეფე ცდილობდა დაღესტნელი ბელადების გაერთგულებას და ლეკთა რაზმების დაქირავებას, ამის პარალელურად კი „მორიგე ჯარის“ შექმნის შედეგად ლეკთა თავდასხმების მეტ-ნაკლებად მოგერიება შეძლო.

ჩვენ მოხსენებაში უფრო ფართოდ შევეხებით მეფის მიერ ლეკებისათვის ჯამაგირის დანიშვნის საკითხს; მორიგე ჯარისა და ზემო ქართლის მდევრობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და სამხედრო-ეკომონიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ქართლ-კახეთის ფინანსური სიმტკიცისთვის იყო მიზანშეწონილი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ჩამოთვლილ საკითხებზე საუბრის დროს მოხსენებაში გამოვიყენებთ შემდეგ წყაროებს: დავით მეგრელიძის „ლეკიანობა“, იოსებ ალიმბარაშვილის სადოქტორო ნაშრომი „ლეკიანობა და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა XVIII და XIXს. 30-იანი წლები“; ასევე ასოცირებული პროფესორის, აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომს „ერეკლე მეორის მიერ გატარებული ღონისძიებები „ლეკიანობის“ აღსაკვეთად და მისი შედეგები (1735-1783წწ)“.

ნინი ჩახგეიშვიღი

ბოსტონის ჩაის სმა - ბრიტანეთის იმპერიული კრიზისის ესკალაცია

ბოსტონის ჩაის სმა, რომელიც 1773 წლის 16 დეკემბერს მოხდა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ჩრდილოეთ ამერიკის ბრიტანულ კოლონიებში, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. ეს აქტი იყო კოლონისტების პროტესტი ბრიტანეთის ეკონომიკური და საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ მოვლენამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ბრიტანეთის იმპერიული პოლიტიკა. მან არა მხოლოდ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ბრიტანეთს, არამედ მისი სიმბოლური ავტორიტეტიც შეარყია. ეს არ იყო უბრალო პროტესტი, ეს იყო ბრიტანულობის უარყოფა.

ბოსტონის ჩაის სმა არ უნდა შევაფასოთ მხოლოდ როგორც ამერიკული ამბოხი, ეს უნდა შეფასდეს, როგორც მსვლელობა და სიგნალი, რომლის მიხედვითაც, კოლონიური მმართველობა, რომელიც არ ითვალისწინებდა პოლიტიკური თანასწორობის პრინციპებს, ვეღარ შეინარჩუნებდა კონტროლს. ეს იყო დრომოჭმული მიდგომა, რომელიც უნდა მოეშორებინა ინგლისს, თუ სურდა პროგრესი და ცვლილებებზე ფეხის აწყობა.

ბოსტონის ჩაის სმამ ბრიტანეთს ერთგვარი გაკვეთილის როლი შეუსრულა. იმპერიული ძალა მარტო ძალაზე არ უნდა დაფუძნდეს. არის რაღაც საკითხები, რაც თანხმობასა და კანონიერებას უნდა დაეფუძნოს. დაპირისპირება მარტო გადასახადებს არ გამოუწვევია. ინგლისელები იმდენად მკაცრად და დამოუკიდებლად იღებდნენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომ სხვას არც აცნობდნენ. ამ შემთხვევაში მათ კოლონიებს არ მისცეს უფლება ყოფილიყვნენ თანამონაწილეები გადაწყვეტილების მიღებაში.

ამგვარად, ერთი შეხედვით უბრალო პროტესტი საგადასახადო ისტორიული პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოჩნდა ღრმა ისტორიული მომენტი, რომელმაც გააშიშვლა ბრიტანული იმპერიის მართვის სისტემური სუსტი მხარეები, რაც, საბოლოოდ, ახალი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

მარიამ ჩიქოვანი

ნუგზარ შატაიძის ნოველის „თეთრი ფრინველი“ გააზრებისათვის

ნუგზარ შატაიძის ნოველაში „თეთრი ფრინველი“ პერსონაჟის ხასიათის, მისი ქცევის მოტივის განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია შემოქმედების სასიცოცხლო მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

შემოქმედების უნარი ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა, იგი საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შინაგან პოტენციალს და ფიზიკური და სულიერი სამყაროს ჰარმონიულ სინთეზს. იგი ხელს უწყობს თავისუფალი მსოფლხედვისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, რასაც წამყვანი როლი აკისრია პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

ნუგზარ შატაიძე საუბრობს შემოქმედების მნიშვნელობაზე, როგორც სულიერი ტკივილის დაყუჩების საშუალებაზე. მარტოხელა ინტელიგენტი სულიერი ქაოსის ჩასახშობად კალამს იყენებს. ფურცელზე დატანილი თი-

თოეული სიტყვა სათუთია მისთვის და ეწინააღმდეგება იმ ქაოტურ გარემოს, რომელშიც ცხოვრობს. თოვლი, როგორც სიმბოლო სიწმინდისა და სისპეტაკის, გვიხატავს შუახნის მამაკაცის სულიერ სამყაროს, ნოსტალგიას, რომელიც, სავარაუდოდ, დაკარგულ ოჯახურ იდილიას უკავშირდება.

ავტორი ლაკონიურად, ორიგინალური სტილით გადმოგვცემს დიდი სულიერი ტკივილის წინაშე მარტოდ დარჩენილი ადამიანის ცხოვრებისეულ სევდას და სასოწარკვეთას, რომელსაც ის წერით იქარვებს. იგი მსგავსებას ხედავს ჭალის თავზე მფრინავ თეთრ ფრინველთან, რომელიც სიმბოლოა თავისუფლებისა და ბრძოლისუნარიანობისა; მიუხედავად უილაჯობისა და დაღლილობისა, იგი მაინც აგრძელებს ფრენას.

ნოველაში ასახულია მონატრების ტკივილი, ნოსტალგია იდილიური ცხოვრებისა, რომელიც უკან აღარ დაბრუნდება. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შემოქმედება იქცეს ერთადერთ საშუალებად ადამიანად ყოფნისა და მარტოობის სევდასთან გასამკლავებლად.

ანანო ჩიხღაძე
ქეთევან კახიშვიღი

ვაზის კულტურა, როგორც ქართული ცივილიზაციის ავტოქტონური საწყისი ივანე ჯავახიშვილის შრომებში

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ნაშრომებში ქართული ვაზის კულტურა მხოლოდ აგრარულ დარგად არ არის განხილული, იგი მიჩნეულია ქართული ცივილიზაციის ავტოქტონურობის დასტურად. მეცნიერის ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ მევენახეობა საქართველოში ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული და განვითარებული ფენომენია, რაც პირდაპირ კავშირშია ქართველი ტომების მკვიდრ ბუნებასთან.

ჯავახიშვილი ქართული ვაზის ავტოქტონურობის დასასაბუთებლად რამდენიმე მნიშვნელოვან არგუმენტს განიხილავს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინგვისტური ანალიზი. მის ნაშრომებში შეხვდებით ვაზის, ღვინისა და მარნის იარაღებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დეტალურ განხილვას. მეცნიერის აზრით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „ვენახი“, „მტევანი“, „საწნახელი“ და „ქვევრი“, უძველესი ქართველური ძირისაა და არ მოეპოვებათ ნასესხობის კვალი. ჯავახიშვილის ხედვით, ენობრივი ანუ ლინგვისტური მასალა, ის უტყუარი ისტორიული წყაროა, რომელიც ადასტურებს, რომ ქართველები უხსოვარი დროიდან ფლობდნენ ვაზის მოვლის რთულ ტექნოლოგიას.

მატერიალური კულტურის ძეგლები მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც მეტყველებს ვაზზე, როგორც ქართული ცივილიზაციის ავტოქტონურობის საწყისზე. ამ თვალსაზრისით, ჯავახიშვილი აღწერს მევენახეობის სპეციფიკურ იარაღებს (სასხლავი, ხელჩანგალი, თოხი). იარაღთა მრავალფეროვნება და დახვეწილი დიზაინი მიუთითებს ხანგრძლივ ევოლუციურ პროცესზე. ჯავახიშვილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ველურ ვაზს, კრიკინას, განიხილავს კულტურული ვაზის წინაპრად. მკვლევრის აზრით, საქართველოში 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშის არსებობა მხოლოდ სტაციონარული, მიწათმოქმედი ცივილიზაციის პირობებში იყო შესაძლებელი.

თამარ ჩიხლაძე
ჯუდი გაბრიელიანი

ფიზიკური ტრანსფორმაცია და ფსიქოლოგიური დეგრადაცია: იდენტობის კრიზისი ფრანც კაფკას „მეტამორფოზაში“

ფრანც კაფკა დღემდე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მის ერთ-ერთ ცნობილ ნაწარმოებში, „მეტამორფოზაში“, განიხილება იდენტობის პრობლემა, როგორც რთული პროცესი. გრეგორ ზამზა მჭიდროდ უკავშირდება დეგრადაციას ანუ პიროვნული „მე“-ს თანდათანობით დაშლას. მისი გარდასახვა მწერად არ ითვლება მხოლოდ ფანტასტიკურ მოვლენად, რადგან იგი ფუნქციონირებს როგორც ალეგორია. შესაბამისად, პიროვნული იდენტობა დამოკიდებულია როგორც შინაგან ცნობიერებაზე, ისე სხეულსა და სოციალურ გარემოზე.

პრობლემის განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა კუთხით. მაგალითად, დუალისტური მიდგომით, რომელიც უკავშირდება ჯონ ლოკსა და რენე დეკარტს. ისინი ამტკიცებენ, რომ იდენტობა განისაზღვრება როგორც ცნობიერებით, ისე მეხსიერებით, ამიტომაც გრეგორი კვლავ ინარჩუნებს საკუთარ თავს სიუჟეტის დასაწყისში. თუმცა სხეულის ცვლილება გავლენას ახდენს მის ქცევაზე, რაც ავლენს მატერიალისტურ ხედვას. შესაბამისად, ფიზიკური ტრანსფორმაცია იწვევს ფსიქოლოგიურ ცვლილებებს. ამასთანავე, სოციალური კონსტრუქციონიზმის მიხედვით, ოჯახის მხრიდან გაუცხოება და კომუნიკაციის დაკარგვა იდენტობის საბოლოო რღვევას განაპირობებს.

ეს იდეები თანხვედრაშია ფსიქოლოგიურ კვლევებთანაც. ფილიპ ზიმბარდოს, სტენლი მილგრემისა და სოლომონ აშის ექსპერიმენტები ცხად-

ყოფს, რომ ადამიანის ქცევასა და თვითაღქმაზე სოციალური ზეწოლა და გარემო ძლიერ გავლენას ახდენს.

საბოლოოდ, „მეტამორფოზაში“ წარმოდგენილია პროცესი, სადაც ზამზას ფიზიკური გარდასახვა და ოჯახის მხრიდან უარყოფა იწვევს იდენტობის დასუსტებას, რაც ფსიქოლოგიური კვლევებითაც მტკიცდება. ამგვარად, იდენტობა არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიარებულია საკუთარი და საზოგადოების მხრიდან.

მახიამ ჩიხღაძე
მახიამ მოდებაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) საგანმანათლებლო პოლიტიკა: მიზნები, გამოწვევები და შედეგები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921) იყო ერთ-ერთი პირველი ევროპული სახელმწიფო, სადაც სოციალ-დემოკრატიულმა ძალამ ქვეყნის განვითარების საფუძვლად თანასწორობაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა განსაზღვრა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ შექმნილ სახელმწიფოს მძიმე სოციალური და საგანმანათლებლო მემკვიდრეობა დახვდა, რის გამოც განათლების რეფორმა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცა. აღსანიშნავია, რომ რეფორმის განხორციელებას თან ახლდა სერიოზული გამოწვევები. სრულად ვერ განხორციელდა უფასო განათლების პრინციპი, ხოლო სწავლების ხარისხი რეგიონებს შორის არათანაბარი იყო. განსაკუთრებულ პრობლემად რჩებოდა ზრდასრულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მაღალი დონე და არაფორმალური განათლების სისტემის სუსტი განვითარება, რაც, ძირითადად, ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმცირით იყო განპირობებული. ასევე, ქვეყნის წინაშე არსებული პოლიტიკური გამოწვევები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიდა.

მოხსენების მიზანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში განათლების რეფორმის შინაარსის, ძირითადი პრინციპებისა და განხორციელების ეფექტიანობის ანალიზი. ყურადღებას გავამახვილებთ იმ საკითხზე, თუ რამდენად მოახერხა სახელმწიფომ ხელმისაწვდომი და თანასწორი განათლების სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოქალაქეთა ინტეგრაციასა და არსებული სოციალური უთანასწორობის შემცირებას.

ნატალია ცუკიდაშვილი
ნინო ბეჩკაცაშვილი

ალბერ კამიუ და ჟან პოლ სარტრი: აბსურდიზმის ფილოსოფიის ინტერპრეტაცია გეოპოლიტიკური კონტექსტის ფონზე

XX საუკუნის შუა პერიოდი, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომი, იქცა ღრმა ღირებულებითი და ეგზისტენციალური კრიზისის წყაროდ, რომელმაც ევროპული ფილოსოფიური აზროვნება არსებითად გარდაქმნა.

აღნიშნულ ისტორიულ კონტექსტში აბსურდის პრობლემა ცენტრალურ საკითხად ყალიბდება როგორც ალბერ კამიუს, ისე ჟან-პოლ სარტრის შემოქმედებაში. თემის აქტუალობა კი განპირობებულია იმით, რომ მათი ფილოსოფიური რეფლექსიები არა მხოლოდ ინდივიდუალური არსებობის საზრისის პრობლემას ეხება, არამედ მჭიდროდ უკავშირდება გეოპოლიტიკურ რეალობას, სადაც ომის ტრავმა, ძალადობის გამოცდილება და იდეოლოგიური კონფრონტაცია განსაზღვრავდა ადამიანის ყოფით და აზროვნებით ჰორიზონტებს.

მიუხედავად საერთო ისტორიული ფონისა, კამიუსა და სარტრის მიერ აბსურდის ინტერპრეტაცია არსებითად განსხვავდება. კამიუს მიხედვით, აბსურდი წარმოიშობა ადამიანის აზრისკენ სწრაფვასა და სამყაროს არსობრივ სიჩუმეს შორის არსებული დაძაბულობიდან, რაც არ გულისხმობს მის გადალახვას, არამედ მოითხოვს ცნობიერ „ამბოხს“ ანუ არსებობის მიღებას ილუზიების გარეშე. სარტრი კი, აბსურდის აღიარების პარალელურად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის რადიკალურ თავისუფლებაზე, რომელიც საკუთარი არსის კონსტრუირებასა და ამ არჩევანზე სრულ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

ამგვარად, ორი ფილოსოფოსი, საკუთარ აბსურდისტულ დოქტრინებში, სხვადასხვაგვარად წარმოაჩენს ეგზისტენციური საზრდოს აღქმას: კამიუ სკეპტიკურად განიხილავს მნიშვნელობის კონსტრუირების შესაძლებლობას, მაშინ ,როდესაც სარტრი მას ადამიანის არსებობის ონტოლოგიურ წინაპირობად მიიჩნევს.

მოხსენების მიზანია ორი ფილოსოფიური პოზიციის შედარებითი ანალიზი და იმ გეოპოლიტიკური საფუძვლების გამოვლენა, რომელთაც ზემოაღნიშნული შეხედულებების ფორმირებამ მისცა ბიძგი. ეს გახლავთ გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაცია, ჰოლოკოსტი, ალჟირის ომი და სხვა მოვლენები, რომელთა სისასტიკის ხარისხმა ავტორების ეგზისტენციური ესენცია შეარყია და დააფიქრა შემდგომ მათი ფილოსოფიისათვის მახასი-

ათებელ ცენტრალურ თემებზე. რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, ნაშრომი ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას, სხვადასხვა სახის მეორადი წყაროსა და სტატიის დამუშავებას და ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტაციულ ანალიზს.

ამრიგად, წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთი და იგივე ისტორიული და გეოპოლიტიკური რეალობა შეიძლება იქცეს განსხვავებული ფილოსოფიური პოზიციების ფორმირების საფუძვლად. კამიუსა და სარტრის შემთხვევაში, აბსურდის ცნება არა მხოლოდ არსებობის პრობლემის ინტერპრეტაციას, არამედ ადამიანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის განსხვავებულ გააზრებას უკავშირდება, რაც ხაზს უსვამს ფილოსოფიური აზრის მრავალმხრივ ხასიათს.

ანა წიქახიშვიღი

ანა კორძაია-სამადაშვილის პროზის სტილისტური თავისებურებები კრებულში „მე, მარგარიტა“

ანა კორძაია-სამადაშვილი თანამედროვე ქართველი მწერალი და მთარგმნელია. მისი ხელწერა გამოირჩევა ქალაქური, გულწრფელი, ხშირად, ირონიული სტილით. მის ტექსტებში გადმოცემულია ქალის შინაგანი განცდები, სოციალური რეალობა და იდენტობის ძიების რთული პროცესი.

ანას შემოქმედებითი მოღვაწეობა 2000-იანი წლებიდან იწყება. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენიდან, მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროზაული კრებულია ,,მე, მარგარიტა“.

მოხსენებაში საუბარი გვექნება მწერლის პროზის სტილისტურ ანალიზსა და ავტორის სტილის ძირითად მახასიათებლებზე: ირონიული ტონი, ინტიმური და სუბიექტური ნარატივი, სადაც ქალის ხმა გამორჩეულად ისმის.

სტილისტიკის საკვანძო საკითხები: ტექსტის რიტმი, სინტაქსური სტრუქტურები და ლექსიკური არჩევანი ერთობლივად ქმნიან ,,ანასებურ“ სტილს. განსაკუთრებულად აღვნიშნავთ მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებას, რაც ტექსტს მრავალმნიშვნელოვნებას ანიჭებს, რამდენადაც ანას ენა მინიმალისტურია, თუმცა დატვირთულია ლექსიკური და სემანტიკური მრავალშრიანობით.

მოხსენებაში განვიხილავთ ანა კორძაია-სამადაშვილის პროზის მნიშვნელოვან ასპექტებს, სტილისტურ მოდელს, როგორც მკითხველთან დიალოგის გამორჩეულ ფორმას.

მაიკო წულაია
ეკენე ცაავა

ამბიცია, როგორც თვითგანადგურების საფუძველი უილიამ შექსპირის „მაკბეტსა“ და ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“

უილიამ შექსპირი „მაკბეტში“ ზედმიწევნით წარმოგვიდგენს პროცესს - გადაჭარბებული ამბიციიდან თვითდესტრუქციამდე. მაკბეტი თავდაპირველად მამაცი და ღირსეული მეომრის სახითაა წარმოჩენილი, თუმცა ტრაგედია მას შემდეგ იწყება, რაც ჯადოქართა წინასწარმეტყველებას მოისმენს. მათი სიტყვები მაკბეტში ფარულ, მაგრამ უკვე არსებულ ამბიციას აღვივებს, შედეგად კი მისი გონება სრულიად იწამლება ავი ფიქრებითა და ქმედებებით. იგი ძალაუფლების წყურვილით მკვლელობას სჩადის, თუმცა ეს არ აღმოჩნდება პოზიციის განმტკიცების გარანტი: მაკბეტი უფრო და უფრო ეშვება სიბოროტის მორევში, მისი ამბიცია ნელ-ნელა შიშად და პარანოიად იქცევა და მას შინაგან სიმშვიდეს ართმევს. მაშასადამე, შექსპირის პიესა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ იწვევს ეთიკური ნორმების უგულებელყოფა ადამიანის შინაგან ნგრევას.

ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“ ბიბლიური ნარატივის მიხედვით მოგვითხრობს სატანის შესახებ. ლუციფერი ბოროტების პირველწყაროა, მას შემდეგ, რაც თვით ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებას გადაწყვეტს. ის ამბიციის უმაღლესი განსახიერებაა, რომელიც სათავეს მისი სიამაყისგან იღებს. დაცემის შემდეგ, სატანა ცდილობს დამოუკიდებლობის დამტკიცებას და ძალაუფლების დაუცხრომელი სურვილით კაცობრიობის ცდუნების მიზეზი ხდება. მასში შინაგანი ჯოჯოხეთი მკვიდრდება, რომელსაც ვერაფრით აღწევს თავს, შესაბამისად, სატანა საკუთარი ეგოცენტრიზმის მსხვერპლი ხდება.

ზემოხსენებული პერსონაჟები სწორედ ერთსა და იმავე გზას გადიან: იწყებენ დიდების მწვერვალზე და თავიანთი არჩევანის შედეგად თითგანადგურებამდე მიდიან. მათთვის ამბიცია არათუ პროგრესისა და წინსვლის წინაპირობაა, არამედ უმოკლესი გზაა პიროვნულ ნგრევამდე. ძალაუფლების სურვილი მათ ისე ამბრმავებს, რომ ღმერთისა და კანონზომიერების წინააღმდეგ წასვლას აიძულებს, რაც, თავის მხრივ, არა მარტო შინაგან, არამედ გარეგან ქაოსსაც იწვევს.

ღიზი ჭკადუა
ნათია ჯაღიაშვილი

ილია ჭავჭავაძე და ეროვნული იდენტობის კონსტრუქცია ქართულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ და პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებრივი აზრისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, რადგან ის აერთიანებს პროზას, პუბლიცისტიკას და კრიტიკულ ხედვას. მისი ტექსტები არა მხოლოდ ასახავენ იმდროინდელ რეალობას, არამედ ცდილობენ შექმნან ნარატივი, რომელიც კოლექტიური ცნობიერების განვითარებას ემსახურება.

მოხსენების მიზანია გააანალიზოს, როგორ ასახავს ილია ჭავჭავაძე ეროვნულ იდენტობას თავის ნაწარმოებებში. ყურადღება გამახვილდება ენის ფუნქციაზე, როგორც კულტურულ ნიშანზე, რომელიც აძლიერებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდას; ასევე, პერსონაჟების არქეტიპებზე, რომლებიც წარმოადგენენ იმდროინდელი საზოგადოებრივი ღირებულებების მატარებლებს და ავტორის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე სოციალური უსამართლობის, უთანასწორობისა და პოლიტიკური გამოწვევებისადმი. მოხსენება ასევე შეეხება ნაწარმოებების ნარატიულ სტრუქტურას და პუბლიცისტიკურ ფორმასა და შინაარსს, რომელიც ილია ჭავჭავაძეს შესაძლებლობას აძლევდა არა მარტო დაკვირვებოდა საზოგადოებას, არამედ მიეცა მისთვის რჩევები და კრიტიკულად შეეფასებინა მისი მანკიერებანი.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზე, რომ ილია ჭავჭავაძე ქმნის მორალურ და კულტურულ ჩარჩოს, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული იდენტობის აღქმაზე და აყალიბებს კოლექტიურ მეხსიერებას. ავტორის ტექსტები აერთიანებს ენობრივ, ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს, რაც მის შემოქმედებას აძლევს საშუალებას, გაიმიჯნოს სხვა მწერლების ნამუშევრებისგან და ჩამოაყალიბოს ერთიანი კულტურული ხედვა.

საბოლოო ჯამში, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება წარმოადგენს ლიტერატურულ ნარატივს, რომელიც არა მხოლოდ ასახავს ერის გამოცდილებას, არამედ აქტიურად მონაწილეობს ეროვნული იდენტობისა და თვითშეგნების ფორმირების პროცესში, ქმნის კონცეპტუალურ ჩარჩოს და ასახავს ქართული საზოგადობის ღირებულებებს, მიზნებსა და გამოწვევებს დროის ჭრილში.

ეიეკლე ჭიჭიკოშვილი

დარწმუნებულობა და ეჭვი

ვიტგენშტაინის პოზიცია წარმოიშობა გ. ე. მურთან კრიტიკულ ურთიერთობაში. მურის მიხედვით, ისეთი პროპოზიციები, როგორიცაა „აი, ხელი“, წარმოადგენს გარკვეულ ცოდნას, რომელსაც შეუძლია ეჭვის დაძლევა, მათ განიხილავს, როგორც ემპირიულ პროპოზიციებს. ვიტგენშტაინი აღნიშნავს, რომ მური არასწორად განმარტავს ასეთი პროპოზიციების ლოგიკურ სტატუსს, მათ მტკიცებულებებით გამართლებულ ცოდნის ელემენტებად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მათი როლი არც მტკიცებულებითი და არც ინფერენციულია, არამედ ფუნქციონირებს, როგორც დარწმუნებულობები, რომლებიც საფუძვლად უდევს ცოდნის პრეტენზიის წამოყენების შესაძლებლობას.

ვიტგენშტაინი უარს აცხადებს დარწმუნებულობის უდავო ცოდნის უზრუნველყოფის კლასიკურ ეპისტემოლოგიურ მეთოდზე და ამის ნაცვლად დარწმუნებულობას ათავსებს იმ პროპოზიციებში, რომლებიც ურყევად დგას და ჩვეულებრივ არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, არა იმიტომ, რომ ისინი საბოლოოდ დამტკიცებულია, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხდება მტკიცებულება, ეჭვი და გამართლება.

შემოაქვს განსხვავება ლოგიკურ პროპოზიციებს, ემპირიულ პროპოზიციებს და საკინძ პროპოზიციებს შორის: ლოგიკური პროპოზიციები არის აუცილებელი ჭეშმარიტებები, რომლებიც განსაზღვრავენ ენის ფორმალურ სტრუქტურას და არ ექვემდებარებიან ემპირიულ დადასტურებას; ემპირიული პროპოზიციები არის სამყაროს შესახებ პირობითი განცხადებები, რომელთა გადამოწმება, გაყალბება და ეჭვის შეტანა შესაძლებელია, ხოლო საკინძი პროპოზიციები არც ემპირიულად შემოწმებადია და არც ლოგიკურად აუცილებელი, არამედ ფუნქციონირებენ როგორც ფუნდამენტური დარწმუნებულობები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ლოგიკის, ისე ემპირიული კვლევის ფუნქციონირებას.

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ საკინძ პროპოზიციებში არა იმიტომ, რომ ისინი ვიცით მტკიცებულებებით ან მსჯელობით, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჩვენს პრაქტიკაში მოქმედების იმ ნაწილს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც საერთოდ ეჭვია შესაძლებელი. საკინძი პროპოზიციების ფუნქცია სტრუქტურულია. ისინი წარმოადგენენ დაუსაბუთებელ ვალდებულებებს, რომლებიც ასტაბილურებენ ჩვენს „ენობრივ თამაშს“ და შესაძლებელს ხდიან დისკურსს; ისინი მოქმედებენ არა როგორც დასაბუთებას დაქვემდებარებული რწმუნებულებები, არამედ როგორც ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული იმპლიციტური ნორმები.

ეჭვი არ არის უნივერსალური, არამედ არის პრაქტიკა, რომელიც პრესუპოზიციურად გულისხმობს დარწმუნებულობის სტაბილურ ფონს. ამრიგად, ეჭვი ლოგიკური შეცდომაა საკინძ პროპოზიციებზე, რადგან რაიმეში შინაარსიანი ეჭვის შეტანისთვის უკვე უნდა მივიღოთ გარკვეული მოცემულობა, როგორიცაა, მაგალითად: ენის ფუნქციონირება და ჭეშმარიტება-მცდარობას შორის განსხვავება. შესაბამისად, ყველაფერში ეჭვის შეტანის მცდელობა შეცდომაა, რადგან ეს ძირს უთხრის იმ პირობებს, რომლებიც საერთოდ ეჭვს გასაგებს ხდის. რადიკალური სკეპტიციზმი წარუმატებელია არა იმიტომ, რომ უარყოფილია ძლიერი მტკიცებებით, არამედ იმიტომ, რომ წარმოადგენს ენის არასწორ გამოყენებას.

ქეთევან ჭუმბუხიძე

უსამართლო კომერციული საქმიანობა – მოვაჭრის მანიპულაციებისგან დასაცავი კანონით გათვალისწინებული მექანიზმების განვითარება საქართველოში

მომხმარებელთა დაცვა სამართლის განვითარებადი დარგია. კომერციულ ურთიერთობებში გამეფებული პრინციპი caveat emptor-ით („მყიდველმა სიფრთხილე გამოიჩინოს“) სრულად ჩანაცვლდა და შეიქმნა ახალი სამართლებრივი მოდელები, რომელშიც მომხმარებლი წარმოადგენს ხელშეკრულების უფრო სუსტ მხარეს, რაც განაპირობებს მისი უფრო მეტად დაცვის საჭიროებას.

თანამედროვე საბაზრო პირობებში კონკურენციის განვითარებას მოჰყვა მოვაჭრეთა მხრიდან მომხმარებლებზე სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მანიპულაციური ფორმების დრამატული განვითარება, ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკები, ე. წ. dark patterns“, რომლის მიზანი ან/და შედეგი მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაა. აღნიშნულის საპასუხოდ, 2005 წელს მიღებულ იქნა ევროკავშირის დირექტივა 2005/29/EC უსამართლო კომერციული პრაქტიკის წინააღმდეგ. საქართველომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მოახდინა აღნიშნული დირექტივის იმპლემენტაცია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში 2022 წელს მიღებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის საშუალებით.

კანონის 24-ე მუხლი ადგენს უსამართლო კომერციული საქმიანობის ზოგად აკრძალვას და განმარტავს მის ორ კუმულაციურ წინამძღვარს: კეთილსინდისიერების მოთხოვნების დარღვევა და საშუალო მომხმარებლის ეკონომიკური ქცევის არსებითი, უარყოფითი ცვლილება ან ამის შესაძლებლობა. კანონით ასევე დადგენილია ე.წ. „შავი სია“, რომელიც ადგენს იმ პრაქტიკათა ჩამონათვალს, რომლებიც უსამართლოდ მიიჩნევა ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა ქმედებამ უარყოფითი გავლენა მომხმარებელზე. ასეთია დროითი მანიპულაცია სწრაფი გადაწყვეტილების მიღების იძულებით, კონკურსის გამოცხადება ჯილდოს გადაცემის განზრახვის გარეშე და ა.შ.

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ფასისმიერი მანიპულაციის ფორმები, სადაც dark patterns ყველაზე დახვეწილად და მომხმარებლისთვის შეუმჩნევლად მოქმედებს. ფასის ხელოვნური დაქუცმაცება, ფსევდოფასდაკლებები და დამატებითი გადასახადების დაფარვა ქმნის ინფორმაციულ ასიმეტრიას, რომელიც მომხმარებლის გადაწყვეტილების ავტონომიას არსობრივად ზღუდავს. სწორედ ამ მიმართულებით ქართული სამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ყველაზე მეტ განვითარებას საჭიროებს - როგორც მატერიალური ნორმების ინტერპრეტაციის, ისე მათი პრაქტიკული აღსრულების თვალსაზრისით.

კანონი ასევე ითვალისწინებს უმოქმედობით შეცდომაში შემყვანი საქმიანობისა და აგრესიული კომერციული საქმიანობის ფორმებს.

მიუხედავად ამ სამართლებრივი ჩარჩოს სიმყარისა, კანონის პრაქტიკული ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია სასამართლო დოქტრინის ჩამოყალიბებასა და აღსრულების მექანიზმების განვითარებაზე — გამოწვევა, რომელიც ქართული სამართლის წინაშე ჯერ კიდევ დგას.

დიმიტრი ხაღათაშვილი
ანა გაჩეჩილაძე

პოლიტიკური იდეოლოგიების ევოლუცია საქართველოში XIX–XX საუკუნეებში

პოლიტიკური იდეოლოგიების ევოლუცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციებთან. საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, რადგან XIX და XX საუკუნეებში ქვეყანაში მიმდინარეობდა მნიშვნე-

ლოვანი პროცესები, რომლებმაც განსაზღვრა იდეოლოგიური სივრცის ჩამოყალიბება და განვითარება.

XIX საუკუნეში ეროვნული იდეოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და თანამოაზრეები, რომლებიც აქტიურად ამყარებდნენ ეროვნული თვითშეგნების, კულტურული თვითმყოფადობისა და პოლიტიკური ერთობის იდეას. ამავე პერიოდში ფართოდ ვრცელდება ლიბერალური იდეები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ინტელექტუალები და საზოგადო მოღვაწეები. XX საუკუნის დასაწყისიდან იდეოლოგიური სივრცე კიდევ უფრო კომპლექსური ხდება. სოციალიზმის გავრცელება და ბოლშევიკური მოძრაობა განაპირობებს ახალ პოლარიზაციას იდეოლოგიურ სივრცეში. სოციალ-დემოკრატიული მიმართულებები, ნოე ჟორდანიას ჩათვლით, ცდილობდნენ სოციალური თანასწორობის და კლასობრივი საკითხების წამოწევას პოლიტიკური დღის წესრიგში.

ლიბერალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირება ვლინდებოდა პოლიტიკურ დისკურსსა და საზოგადოებრივ აზრში, განსაზღვრავდა პარტიულ პროგრამებსა და მედიის ნარატივებს.

კვლევის მიზანია გააანალიზოს პოლიტიკური იდეოლოგიების ევოლუცია საქართველოში XIX–XX საუკუნეებში კონკრეტული ფიგურების და მოძრაობების გავლენით. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ფორმირდება:

როგორ ვითარდებოდა პოლიტიკური იდეოლოგიები და რა როლს ასრულებდნენ მათში მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურები?

როგორ ტრანსფორმირდებოდა იდეოლოგიური სივრცე XIX–XX საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ მოვლენებთან და გლობალურ გავლენებთან დაკავშირებული პროცესების ფონზე?

მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულ იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. დისკურსის ანალიზის საშუალებით შეისწავლება ისტორიული ტექსტები, ინტელექტუალური ნაშრომები, პოლიტიკური დოკუმენტები, პუბლიცისტიკა და მედია. კონტენტანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ იდეოლოგიური ნარატივები, მათი ტრანსფორმაცია და კონკურენციის სპეციფიკა.

კვლევა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ, როგორ ჩამოყალიბდა პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში, როგორ უპირისპირდებოდა ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულება და რა გავლენას ახდენდა ეს პროცესი პოლიტიკურ აზროვნებაზე.

ნიკოღოზ ხასაია

ვნებათა მეტამორფოზა ბერნინის შემოქმედებაში

რენესანსის ეპოქის შემდგომ, XVII საუკუნეში დამკვიდრებულმა ახალმა მიმდინარეობამ, ბაროკომ, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთში, კერძოდ, კათოლიკურ იტალიაში კონტრრეფორმაციული მოძრაობის კულტურულ გამოხატულებად, შეცვალა ესთეტიკური ხედვა XVII და მომდევნო საუკუნეების ევროპული კულტურისა. იდეალური ადამიანის კონცეფციას, რომელზე დაყრდნობითაც მუშაობდნენ ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელო თუ ტიციანი, XVII საუკუნეში ენაცვლება ისეთი ადამიანის მოდელი, რომელიც არა სამყაროს მთავარი ობიექტი, არამედ მისი ნაწილია. შესაბამისად, ჰარმონიული, მშვიდი და ამაღლებული ადამიანის იდეა ადგილს უთმობს მღელვარე და მჩქეფარე ადამიანის იდეას, რომელსაც ამა სოფლის საზრუნავი საკმაოდ ჰქონდა.

წარმოუდგენელია XVII საუკუნის ევროპული კულტურა ჯოვანი ლორენცო ბერნინის (1598-1680) გარეშე, რომელმაც არა მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა, არამედ წარმოადგენდა კიდეც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბაროკოს სტილის ბურჯს საუკუნის 80-იან წლებამდე, თუმცა მისი ღვაწლი მრავალ საუკუნესაც გადაწვდა. მსოფლიო მას იცნობს, როგორც სკულპტორს, რომელმაც სტატიკური ქვა გამსჭვალა დრამატულობით და ფაქტობრივად, ქვაში გამოკვეთა თეატრი. მიუხედავად ამისა, ბერნინიმ საკუთარი მოღვაწეობის პერიოდში მოახერხა ხორციელი ვნება გადაეფილტრა სულიერ, ამაღლებულ გრძნობად, რის გამოც ის და მისი ნამუშევრები დღემდე რჩება მწვავე კრიტიკის ობიექტად. ტრანსფორმაციის ეს პროცესი, შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, დაკავშირებული იყო მის პირად ცხოვრებასთან, კერძოდ, ბერნინისა და კონსტანცა ბონარელის (1614-1662) სასიყვარულო ურთიერთობასთან.

მოხსენების მიზანს სწორედ იმ გარემოებებისა და ფაქტორების განხილვა წარმოადგენს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ზემოხსენებული მეტამორფოზის პროცესს ლორენცოს სკულპტურულ ნამუშევრებში. შესაბამისად, მოხსენებაში მეტად იქნება გამახვილებული ყურადღება ვენეციელი კარდინალის, ფედერიკო კორნაროს მიერ დაკვეთილ სკულპტურულ შემკულობაზე სანტა მარია დელა ვიტორიას საგვარეულო კაპელაში, კერძოდ, ბერნინის „წმინდა ტერეზას ექსტაზზე“ (1647–1652), როგორც შემოქმედის ზემოხსენებული მეტამორფოზის კულმინაციაზე, სადაც ფიზიკური ტკივილისა და სიამოვნების ზღვარზე მყოფი ქალის სხეულის მეშვეობით გადმოიცემა არაამქვეყნიური, მისტიკური გამოცდილება.

ხოშგადამ ხაღიღოვა

აზერბაიჯანული და ქართული ენის ეთნოლინგვისტური ლექსიკური ერთეულების ლექსიკოგრაფიული ანალიზი

ენის დოკუმენტირება ერთგვარად კულტურის ასახვის ტოლფასია. ლინგვისტური კვლევის საშუალებით შეგვიძლია დავაკვირდეთ არა მარტო ენის განვითარებას, არამედ ამ ენის მატარებელი სოციუმის ლინგვისტურ და კულტურულ განვითარებასაც, ენობრივი მოცემულობის გადააზრებას კულტურასთან მიმართებაში. ვინაიდან ენა შეგვიძლია გავიაზროთ როგორც კულტურული იარაღი, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეთნოლინგვისტური კვლევის საგანი და ამოცანები.

ეთნოლინგვისტიკა ინტერდისციპლინური დარგია, რომელიც შეისწავლის ენას კულტურასთან მიმართებაში; რა ენობრივი, ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორები იღებენ მონაწილეობას ენის ფუნქციონირებაში. თანამედროვე ეთნოლინგვისტიკის დაფუძნებული ვ. ჰუმბოლტისა და სხვათა იდეებზე, შესწავლის ობიექტია არა მარტო მთელი ხალხური კულტურა, მისი სახეები, ჟანრები და ფორმები, არამედ ენა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ფოლკლორული ტექსტები. ეთნოლინგვისტიკის საგანს წარმოადგენს კულტურის სემანტიკური ენა, როგორც მსოფლმხედველობის, ფასეულობათა სისტემის რეკონსტრუირებული ხატი. ეთნოლინგვისტიკასთან მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ე. სეფირისა და ბ. უორფის ჰიპოთეზა, რომ ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს. ადამიანთა მსოფლხედვის საფუძველია სოციალური სტერეოტიპები, კოგნიტური, ენობრივი სქემები, ის კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერება ყოველთვის განპირობებულია ეთნიკურად.

არსებობს ქართული, ისევე როგორც აზერბაიჯანული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონები, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ეროვნული ეთნოლოგიური სკოლის მიერ წლების განმავლობაში მიღწეულ შედეგს. მასში მოცემულია ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრი. ენობრივი მონაცემების საფუძველზე ტრადიციული კულტურის სტრუქტურების კვლევისა და მათი სემანტიკური ველის რეკონსტრუქციის წარმატებული ნიმუშია „ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია“ (ანთელავა და სხვ., 2017). ნაშრომში ჩვენი მიზანია: ა) შევისწავლოთ ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის ლექსიკოგრაფიულად დამუშავების პრინციპები; ბ) მოვახდინოთ ეთნოკულტურული სემანტიკური ველების, როგორიცაა, მითის, რიტუალის, ორნამენტის კლასიფიცირება, შესაბამისი აზერბაიჯანული (მაგ., თეფეგოზი, გეომეტრიული ხალიჩის ნიმუშები, აბრეშუმზე ქარგვა, ნოვრუზ ბაირამი, ჩაის კულტურა, ა.შ.)

და ქართული ლექსემების შერჩევა და საბოლოო წარმოდგენა თარგმნით ლექსიკონში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ არსებობს საჭიროება მეტი სისავსით მოექცეს თარგმნით ლექსიკონებში ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა, რითაც დაინტერესებულ ადამიანებს ქართული მდიდარი ეთნოლინგვისტური სამყაროს შეცნობის შესაძლებლობა ექნებათ. სწორედ ამიტომ დავისახეთ მიზნად, დაგვემუშავებინა ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგიის ქართულ-აზერბაიჯანულ-ინგლისური სიტყვა-სტატიის სტრუქტურის საკითხები თარგმნითი ლექსიკონისათვის.

ნიკოლოზ ხახშიღაძე

წყალწითელას ხეობის ანტიკური ხანის ძეგლები

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ისტორია ჯერ კიდევ გასული საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება, როდესაც 1912 წლის 17 ივნისს ხელისუფლებამ დაამტკიცა წარდგენილი წესდება, რითაც ქუთაისში დაარსდა დამოუკიდებელი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება სამუზეუმო განყოფილებით, ხოლო სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მან 10 წლის შემდეგ, 1922 წლის 1 დეკემბერს მიიღო. დღეისათვის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებს ათიათასობით სამუზეუმო ექსპონატი ამშვენებს.

მსურს ყურადღება გავამახვილო ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდზე, სადაც დაცული ნივთები მრავალ ცნობას გვაწვდის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის შესახებ.

მუზეუმში ,,ვოლონტერად“ მუშაობის დროს გამოიკვეთა ერთგვარი მიზანი: თავი მოგვეყარა მუზეუმში დაცულ წყალწითელას ხეობის ანტიკური ხანის ნივთებისათვის და შეგვექმნა ერთგვარი ინტერაქციული რუკა.

წყალწითელას ხეობა - არის მონაკვეთი იმერეთის რეგიონში, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტში. წყალწითელას ხეობა განსაკუთრებით დატვირთულია არქეოლოგიური ძეგლებით სოფელ გოდოგნის ხიდსა და გელათს შორის მონაკვეთის 7,5 კმ-იან ზოლში.

როგორც ცნობილია, წყალწითელას ხეობის ათვისება ჯერ კიდევ პალეოლითის პერიოდში, კერძოდ, ქვედა პალეოლითიდან იწყება (საკაჟიას მღვიმე). ამ დროის შემდეგ, ფაქტობრივად, არ არსებობს ისტორიული პერიოდი, როდესაც ადამიანის ცხოვრების კვალი აქ არ ყოფილიყოს, გამონაკლისი არც ანტიკური პერიოდია.

ანტიკურ პერიოდში, როდესაც უკვე კოლხური კულტურა ძლიერ აყვავებულია, მჭიდროდ ჩანს ათვისებული ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები, გამონაკლისი, ბუნებრივია, არც წყალწითელას ხეობა ყოფილა.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში მრავლადაა დაცული წყალწითელას ხეობის ანტიკური ხანის ძეგლებიდან შემოსული სხვადასხვა დანიშნულების არქეოლოგიური მასალა.

წყალწითელას ხეობაში სხვადასხვა დროს სადაზვერვო-არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა პროფ. ვახტანგ ლიჩელი; ასევე შემთხვევითი აღმოჩენები აქვთ გაკეთებული პროფ. ომარ ლანჩავას, პროფ. როლანდ ისაკაძესა და არქეოლოგიის დოქტორანტ შალვა ბუაძეს.

მარიტა ხუციეიძე

გარდაცვლილთა დედოფლები: ქალთა ხელისუფლების ფორმები და ქვესკნელის სტრუქტურა ბერძნულ, შუამდინარულ და იაპონურ მითოლოგიურ ტრადიციებში

მსოფლიოს არაერთ მითოლოგიურ ტრადიციაში ქვესკნელის სამეფოს მმართველებად გვევლინებიან ქალი ღვთაებები, რომლებიც ან დამოუკიდებლად, ან პარტნიორ ღვთაებასთან ერთად განაგებენ გარდაცვლილთა სამყაროს. მოხსენების მიზანია ქვესკნელის ქალღმერთთა ფუნქციებისა და მათი სუვერენობის ფორმების შედარებითი განხილვა ბერძნულ, შუამდინარულ და იაპონურ მითოლოგიურ ტრადიციებში.

ბერძნულ მითოლოგიაში პერსეფონე უმეტესად წარმოდგენილია დემეტრასა და ჰადესთან კავშირში და იშვიათად გვხვდება დამოუკიდებელ ფიგურად. როგორც ქვესკნელის დედოფალი, იგი ჰადესის თანამმართველად გვევლინება, რაც გამოხატულია ჰომეროსულ ჰიმნში დემეტრასადმი, სადაც აღწერილია მისი მოტაცება და ქვესკნელის დედოფლად დამკვიდრება.

შუამდინარულ ტრადიციაში ერეშქიგალი წარმოდგენილია, როგორც ქვესკნელის ერთპიროვნული მმართველი, რასაც მოწმობს შუმერული სიმღერა ,,გილგამეში, ენქიდუ და ქვესკნელის სამეფო“, სადაც აღნიშნულია, რომ ქვესკნელი მას ებოძა, ,,ოდეს ანუმ და ენლილმა ზეცა და მიწა გამიჯნეს ერთმანეთისგან“. ქვესკნელის სტრუქტურა და ერეშქიგალის მმართველობის ბუნება ნათლად ჩანს ტექსტში ,,ინანას ჩასვლა ქვესკნელად“. მოგვიანო, აქადურ ტრადიციაში კი ჩნდება ნერგალი, როგორც ერეშქიგალის მეუღლე და ქვესკნელის მმართველი (,,ერეშქიგალისა და ნერგალის ქორწინება“), რაც ქალღმერთის სუვერენობის გარკვეულ ტრანსფორმაციაზე მიუთითებს.

იაპონურ მითოლოგიაში იძანამი თავდაპირველად წარმოჩენილია როგორც შემოქმედი დედა-ღვთაება, რომელიც მეუღლე იძანაგისთან ერთად შობს ღვთაებებს. ცეცხლის ღმერთი კაგუცუჩის დაბადების შემდეგ კი იგი

კვდება და გადადის იომის სამფლობელოში, რომელიც წარმოადგენს გარდაცვლილთა სამყაროს. შემდგომ იძანამი ქვესკნელთან დაკავშირებულ ფიგურად გვევლინება, თუმცა მისი როლი უფრო მეტად უკავშირდება სიკვდილის გარდაუვალობას, ვიდრე ქვესკნელის აქტიურ მმართველობას.

მაშასადამე, სამივე ტრადიციაში ქვესკნელი წარმოდგენილია როგორც ცოცხალთა სამყაროსგან გამიჯნული სივრცე, რომლის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქალ ღვთაებებს. მიუხედავად ამისა, მათი მმართველობის ფორმები განსხვავებულია: ერეშქიგალი წარმოდგენილია დამოუკიდებელ მმართველად, პერსეფონე თანამმართველად, ხოლო იძანამი - უფრო გარდაცვალების სიმბოლოდ, ვიდრე სუვერენად.

ეღენე ხუციშვიღი

პერლ ჰარბორი: იაპონიისა და აშშ-ის ურთიერთდაპირისპირებული მიზნები და ერთმანეთისადმი დამოკიდებულება

1941 წლის 7 დეკემბერი, პერლ ჰარბორზე იაპონიის თავდასხმა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მთავარ და გარდამტეხ მოვლენას XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელმაც ძირეულად შეცვალა ძალათა ბალანსი წყნარ ოკეანეში და გამოიწვია აშშ-ის ჩართვა მეორე მსოფლიო ომში. პერლ ჰარბორზე შეტევა წარმოადგენდა ამ ორი სახელმწიფოს, „ამომავალი მზისა“ და „მძინარე გოლიათის“, ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამო შექმნილი ხანგრძლივი დაძაბულობის კულმინაციას.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონია მიზნად ისახავდა საკუთარი გავლენის გავრცელებას აზიასა და წყნარ ოკეანეში, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ეკონომიკით (ამ გზით უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ ისეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსით, როგორიც ნავთობია, რადგან მისი დეფიციტი საფრთხეს უქმნიდა იაპონიის სამხედრო და სამრეწველო პოტენციალს), მეორე მხრივ კი მისი იმპერიალისტური პოლიტიკით. იაპონური ექსპანსიის შეჩერებისა და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აშშ-მ ეკონომიკური სანქციები დააწესა, რაც იაპონიამ გამოწვევად და საფრთხედ მიიჩნია.

იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა პერლ ჰარბორზე თავდასხმა, რათა დროებით შეესუსტებინა ამერიკული სამხედრო ძალა და მოეპოვებინა

სტრატეგიული უპირატესობა რეგიონში. იაპონიის გათვლა ეფუძნებოდა მოულოდნელი, სწრაფი და ეფექტური შეტევის იდეას, რომელიც თავიდან ააცილებდა ხანგრძლივ ომს და მისცემდა საშუალებას გაემაგრებინათ თავიანთი პოზიციები აზიასა და წყნარ ოკეანეში.

ამერიკა თავდასხმამდე ძირითადად იზოლაციონისტურად იყო განწყობილი ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენების მიმართ (ამერიკელებს არ სურდათ ევროპულ კონფლიქტში ჩარევა) და, მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, არ ელოდა ასეთ მასშტაბურ შეტევას საკუთარ ტერიტორიაზე. პერლ ჰარბორის დაბომბვამ გამოიწვია ნამდვილი შოკი ამერიკაში და საზოგადოების მყისიერი კონსოლიდაცია. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი განწყობები, რამაც დააჩქარა ომში მისი სრულმასშტაბიანი ჩართვა.

ამრიგად, ჩემი მოხსენების მიზანია შევაფასო პერლ ჰარბორზე თავდასხმა არა როგორც მხოლოდ სამხედრო მოვლენა, არამედ როგორც ხანგრძლივი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული დაპირისპირების ლოგიკური შედეგი იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და წარმოვაჩინო, როგორ განსაზღვრა ამ მოვლენამ ძალათა ბალანსი რეგიონში და რა როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებაში.

სემიონ ჯიქია
იხაკი ნაჭყებია

ტულსის რასობრივი ხოცვა-ჟლეტა ამერიკაში და მისი დამალული ისტორია

ტულსის რასობრივი ხოცვა-ჟლეტა წარმოადგენს არა მხოლოდ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ რასობრივ ძალადობას ამერიკის ისტორიაში, არამედ კოლექტიური მეხსიერების მიზანმიმართული დამახინჯების კლასიკურ მაგალითსაც. 1921 წლის მაისში, ოკლაჰომის შტატის ქალაქ ტულსაში მდებარე გრინვუდის უბანი, რომელიც ეკონომიკური წარმატების გამო „შავ უოლ სტრიტად“ იყო ცნობილი, რამდენიმე დღეში სრულად განადგურდა. თეთრკანიანი მოსახლეობის მიერ ორგანიზებულმა ძალადობამ ასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ათასობით ადამიანი კი უსახლკაროდ დატოვა, ხოლო აფროამერიკული ბიზნესები და ინფრასტრუქტურა მიწასთან გაასწორა.

მიუხედავად ამ მასშტაბური ტრაგედიისა, ხოცვა-ჟლეტა ათწლეულების განმავლობაში პრაქტიკულად არ ფიგურირებდა არც ოფიციალურ ისტო-

რიულ ნარატივში და არც საგანმანათლებლო სისტემაში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსი მასშტაბის მოვლენის კოლექტიური მეხსიერებიდან გაქრობა შემთხვევითი არ არის. ტულსის ხოცვა-ჟლეტის დავიწყება წარმოადგენდა სისტემური რასიზმის, ინსტიტუციური ინტერესებისა და პოლიტიკური მიზნების შედეგს. ადგილობრივი ხელისუფლება და მედია აქტიურად მონაწილეობდნენ ინფორმაციის დამალვასა და დამახინჯებაში, ეს მოიცავდა დოკუმენტების გაუჩინარებას, მსხვერპლთა რაოდენობის შემცირებასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სწორედ ეს მექანიზმები ემსახურებოდა ისტორიის „რედაქტირებას".

ტულსის შემთხვევა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს ისტორიული მეხსიერება როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტი. ის, თუ რა ინახება და რა უჩინარდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში, დიდწილად განისაზღვრება პოლიტიკური და სოციალური კონტექსტით. ხოცვა-ჟლეტის იგნორირება ხელს უწყობდა რასობრივი უთანასწორობის შენარჩუნებასა და პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, რაც კიდევ უფრო ამყარებდა ინსტიტუციურ დისკრიმინაციას.

ბოლო ათწლეულებში, არქივების გახსნამ, აკადემიურმა კვლევებმა და აქტივიზმმა შესაძლებელი გახადა ამ ისტორიის ხელახალი გააზრება და საზოგადოებრივ დისკურსში დაბრუნება. ტულსის ტრაგედია დღეს უკვე განიხილება არა მხოლოდ როგორც ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მაგალითი. შესაბამისად, მისი შესწავლა მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ისტორიის დამალვა და დავიწყება თავად იქცეს უსამართლობის გაგრძელებად, ხოლო მისი აღდგენა - სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

გამოცემაზე მუშაობდნენ მარინე ვარამაშვილი და ნათია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2026

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

თბილისის უნივერსიტეტი
UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918